

ქართული
წიგნი

ბიბლიოთეკა

ტ

II





ბეჭდვა
საბჭოთა საქართველოს
თბილისის

1906 წ.-1920 წ.-ში შიშვენიერის მიხედვით ნაშრომები

1. ჰიპოტიკა [1906 წ.] 299.
2. ზეპირი - [1908] 321
3. ს. შიშვენიერი (საქართველო) [1909] 332
4. ზეპირი (საქართველო) [1910] 336
5. ს. შიშვენიერი (საქართველო) [1910] 340.
6. ს. შიშვენიერი (საქართველო) [1910] 340 *
7. მთავრობის წესები [1911] 344.
8. შიშვენიერი [1911] 344
9. შიშვენიერი [1913] 368
10. [1914] 383.
11. შიშვენიერი [1917] 416.
12. ს. შიშვენიერი [1918] 423.

[Handwritten signature]

1920 წ. წინა ნაშრომები

13. [1907 წ.]
14. [1907 წ.]
15. [1910]
16. [1917 წ.]
17. [1920 წ.]

[Handwritten notes and signatures]

[Faint handwritten text at the bottom of the page]

ГОСУДАРСТВЕННАЯ КНИЖНАЯ ПАЛАТА ГРУЗИНСКОЙ ССР



Грузинская
книга

Библиография
Том первый

1629-1920

DAS GEORGISCHE
B u c h

VOLLSTÄNDIGE
BIBLIOGRAPHIE
I B A N D

1629-1920



საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა



ქართული წიგნი

ბიბლიოთეკათა
ცომი წიგნული

1629 - 1920

43491



პასუხისმგებელი რედაქტორი გ. ი. კვიციანი

მიმღები რედაქცია {
თ. ნაკაშიძე
პ. სუნდაძე
ვ. ჯოჯია

მხატვარი ლ. გრიგოლია

სიყვარული:

1. "ინტელიგენციის ქართული" № 118 1941.
2. "ლიტ.-საქართველო" № 23, 1941. (ი. მთელიძე)
3. "ქართული" 1942 წ. № 1, 2, 50 (თავისუფალი საქართველო)
4. "Заря Востока" 1941 წ. № 108.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/11-41 წ. № 5565. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 76/8. ანაწ. ზომა 10¹/₂ X 14. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 44.800. სააქტორო ფორმათა რაოდენობა = 73.8. ტირაჟი 3150. სტამბის შეკვეთის № 1883.

შინაარსი

შესავალი	33
პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები. რომი. მოსკოვი 1629—1705.	V
ვახტანგის სტამბა. პირველი წიგნები საქართველოში. 1709 — 1722	1
მოსკოვსა და პეტერბურგში გამოცემული ქართული წიგნები 1737—1744	7
ქართული წიგნები გამოცემული 1749—1800 წლებში	33
ქართული წიგნი 1800 — 1867	49
ქართული წიგნი 1868 — 1892	75
ქართული წიგნი 1893 — 1904	117
ქართული წიგნი 1905 — 1907	193
ქართული წიგნი 1908 — 1913	281
ქართული წიგნი 1914 — 1920	317
უთაროლო წიგნები	379
საძიებლები	460
სასტამბო და საგამომცემლო ტერმინები	463
ავტორები	465
Personalia	469
კორპორატიული ავტორები	483
მთარგმნელები, რედაქტორები და მეცნიერი გამომცემელი	487
ფსევდონიმები, კრიპტონიმები	491
ანონიმური გამოცემები	495
გამომცემის ადგილი	502
გამომცემელი და გამომცემლობანი	515
საგამომცემლო სერიები	518
სტამბები და მათი მფლობელი	527
სტამბის მუშაკი	528
გეოგრაფიული საძიებელი	536
თარგმნილი ლიტერატურის საძიებელი	537
ცალკეულ ბიბლიოთეკებში დაცული წიგნების საძიებელი	539
საგნობრივი საძიებელი	540
ილუსტრატორები	551
	560

СОДЕРЖАНИЕ

	Стр.
Введение	V
Первые грузинские печатные книги. Рим. Москва. 1629—1705	1
Типография Вахтанга. Первые книги в Грузии 1709—1722	7
Грузинские книги, изданные в Москве и Петербурге 1737—1744	33
Грузинские книги, изданные в 1749—1800 гг.	49
Грузинская книга 1800—1867	75
Грузинская книга 1868—1892	117
Грузинская книга 1893—1904	193
Грузинская книга 1905—1907	281
Грузинская книга 1908—1913	317
Грузинская книга 1914—1920	379
Недатированные книги	460
Указатели	463
Типографские и издательские термины	465
Авторы	469
Personalia	483
Корпоративные авторы	487
Переводчики, редактора, научные издатели	491
Псевдонимы, криптонимы	495
Анонимные издания	502
Место издания	515
Издатели и издательства	518
Издательские серии	527
Типографии и их владельцы	528
Работники типографий	536
Географический указатель	537
Указатель переводной литературы	539
Указатель книг, хранящихся в отдельных библиотеках	540
Предметный указатель	551
Иллюстраторы	560

Inhaltsverzeichnis

Einleitung	V
Die ersten Georgischen gedruckten Bücher. Rom. Moskau. 1629— 1705	1
Wachtangs Typographie. Erste Bücher in Georgien 1709—1722 . .	7
Georgische Bücher, herausgegeben in Moskau und Petersburg in den Jahren 1737—1744	33
Georgische Bücher, herausgegeben in den Jahren 1749—1800 . .	49
Georgisches Buch 1800—1867	75
Georgisches Buch 1868—1892	117
Georgisches Buch 1893—1904	193
Georgisches Buch 1905—1907	281
Georgisches Buch 1908—1913	317
Georgisches Buch 1914—1920	379
Undatierte Bücher	460
Verzeichnisse	463
Typographische und Verlags Ausdrücke	465
Autoren	469
Personalia	483
Korporative Autoren	487
Übersetzer, Redaktore, Wissenschaftliche Herausgeber	491
Pseudonyme, Kryptonyme	495
Anonyme Ausgaben	502
Verlagsort	515
Herausgeber und Verlage	518
Verlagsserien	527
Typographien und ihre Eigentümer	528
Typographische Arbeiter	536
Geographisches Verzeichnis	537
Verzeichnis der Uebersetzungs-Literatur	539
Verzeichnis der in den Bibliotheksabteilungen enthaltenen Bücher	540
Sachverzeichnis	551
Illustratore	560

შესავალი

ქართული წიგნის წარმოშობის დასაწყისი საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. უძველესი ნიმუშები ქართული დამწერლობისა შემონახული გვაქვს არა მარტო V—VI სს. ფულებზე და ეპიგრაფიულ ძეგლებზე წარწერილი ტექსტების სახით, არამედ ამავე საუკუნეების ეტრატის პალიმფსესტურ ხელნაწერებში დაცული ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანების ფრაგმენტებშიაც.¹ ძველ ქართულ მწერლობას მე-5 საუკუნეში გავლილი აქვს განვითარების რთული და გრძელი გზა. კერძოდ, ამ საუკუნეში იწერება იაკობ ცურტაველის შესანიშნავი აგიოგრაფიული ნაწარმოები — „შუშანიკის ცხოვრება“.² წყაროები მოწმობენ, რომ მე-5—6 სს. ქართული მწიგნობრობა არა თუ არსებობდა, არამედ ცნობილიც იყო ახლობელ და შორეულ კულტურულ ერთა შორის.³ ქართული კულტურისა და მწიგნობრობის განვითარების მეორე პერიოდში (მე-8—10 საუკ.) მდიდარი ქართული წიგნთსაცავების ქსელი მოფენილი იყო საქართველოსა და საქართველოს გარეშე კულტურულ ცენტრებში (სინას მთაზე, პალესტინაში, საბერძნეთში და სხვ.). ამ პერიოდის ქართულ ხელნაწერ წიგნებში შენახულია ისეთი ორიგინალური და ნათარგმნი (ბერძნულიდან, არაბულიდან, სირიულიდან) თხზულებები, რომელთა დედნები დაკარგულია და მეცნიერებისათვის საძიებელი გამხდარა.⁴ იერუსალიმის და სინას მთის ძველი ქართული წიგნების აწერილობის გაცნობის გამო, ბერლინის უნივერსიტეტის პროფ. ა. ჰარნაკი აღნიშნავს: „ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც“.⁵

ქართული მწერლობის კლასიკური პერიოდიდან (მე-10—13 ს.) მოღწეულია შესანიშნავი ფილოსოფიური (ნათარგმნი და ორიგინალური — კომენტარიების სახით), ასტრონომიული, მედიცინური, იურიდიული შინაარსის თხზულებები და განვითარების უმაღლეს წერტილამდე ასული საერო პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები: შავთელის, ჩახრუხაძის, შოთა რუსთაველის თხზულებანი.

ქართული მწიგნობრობის ეს ნივთიერი ძეგლები ეტრატის, ქილის, ქალაღის სქელტანიანი ხელნაწერი წიგნების სახით, მრავლად არის დაცული საქართველოს, მოსკოვ-ლენინგრადის და უცხოეთის წიგნთსაცავებში⁶. მრავალი ამ ხელნაწერთაგანი, განსაკუთრებით ეტრატის ხელნაწერები, განცვიფრებას იწვევენ არა მარტო შინაარსით, არამედ მხატვრულ შემკულობათა და შრიფტის იშვიათი მდიდრული გაფორმებით.

სულ სხვა მდგომარეობაშია ქართული მწიგნობრობა მე-14—16 სს. იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული კულტურა არაჩვეულებრივი აყვავების პერიოდში იმყოფება და ნაბეჭდი წიგნი, გუტენბერგის შესანიშნავი გამოგონების წყალობით, ფართოდ ვრცელდება, ქართული მწიგნობრობა დაქვეითების მდგომარეობაშია. გარეშე

¹ ივ. ჯავახიშვილი — „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები“ ტფილისის უნივერსიტეტის „მოაზებზე“ წ. II 1922—1923 წ., გვ. 313—370.

² იაკობ ცურტაველი. „მარტილობა შუშანიკისი“. ილია აბულაძის რედაქციით და გამოკვლევით. თბ., 1933.

³ Scriptores Syri t. III, s. IV; Проф. А. Дмитриевский. Описание литургических рукописей, хранящихся в библиотеках православного Востока. ტ I, გვ. 222-223 და სხვ.

⁴ კ. კეკელიძე — „ქართული ლიტერატურის ისტორია“. ტ. 1, გვ. 5.

⁵ იქვე.

⁶ მარტო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (თბილისი) პალეოგრაფიულ განყოფილებაში ინახება 14.000-მდე ქართული ხელნაწერი.

მტრების (მონღოლები, თურქები, სპარსელები) ხშირი თავდასხმისა და ფეოდალური დაქსაქსვის გამო ჩამორჩენილი საქართველოს ძველი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში განიაგების და სრული გაქრობის საფრთხის წინაშე სდგას.

მხოლოდ მე-16 — 17 სს. ემჩნევა ქართულ კულტურას აღორძინების ცხადი ნიშნები: აგროვებენ, იცავენ და ამთელებენ ძველი მწერლობის დიდებულ ნაშთებს. ძველის მოვალდაცვასთან ერთად ეწაფებიან ახალ, ევროპულ კულტურულ წყაროებს. აი ამ ხანებში იბეჭდება რომში პირველი წიგნები ქართული ტექსტებით (1629 წ.).

1709 წლიდან თვით საქართველოში იკიდებს ფეხს ევროპულად მოწყობილი სტამბა. ეს არის პირველი სტამბა არა თუ საქართველოში, არამედ მთელს ამიერ და იმიერ კავკასიაშიაც.

მაგრამ ბეჭდვითი საქმე საქართველოში ხშირად ათეული წლებით წყდება, გარეშე მტრების თავდასხმისა და ამასთან დაკავშირებული განადგურების გამო.

მე-18 ს. მეორე ნახევარში წიგნის ბეჭდვის ფართო განვითარებას აფერხებს აგრეთვე ის ვიწრო, საეკლესიო-ქრისტიანული თვალსაზრისი, რომლითაც გამსჭვალული არიან მმართველი წრეები.

არც მე-18 საუკუნეში აყვავებული ქართული პოეზიის ნიმუშები, არც ისტორიული, არც ფილოსოფიური და მრავალი სხვა დარგის ნაწარმოებები, რომლებიც ათასეული ტომების სახით არიან დაკული ქართული ხელნაწერების მდიდარ კოლექციებში, არ არიან წარმოდგენილი მეთვრამეტე საუკუნის ნაბეჭდ წიგნში.

არც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ვითარდება დაუბრკოლებლად ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე.

1801 წლიდან თვითმპყრობელი რუსეთის „ხალხთა საპყრობილეში“ მომწყვდეული ქართველი ხალხი მოკლებულია ეროვნული კულტურის განვითარებისათვის საჭირო ელემენტარულ პირობებს.

მეცხრამეტე საუკუნის 50—60-იან წლებიდან, ძველი რუსეთის გლეხობასთან ერთად, ქართველ გლეხსაც უმსუბუქდება ბატონ-ყმობის უღელი და ქართველი ხალხი, მიუხედავად შემზღუდავი პირობებისა, კულტურული აღორძინების გზაზე დგება.

მაგრამ მეფის რეჟიმის გამარუსებელი პოლიტიკის წყალობით ცოცხალი ქართული მეტყველების და ქართული კულტურის ფართო და ყოველმხრივი განვითარება ამ პერიოდშიაც შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენს. ქართული ენა და წიგნი განდევნილია დაწესებულებებიდან, სკოლებიდან.

ხალხის დაბალ, ღარიბ ფენებში მაინც თანდათან ღვივდება სწავლის წყურვილი. ვრცელდება წერა-კითხვა. იზადება ქართული წიგნის ღრმა მოთხოვნილება.

ეს მოძრაობა განსაკუთრებით ღრმავდება პირველი რევოლუციის სამხადისის პერიოდში და ამ დროიდან რევოლუციური მოძრაობის განვითარებასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდის.

მიუხედავად ამისა, ქართული ნაბეჭდი წიგნი თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე არ გამოხატავს სავსებით ქართული აზროვნების განვითარებას. წარსულ საუკუნეში მთელი რიგი ქართველი მეცნიერებისა მთლიანად რუსულ ენაზე სწერს და აქვეყნებს თავის მეცნიერულ შრომებს.

ამ მოვლენას ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის შუაგულიდან ვამჩნევთ. მაგ., პირველ გეოდებისტად რუსეთში ითვლება მოსკოვის ქართული სტამბის ერთ-ერთი მოღვაწე (ნ. № № 48, 51, 55.) დიმიტრი ციციშვილი (1722 — 1790), ვახტანგ VI-სთან ერთად გადასახლებულის პაატა ციციშვილის ძე.¹

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლებიდან, მცირე გამონაკლისს გარდა, რუსულად აქვეყნებენ მეცნიერულ ნაშრომებს რუსულ საშუალო და უმაღლეს სკოლებში აღზრდილი ქართველი მეცნიერები:

ლოლიკაში: სოლომონ დოდაშვილი („Логика“ — СПб. 1827).

¹ Б. Энциклопедич. словарь Брокгауза и Ефрона. Т. XXXVIII. № 75. стр. 275.

ფსიქოლოგიაში: გაბრიელ ქიქოძე („Основания опытной психологии“. — Санкт-Петербург. 1858).¹

ფიზიოლოგიაში: აკადემიკოსი ივანე თარხნიშვილი (მრავალი მეცნიერული ნაშრომი).

ტექნიკურ ქიმიასა და ტექნოლოგიაში: პროფ. ვასილ პეტრიაშვილი (მთელი რიგი გამოკვლევებისა).

ქიმიაში: პროფ. პეტრე მელიქიშვილი.

ენათმეცნიერებაში: პროფ. ალექსანდრე ცაგარელი და აკადემიკოსი ნიკოლოზ მარი და სხვ.

ამათ შორის გამონაკლისს წარმოადგენენ ისეთი მეცნიერები, როგორც ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი, რომელმაც ქართულად დასწერა და გამოსცა კაპიტალური მეცნიერული გამოკვლევები (ნ. №№ 1905. 2027. 2131) და იმავე ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი ა. კლდიაშვილი (№ 3015).

მხოლოდ დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ მოუღო ბოლო ასეთ მდგომარეობას და ქართული კულტურისა და წიგნის განვითარების უსაზღვროდ ფართო პერსპექტივები გადაშალა.

ამიტომ არის, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გამოცემული ქართული წიგნის რაოდენობა თითქმის სამჯერ აღემატება 1629 — 1920 წ. წ. ნაბეჭდი წიგნის პროდუქციას.

ჩვენი ბიბლიოგრაფია დაყოფილია 10 პერიოდად. როგორც ყოველგვარი პერიოდიზაცია, ჩვენი დაყოფაც პირობითია. ზოგ შემთხვევაში თვით ნაბეჭდი წიგნის განვითარების მსვლელობა გეოგრაფიკულად ამა თუ იმ ქრონოლოგიურ ფარგლებს. ზოგ შემთხვევაში ჩვენ ვიღებდით ქართული საზოგადოებრივი განვითარების უკვე დადგენილ პერიოდებს. მაგ., ჟურნ. „კვალის“ გამოსვლის წლიდან — 1893 — 1904 წლამდე; 1905 — 1907; 1907 — 1913; 1914 — 1920.²

ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა თვითოეული პერიოდის მიმოხილვა იმ განზრახვით, რომ მკითხველს ჰქონოდა ერთგვარი სახელმძღვანელო სამასი წლის მანძილზე გამოცემული ქართული ნაბეჭდი წიგნების აწერილობაში გასარკვევად.

ჩვენი მიმოხილვის სქემატურობისა და მასალის დიდი მოცულობის გამო, შეჭველია, ვერ მივალწიეთ ქართული წიგნის განვითარების სრული სურათის დახატვას.

არ შეგხებიათ მთელ რიგ ძირითად საკითხებს, რომლებიც ბუნებრივად წამოიჭრება ამ დიდი მასალის გამოკვლევასთან ერთად: მაგ., სტამბების და გამოცემლობის ქსელის განვითარება საქართველოსა და საქართველოს გარეშე; ქართული წიგნის დარგობრივი განვითარება და სხვ. მრავალი საკითხი იზოვის ადგილს იმ გამოკვლევებში, რომელთა დაწერის შესაძლებლობას იძლევა ჩვენი წიგნი.

I. ქართული ნაბეჭდი წიგნები 1629—1705

„ცფალისის, იზრეთისა და მოსკოვის სცამხე-
ნიდან მასინ გამოვიდა ჩანრეული გამოცემები: შიშ-
ლია, ცფალი³ და სხვა მრავალი წიგნი, რომ-
ლებსაც ერთმა მალალ შეფასრვას მისცემდა, რომ
გასდნომოდა მათ“.

მ ა რ ი შ თ თ ს ე .

პირველი წიგნები ქართული ნაბეჭდი ტექსტით — ქართულ-იტალიურ ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ — უცხოეთში გამოდის (რომი: 1629. № № 1 და 2).

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ეს წიგნები კათოლიკური „სარწმუნოების

¹ საყურადღებოა, რომ ამ წიგნით იწყება რუსული ფსიქოლოგიური მეცნიერების ისტორია. ნ. Энциклопедич. словарь Брокгауза и Ефрова. XXVIII №. 55, გვ. 836.

² ლ. ბერია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. 1939.

³ „ტარიელს“ მარი ბროსე შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ უწოდებს. და გულისხმობს ვახტანგის გამოცემას—1712 წ.

პროპაგანდის* მიერ არიან გამოცემული. ამ დროს რომის კათოლიკე მისიონერთა შორის ქართული ენის ცოდნის გარკვეული მოთხოვნებიც არსებობს.

ცნობილია, რომ კათოლიკე მისიონერები, დასავლეთ ევროპის სავაჭრო კაპიტალის ეს ერთგული აგენტები, 16—17 სს. განსაკუთრებით ენერგიულად მიისწრაფოდნენ შორეული-სა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ამავე პერიოდში გაირღვა ევროპისა და აზიის ყურეში ამართული ოსმალეთის ჯებირი.

ქართულ-იტალიური ლექსიკონის ავტორად იტალიურად დაბეჭდილს თავფურცელზე სტეფანე პაოლინის გვერდით ნიკიფორე ირბაქი, იგივე ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი იხსენიება. ეს იყო ევროპულად განათლებული და ენების მცოდნე ქართველი, თეიმურაზ I-ლის ელჩი, დასავლეთ ევროპის მაშინდელ მპყრობელებთან საგანგებო დავალებით წარგზავნილი. ეს გარემოება მოწმობს, რომ 16—17 სს. საქართველოსაც, თავის მხრივ, ჰქონია გარკვეული მიწრაფება რაღაც ურთიერთობა დაექირა მაშინდელ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ხელისუფლებთან.

მეჩვიდმეტე საუკუნის განმავლობაში რომში სულ 5 წიგნი დაიბეჭდა ქართული შრიფტის გამოყენებით. ამათგან ჩვენს აღწერილობებში მხოლოდ სამი მოგვეპოება. მათ შორის მისიონერი მარია—მაჯიოს ქართული ენის გრამატიკის მეორე გამოცემა (რომი, 1670. № 3).

ხსენებული წიგნების ქართულ ტექსტებში მრავალი შეცდომა არის. მიუხედავად ამისა ამ გამოცემებს თავის დროზე მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. დასავლეთ-მა ევროპამ, კაცობრიობის ამ ახალმა კულტურულმა ცენტრმა, მათი წყალობით პირველად გაიცნო ქართული ენა.

საქართველოსთვისაც დიდმნიშვნელოვანი იყვნენ ეს გამოცემები: ეს იყო პირველი ნაბეჭდი წიგნები ქართული ტექსტით. ყოველ მათგანში გამოყენებული იყო მხედრული შრიფტი და ქართული ტექსტები დაწერილი იყო მდაბიური ხალხური ენით.

მეჩვიდმეტე საუკუნის 80-იან წლებში (1686) იწყებს პოლიგრაფიულ მოღვაწეობას არჩილ მეორე. პოლიტიკური ვითარების გამო საქართველოდან გადახვეწილი, მოსკოვში ყოფნის დროს, იგი უკავშირდება დასავლეთ ევროპიდან მოსულ განათლებულ უცხოელებს. ერთ-ერთი მათგანის მეშვეობით აკეთებინებს ქართულ შრიფტს ამსტერდამში¹ და 1705 წ. მოსკოვის სინოდის სტამბასთან მოწყობილს ქართულ წიგნთსაბეჭდავში ბეჭდავს დავითნს (№ 4).

ამგვარად, ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე, თითქმის ორი საუკუნის მოგვიანებით ფეხადგმული, პირველად უცხოეთში იწყებს განვითარებას. ეს გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ, რომ მე-15—17 საუკუნეებში საქართველო განუწყვეტელი სისხლის მღვრელი დაპყრობის და მუდმივი შინაგანი განხეთქილების ასპარეზად იყო გადაქცეული და სწორეთ იმ წლებში, როცა რომში პირველი ქართული წიგნები იბეჭდებოდა, საქართველო ერთ-ერთი დიდი ისტორიული უბედურების — შაჰ აბაზის შემოსევა, 300.000 ქართველის გადასახლება სპარსეთში, ფეოდალთა ომები — პერიოდში იმყოფებოდა.

II. ვახტანგის სტამბა თბილისში 1709—1722

1709 წ. თბილისის სტამბიდან გამოდის პირველი ნაბეჭდი წიგნები. ამ დროიდან ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს მკვიდრი საფუძველი ეყრება.

მტკვრის ნაპირას, თავისი სასახლის მახლობლად, ვახტანგ მეექვსე სპეციალურად აგებს სტამბის სახლებს,² დიდი მატერიალური ხარჯის გაწევით იწერს ვლახეთიდან მესტამბეს და სტამბის მოწყობილობას და ენერგიულად აწარმოებს წიგნების ბეჭდვას.

ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს არც ერთ მეზობელ ქვეყანაში არ იყო შემოდებული წიგნის ბეჭდა. ცნობილია, რომ თვით ირანში მეცხრამეტე საუკუნემდის ხელით წერას მიმართავდნენ.

¹ C. Biörkhom. Henrik III Keyzers Ceorgiska stilprov, Stokholm. 1935. ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში 1686-87. თბილისი, 1937.

² თ. ჟორდანიას. ქართულ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი, 1903 წ. გვ. 98, 103.

ბიბლიურისა და საეკლესიო შინაარსის წიგნებს გარდა თბილისში იბეჭდება მე-12 საუკუნის პოეზიის შესანიშნავი ნიმუში შ. რუსთაველის პოემა-რომანი—„ვეფხისტყაოსანი“ (1712. № 15); ორიგინალური სახელმძღვანელო „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ (1711 წ. № 12) და მეცნიერული შინაარსის წიგნი: „ქმნულების ცოდნის წიგნი“ (1721 წ. № 22).

ვახტანგის სტამბის წიგნების თავსა და ბოლოში მოთავსებული ანდერძები (წინა და ბოლოსიტყვაობანი), რომელთა ტექსტებსაც ჩვენ აქ სრულად ვაქვეყნებთ, ძვირფას ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს შეიცავენ. ისინი დაწერილი არიან მარტივი, ხალხური ენით. ასეთივე ენით არის დაწერილი გერმანეს მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი (№ 12).

ვახტანგის სტამბის წიგნების საკმაოდ დიდი ნაწილი დაბეჭდილია მხედრული შრიფტით — №№ 10, 12, 13, 15, 22, 23. მხედრული შრიფტი ნაწილობრივ გამოყენებულია აგრეთვე №№ 8 და 9-ში.

ბიბლიურისა და საეკლესიო შინაარსის წიგნების ქართული ტექსტები შეჯერებულია ბერძნულ ტექსტებთან (ნიკოლოზ ორბელიანის ანდერძი: № 5, გვ. 9; № 9, გვ. 16; № 18, გვ. 25. კვიპრიანე სამთავნელის ანდერძი: № 16, გვ. 22. დომენტი კათოლიკოსის ანდერძი: № 20, გვ. 26).

ვახტანგის სტამბის წიგნების შრიფტი და მთელი მხატვრულ—ტექნიკური გაფორმება იმდენად მაღალ დონეზე სდგას, რომ მიუწვდომელ იდეალად ხდება მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც საქართველოში, აგრეთვე რუსეთში მოწყობილი ქართული სტამბებისათვის.

მორიგი ისტორიული კატასტროფა ბოლოს უღებს ვახტანგის გაბედული ნოვატორობით აღორძინებულს პირველ სტამბას თბილისში. 1723 წლიდან ვიდრე 1748 წლამდე საქართველოში შეუძლებელი ხდება ორგანიზული კულტურული საქმიანობის წარმოება.

ამ წლებში საქართველო ჰკარგავს არა მარტო პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ნანგრევებად ქცეულს კულტურულ ცენტრს — თბილისს, არამედ მთელ განათლებულ თაობას (1.400 კაცი), რომელიც ვახტანგთან ერთად გადაიხვეწება რუსეთში 1724 წ. მათ შორის არიან ს. ს. ორბელიანი და მისი ძმები, სხვათა შორის ცნობილი სტამბის მოღვაწე ნიკოლოზ ორბელიანი — ტფილელი, ვახუშტი, იოსებ სამეხელი და სხვ.

III. ქართული სტამბა მოსკოვსა და პეტერბურგში 1737 — 1744

მაგრამ ქართული წიგნის ბეჭდვა, საქართველოში მთელი მეოთხედი საუკუნით შეფერხებული, განაგრძობს განვითარებას მოსკოვში, სრულიად ახალ, უჩვეულო პირობებში. აქ 1737 წ. გამოდის პირველი წიგნი (№ 25) და 1737 — 1744 წწ. — შუა, სულ რაღაც შედიოდნე წლის მანძილზე, საქართველოდან გადახვეწილი ვახტანგის თანამოღვაწენი ახერხებენ თერთმეტი დიდტანიანი წიგნის გამოცემას (№ № 25 — 30, 33 — 37). სხვათა შორის ბეჭდავენ ბიბლიას, ანუ დაბადების წიგნს (1743 წ. № 33) და იოანე დამასკელის „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა“-ს, არსენი იყალთოელის თარგმანს (1744. № 35).

ქართული შრიფტი მოსკოვის სტამბისათვის კეთდება პეტერბურგში, სტამბის დიდი მოღვაწის ქრისტეფორე გურამიშვილის¹ ხელმძღვანელობით. ამავე პირის მონაწილეობით ეწყობა სტამბა პეტერბურგშიაც (სამეცნიერო აკადემიასთან 1736 — 1737 წწ.). ამ სტამბიდან გამოსული რუსულ-ქართული ანბანი ლოცვებითურთ, ლათინური ლოცვების ტექსტებითა და გერმანული შენიშვნებით, დაცულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, ლენინგრადში. ეს უდიდესი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა ჩვენ ვნახეთ პროფესორ ვ. დონდუას თავაზიანი ყურადღების წყალობით. სამწუხაროდ დავვიანებით მივიღეთ ამ წიგნის ზოგიერთი გვერდების ფოტო-პირები და სრულებით ვერ მივიღეთ მისი აწერილობა, ჩვენს ბიბლიოგრაფიაში მოსათავსებლად.²

¹ Б. Булич. От прк истории языкования в России. I СПб. 1904. гв. 475—476.

² ამ „ანბანის“ შესახებ Б. Булич. Очерк истории языкования в России т. I, гв. 479. და ქრ. შარაშიძე. ქართული ნაბეჭდი ანბანები მეცხრამეტე საუკუნემდე გვ. 12—13.

პეტრე I-ლის შემდგომი პერიოდის რეაქციური რეჟიმი (1737 — 1744 წწ.) ვერ იქნებოდა ხელის შემწყობი ქართული სტამბის მუშაობისათვის მოსკოვში. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი საბუთებისა, რომლებიც მოწმობენ, რომ ქართული წიგნების ბეჭდვა შეზღუდული იყო საცენზურო ხასიათის შევიწროების გამო. ამას მოწმობს მოსკოვში 1741 წ. დაბეჭდილი მარხვანის (№ 30) ჩვენ მიერ აწერილი ცალებიც. გარდა წ.-კითხვის წიგნთსაცავისეულ ფონდში დაცული ცალისა, ამ წიგნის ყოველ ცალს მოგლეჯილი აქვს თავფურცელი და მის ანდერძში წაშლილია 10-დე სიტყვა. შემთხვევით გადარჩენილ თავფურცელში (ნ. გვ. 40) იხსენიება — იმპერატორი იოანე ანტონის-შვილი, ხოლო ანდერძში ამოშლილია სახელები იმპერატორთა ანა იოანესი და ქვემოთ შეიდი სიტყვა ფრაზიდან:

„და მერმე ზემოხსენებული იგი დიდი ხელმწიფე გარდაიცვალა და იპყრობდა დისწული მისი იმპერატორი იოანე ანტონის შვილი.“¹

სწორედ ასეთ ამოშლილ ადგილებს თქვენ ნახავთ რუსეთის სტამბიდან 1741 წელს გამოსულ ზოგიერთი რუსული წიგნის თავფურცელშიაც². აქაც ამოშლილია იმპერატორი იოანე ანტონის ძის სახელი. საქმე ის არის, რომ ამ „იმპერატორმა“, რომელიც ამ დროს 2 წლისა იყო, სულ რამდენიმე თვე იმეფა. სამეფო კარის ამბოხების გზით, 2 წლის იმპერატორი ტახტიდან ჩამოაგდეს და დაატყვევეს (შემდეგში, როცა წამოიზარდა, მოჰკლეს კიდეც). მისი სახელი წაშალეს ყოველგან, საცა კი შესაძლებელი იყო. საგანგებოდ მოითხოვეს ამ წელს გამოსული ყველა ნაბეჭდი წიგნები, რათა ან წიგნები მოესპოთ მთლიანად, ან თავფურცლებში მოხსენებული ექს-მეფის სახელი ამოეშალათ. ჩვენ გვაქვს საბუთები, რომლებიც მოწმობენ, რომ სწორედ ამ ხანებშიც მიაპყრო ყურადღება ცენზურამ მოსკოვის სტამბის ქართულ წიგნებსაც. ამის გამო სასწრაფოდ მოითხოვეს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული წიგნების წარდგენა სინოდში.³ ალბათ ამ ხანებში მოაცილეს მოსკოვის მარხვანის ხსენებულ ცალებს თავფურცლები. უქვევლია ამ დროსვე ამოშლიდნ ამ წიგნის ანდერძში ხსენებულ ათ სიტყვას. ამგვარად, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული 1741 წლის მარხვანის გამოცემის სრული ცალი შემთხვევით გადარჩენილ უნიკუმს წარმოადგენს.

რუსეთში 1736 — 1744 წწ. გამოსული ქართული ნაბეჭდი წიგნები განსხვავდებიან ვახტანგის სტამბის (1709 — 1722) წიგნებისაგან, როგორც გარეგნული გაფორმებით, აგრეთვე ზოგიერთი შინაგანი თვისებითაც.

ვახტანგის სტამბის წიგნები უმეტეს შემთხვევაში მდიდრულად გაფორმებული არიან. მართალია, მათი შემკულობანი თითქმის მთლიანად დასავლეთ ევროპის სტამბის წიგნებიდან გადმოღებული ჩანს. მაგრამ ამ შემკულობათა ორნამენტების დალაგებასა და კომბინაციაში (გვ. 27), განსაკუთრებით სამეფო ღერბებისა და ვახტანგის პორტრეტების გაფორმებაში, ორიგინალური ქართული შემოქმედება ჩანს (ნ. გვ. 20, 23, 27, 28, 31). მდიდარია ვახტანგის სტამბა აგრეთვე შრიფტების ნაირობითაც (გვ. 14, 16, 30).

მოსკოვის სტამბის წიგნებში აღარ ათავსებენ სტამბის დიდ მოღვაწეთა პორტრეტებს. ამ წიგნების შემკულობანი მთლიანად რუსული სტამბის გამოცემებიდან ნასესხები არიან. წარწერებიც კი შემკულობაზე — ბევრგან სლავიანური არის დატოვებული (გვ. 40).

ორიგინალობა შერჩენილი აქვს მხოლოდ ბაგრატიონთა ღერბის გაფორმებას (გვ. 36).

როგორც ვიცით, ვახტანგის სტამბის წიგნების საკმარისად დიდი პროცენტი მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი. მოსკოვის სტამბა მხოლოდ ნუსხურ შრიფტს ხმარობს.

მოსკოვის ქართული გამოცემების ანდერძებიც მდიდარ კულტურულ-ისტორიულ მასალას წარმოადგენენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახუშტის ვრცელი ანდერძი, მოთავსებული ბიბლიის ბოლოში (№ 33, გვ. 46 — 47).

¹ ამოშლილია დამარცვლული სიტყვები.

² Б. Издания церковной печати времен импер. Елисаветы Петровны: гв. VIII, IX, X. Петроград—1914.

³ Б. Архив Коллегии иностранных дел. Грузинские дела. Картон 45. Дело 1745 г. № 2. Москва. ამონაწერი და მთელი რიგი მასალებისა გადმოგვცა პავლე ინგოროყვამ.



ანდერძებიდან, სხვათა შორის, გავიგებთ, რომ ქართული წიგნების ტექსტები მოსკოვში, ვახტანგის სტამბის წიგნების ტექსტებისაგან განსხვავებული პრინციპით მზადდება. დასაბუთებული ტექსტების შემოწმება სწარმოებს არა ბერძნულ, არამედ სლავიანურ ტექსტებთან შედარების გზით (შეად. № 26, გვ. 35 და № 30, გვ. 40).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მოსკოვის სტამბის 1737—1744 წწ. თერთმეტი წიგნიდან ოთხი რუსულიდან არის ნათარგმნი (№№ 27, 28, 36, 37).

ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვისათვის, აქვე აღნიშნავთ, რომ მეთვრამეტე საუკუნის ამ პერიოდში გვაქვს რომის ქართულ სტამბაში დაბეჭდილი ორი წიგნიც (№№ 31, 32). ორივე დაბეჭდილია მხედრული შრიფტით; დაწერილია „ფრიად მსოფლიერს ენასა ზედა“ (№ 31, გვ. 43. მთარგმნელის ანდერძი).

IV. ქართული სტამბები მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში

1749 წ. აღსდგა ნანგრევებიდან თბილისის სტამბა, განახლებული ირაკლი II და ანტონი I-ის შრომით (ნ. № 38).

1762 წ. მოსკოვში თვრამეტი წლით შეწყვეტილი ქართული წიგნის ბეჭდვაც განახლდა ათანასე ამილახვარის ინიციატივით და ხარჯით და 1762 — 1768 წწ. ცხრა გამოცემის დაბეჭდვა მოასწრო (№№ 43, 46, 48 — 51, 53 — 55).

მიუხედავად თბილისში განახლებული სტამბის გამოცემათა რიცხვობრივი სიმცირისა, სტამბის აღდგენა საქართველოში უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. იგი მოწმობს, რომ სტამბის მოწყობა შემთხვევითი საქმე არ ყოფილა საქართველოში, რომ აქ მართლაც მომწიფებულა წიგნის ბეჭდვის ნამდვილი მოთხოვნილება.

თბილისის განახლებული სტამბის ნაყოფიერება, მისი არსებობის თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე (1749 — 1795), მეტად არათანაბარია. პირველი, უფრო ხანგრძლივი პერიოდი (1749 — 1782 წწ.) აღნიშნულია წიგნის ბეჭდვის განვითარების საკმარისად მოღუწებული ტემპით თბილისში. 30 წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ამ სტამბიდან გამოსული რვა თუ ცხრა წიგნი (№№ 38 — 40, 44, 45, 47, 52, 56). იმ დროს, როცა ვახტანგის სტამბამ 14 წლის მანძილზე — 20, მოსკოვის (ბაქარის და იოსებ სამებელის) სტამბამ 8 წელიწადში 11 წიგნი გამოუშვა.

მსგავსად მოსკოვის ქართული სტამბისა, 1782 წლამდე არც ერეკლე II-ს მიერ განახლებულ სტამბას მოეპოვება მხედრული შრიფტი. ამ პერიოდის თბილისის სტამბის მოღვაწეთა მეტად საყურადღებო ანდერძები გვიჩვენებენ, რომ მე-18 საუკუნის შუაგულიდან საქართველოს კულტურული ორიენტაცია უკვე საგრძნობლად არის მიბრუნებული რუსეთისაკენ. ბერძნულ ტექსტებს იშვიათად თუ მიმართავენ. სანიმუშოდ უფრო ხშირად სლავიანური ტექსტები არის მიჩნეული (№ 40).

მოსკოვის სტამბის წიგნებთან შედარებით თბილისში 1749 — 1782 წწ. ნაბეჭდ წიგნებში ახალი ის არის, რომ თბილისის წიგნების გამომცემელნი უდიდესი ყურადღებით ეპყრობიან ტექსტების სტილისტურ მხარეს. აქ პირველად შემოდის ხმარებაში ტერმინი ღრამმატიკისა კანონთა ზედა გამართვა ტექსტისა. ასეთი „გამართვა“ 1764 წლიდან სავალდებულო ხდება თითქმის ყოველი დასაბეჭდი ტექსტისათვის (ნ. №№ 47, 58, 64, 65, 70 და სხვ.).

1782 — 1795 წწ. სასტამბო საქმეს საქართველოში ერთგვარი აყვავების პერიოდი უდგება. ეს გარემოება დაკავშირებულია იმ ეკონომიურ მოლონიერებასთან, რომელიც დაეტყო ქართლ-კახეთის სამეფოს აღამაჰმად ხანის შემოსევის წინა წლებში.

მეთვრამეტე საუკუნის 60-იან წლების გამოცემების თავფურცელსა და ანდერძებში ირაკლი II იხსენიება როგორც „ორჯის მაახლი წიგნთსაბეჭდავისა“. 1780 — 1782 წწ. ერეკლემ მესამეთ და უკანასკნელად ჩაატარებინა დაძველებული იარაღებისა და შრიფტის სრული შეცვლა-განახლება კონსტანტინოპოლიდან სავანეებოთ გამოწვეულს ოსტატს (ნ. №№ 57 და 58).

ხსენებული ოსტატისათვის ჩამოუსხმევინებიათ, როგორც ნუსხური, აგრეთვე მხედრული შრიფტიც, რომელიც ამ დროიდან ისევ პოულობს მოქალაქეობრივ უფლებას 1722 წლიდან მიყოლებული ხარვეზის შემდგომ (ნ. №№ 60, 61).

მეთვრამეტე საუკუნის 90-იან წწ. თვით თბილისში სწარმოებს შრიფტის გაკეთება-ჩამოსხმა (ნ. № 71, გვ. 67. II სვეტი).

წიგნის ტექნიკურ მხარესთან ერთად ამ ხანებში მისი მხატვრული მხარეც ვითარდება. თბილისის სტამბის წიგნი მე-18 ს. 90-იან წლებში თავს აღწევს წაბაძულობის სტადიას და ორიგინალურ მხატვრულ ამოცანებს ისახავს. განსაკურებით ნათლად ჩანს ეს ფაქტი 1793 წ. დაბეჭდილი მარხვანის ორნამენტების და სხვა შემკულობათა მხატვრულ კომპოზიციებში (№ 74, გვ. 69, 70, 72). ეს წიგნი არაჩვეულებრივად მდიდარია ნაირნაირი შემკულობით. მისი შრიფტი, ორნამენტები, თავკაზმულობანი და ბოლოკაზმულობანი უძველესი თავისებურების ნიშანს ატარებენ.

1795 წელს ახალი ისტორიული უბედურება — აღამაჰმად-ხანის თავდასხმა — მეორეთ მარხავს ნანგრევებქვეშ თბილისის სტამბას.

ჩვენს აწერილობაში მოთავსებული თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საისტორიო-საეთნოგრაფიო ფონდის ერთ-ერთი ძველი ნაბეჭდი წიგნის (მარხვანი. მოსკოვი. 1741. № 30). ფურცლებზე მოთავსებული მინაწერები გვიხატავენ თბილისის აკლების დიდი ეპოპის ერთ-ერთ ეპიზოდს. ხსენებული წიგნი ერეკლე მეფის საკუთრება ყოფილა:

„მისის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის მეფის

ირაკლისა ვარ. ჩემს წარტყვენას ნუ ვინ ჯელყოფთ, თორემ დაისჯებით“.

ვკითხულობთ ტობ გვერდზე (ნ. გვ. 42. მინაწერის პირი).

ამავე წიგნის უკანასკნელი გვერდის ბოლოში ვკითხულობთ სხვა მინაწერს:

„დროსა ტფილისის მოხრებისასა წამოღებული და ტყვე ქმნილი მარხვანი ესე ვპოვე მე დიაკონმა გრიგოლმა ქალაქსა რევენისასა, რომელსა ეწოდების სახელად ერევანი. წელსა 180 [0].“

1800 წელს თბილისის ძველი სტამბა ნაწილობრივ აღდგენილი ჩანს (№№ 83, 85). მაგრამ ეს აღდგენა მომავლადის უკანასკნელ წამოწევას ემსგავსება.

1801 წ. მეფის რუსეთის „განაპირა კუთხეთ“ ქცეული მხარე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში უცხო კულტურულ ვითარებასთან შეგუების მტკივნეულ მდგომარეობაში იმყოფება და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებიდან ახერხებს გონებრივ და სულიერი ცხოვრების ახალი ფურცლების გაშლას.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ქართული წიგნები საქართველოს გარეშეც იბეჭდება (№ 88).

ზემოთ მოვიხსენეთ ათანასე ამილახერის სტამბა (მოსკოვი. 1762 — 1768). შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ სტამბის საქმიანობის მოსკოვში სწორეთ იმ წლებში გაშლა, როცა თბილისის სტამბის მაჯისცემა საკმარისად მისუსტებულა.

ს. პეტერბურგის ქართული სტამბაც, რომელმაც 1736 — 37 წწ. ერთად-ერთი წიგნი, ჩვენს ბიბლიოგრაფიაში არ შესული, რუსულ-ქართული ანბანი (ნ. გვ. IX) მოგვცა, 1761 წ. თეიმურაზ II სამეცნიერო აკადემიაში მისვლის გამო, ისევ ამჟღავნებს სიცოცხლის ნიშანწყალს თეიმურაზისადმი რვასტრიქონიანი „მისალმების“ სახით (ნ. № 42). პეტერბურგშივე უნდა იყოს დაბეჭდილი აგრეთვე ეკატერინე II და ერეკლე II შორის 1783 წ. დადებული ხელშეკრულება (№ 59) და ეკატერინე II მანიფესტი ზუბოვის ლაშქრობის გამო (№ 79).

განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს ქართული სტამბის ამუშავება მოზდოკში (1796- -1801 წწ. №№ 78, 80, 81, 87).

მოზდოკის სტამბა იმ ხანებში მოზდოკში მცხოვრებ გაიოზ რექტორის ინიციატივითა და ხარჯით არის მოწყობილი. გაიოზის იდეას ხორცს ასხამს თბილისიდან აღამაჰმად-ხანის შემოსევის გამო გადახვეწილი სტამბის დიდი ოსტატი რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი. ეს პიროვნება სტამბის სასინჯად დაბეჭდილს გაიოზისადმი მიმართულს წერილში თვითონვე მოგვითხრობს მოზდოკის სტამბის მოწყობის მეტად საინტერესო ამბავს (№ 78). მოზდოკის სტამბის გამოცემებიდან სულ ოთხს ვიცნობთ. ამათ შორის გაიოზის „ანბანი“ სასტამბო ხელოვნების შედეგს წარმოადგენს (ნ. № 80, გვ. 73).

1800 წელს რომის ქართული სტამბაც ბეჭდავს „საქრისტიანო მოძღუარების“ (ნ. № 31) მეორე გამოცემას (№ 82).

იმერეთის ძველი სტამბების წიგნები 1800 — 1817

ათი წლით ადრე რუსეთთან შეერთებამდე იმერეთშიაც იწყებს მოქმედებას პირველი სტამბა. 1799 წ. სოლომონ II სპეციალურად გზავნის მოსკოვს მესტამბე გიორგი პაიჭაძეს. პაიჭაძე იძენს იქ სტამბის იარაღებსა და შრიფტს და 1800 წელს ბექდავს ქუთაისის სტამბაში პირველ წიგნს (ნ. № 84). ამ წიგნის ბოლოში მოთავსებული გ. პაიჭაძის ანდერძი მოგვითხრობს სტამბის მოწყობის და პირველი წიგნის დაბეჭდვის ამბავს (გვ. 77, № 84).

1803 წ. ქუთაისის სტამბას აახლებს და სათავეში უდგება მოზდოკიდან გადმოსული თბილისის სტამბის ოსტატი რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი. № 94-ს ორი ვარიანტის ანდერძებიდან ჩანს, რომ ამავე ხანებში დაუტოვებია ეს სტამბა გიორგი პაიჭაძეს, რომელსაც 1805 წელს უკვე მოსკოვის ქართული სტამბის მუშაკად ვხედავთ (ნ. № 95 ანდერძი, გვ. 84).

იმერეთის სტამბა 1809-სა და 1811 წელს ს. წესში მუშაობს (ნ. №№ 99 და 101). ხოლო 1815 — 17 წწ. ეს სტამბა საჩხერეში, ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კარზე ბექდავს წიგნებს (№№ 104, 109, 110).

V. 1800 — 1867

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული წიგნის ბექდა-გამოცემის საქმე თბილისში შეფერხებულია.

1801 — 1815 წწ. არ გვაქვს არც ერთი თბილისში დაბეჭდილი წიგნი. გამონაკლისს წარმოადგენს იოანე ქართველი შვილის უთარილო გრამატიკა, რომელიც ვარაუდით თბილისში 1815 წ. გამოცემულად ითვლება (№ 106).

ასეთი ხანგრძლივი პერიოდით წიგნის ბეჭდვის საქმე თბილისში ერთხელაც არ ჩამცხრალა მეცხრამეტე საუკუნის 50-ანი წლებიდან მოყოლებული.

1801 — 1837 წწ., ე. ი. თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში თბილისში გამოდის სულ შვიდი თუ რვა წიგნი (№№ 106, 108, 114, 118, 121, 124, 160). ამათგან 4 — სასულიერო-საეკლესიო შინაარსის არის, ნუსხური შრიფტით ნაბეჭდი. მათ შორის ოსური საციკრონი ლოცვანი, ქართული (ნუსხური) შრიფტით დაბეჭდილი, ოსური ბგერების თავისებურებისათვის საგანგებოთ გაკეთებული რამდენიმე დამატებითი ნიშნით (№ 121). ასეთივე შრიფტით არის დაბეჭდილი მოსკოვში 1821 წ. გამოცემული ოსურ-ქართული „კონდაკი“ (ნ. № 125, გვ. 91).


მხედრულად ნაბეჭდ წიგნებში საყურადღებოა ხსენებული გრამატიკა იოანე ქართველი შვილისა, დაბეჭდილი ნარევი ნუსხურ-მხედრული შრიფტით (№ 106) და „შეკრება რუსულთა უზნობათა საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვითა ქართულისა თარგმანისათა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“.

ჩვენ მიერ აღწერილი № 118 წიგნი მეორე გამოცემას წარმოადგენს. პირველი გამოცემა, რომელიც ჩვენი ბიბლიოგრაფიის გარეშე დარჩა, ცნობილი იყო მხოლოდ 1821 წ. „ქართული გაზეთის“ № 12 (გვ. 4) განცხადების წყალობით.

ახლახან საქართველოს სახ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში აღმოჩნდა პირველი, გაცილებით უფრო საინტერესო გამოცემა. აქ რუსული ფრაზები ქართული ტრანსკრიპციით არის მოცემული, რაიც ცხადად გვიჩვენებს რუსული დამწერლობის გავრცელებულობის მეტად შეზღუდულ ფარგლებს იმდროინდელ საქართველოში.

მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი ს. დოდაშვილის 1830 წ. გამოცემული გრამატიკაც.

1838 წლიდან ქართული წიგნის გამომცემლობას თბილისში ერთგვარი გამოცოცხლების ნიშნები ემჩნევა. ამ ერთი წლის განმავლობაში გამოდის მხედრული შრიფტით დაბეჭდილი სამი წიგნი.



1. პლატონ იოსელიანის მიერ შედგენილი „ანბანი“ — № 169, რომელიც შემდგომში ათეული წლების მანძილზე თერთმეტ გამოცემათ გამოდის.

მეორე და მესამე წიგნი XII ს. ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშებს წარმოადგენენ (იმავე პლატონ იოსელიანის გამოცემები).

1712 წელს შემდეგ (ვახტანგის სტამბის „ვეფხისტყაოსანი“) თბილისში პირველად გამოდის ძველი საერო ლიტერატურის ძეგლები.

საერთო რიცხვით მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში სულ 19 წიგნი გვაქვს, ე. ი. იმაზე ნაკლები, რაც ვახტანგის სტამბამ გამოსცა თბილისში თავისი არსებობის 14 წლის მანძილზე, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში.

სხვა სურათი გვხვატება, როცა ამავე პერიოდის მოსკოვისა და, განსაკუთრებით, პეტერბურგის ქართული გამოცემების რეპერტუარს ვეცნობით.

1805 — 1851 წწ. განმავლობაში მოსკოვში გამოდის 35 ქართული წიგნი (№№ 95, 107, 120 და სხვ.). ამ წიგნების უდიდესი ნაწილი დაბეჭდილია ნუსხური შრიფტით, სინოდის სტამბაში და რელიგიური შინაარსის არის. შიგადაშიგ საერო შინაარსის წიგნებიც ურევია. მაგ. სასკოლო სახელმძღვანელოები (№№ 141, 142 — „ანბანი“ „გრამატიკა“), „შეკრება რუსულთა უბნობათა“ — მესამე გამოცემა (№ 150).

მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს პოპულარული სამკურნალო-პროფილაქტიური ლიტერატურის სერია „შტაბ-ლეკარის“ პეტრე კლაპიტანოვის მიერ „გადმოღებული“ და მისივე ხარჯით გამოცემული მოსკოვში. ამ წიგნების (№№ 143, 144, 145, 156) უმეტესობა რუსულიდან უნდა იყოს გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილი და „შეწყობილი“ მიხედვისამებრ საქართველოს პავისა და ჩუშულებისა მცხოვრებთა მისთა“. (ნ. № 156). ფართო გავრცელების მიზნით ავტორი (იგივე გამომცემელი) ყოველი გამოცემის 400-400 ცალს „სდებს“ საქართველოში „უფასოდ დასარიგებლად“.

რიცხვით ნაკლები, მაგრამ შინაარსით უფრო მდიდარია სანკტ-პეტერბურგის გამოცემები (1818 — 1850 წწ.): 22 ქართული, ქართულ-რუსული, ქართულ-ფრანგული წიგნი. ისინი, ერთის გამოკლებით (№ 131), მხედრული შრიფტით არიან დაბეჭდილი, შინაარსით — საერო-სამეცნიერო. ამ წიგნების ავტორები და მთარგმნელები არიან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოდან გადასახლებული სამეფო გვარეულობის წევრები და მათთან დაახლოვებული პირები.

ქართველი ბაგრატიონების უკანასკნელ წარმომადგენელთა მიერ დაწყებული ქართული წიგნების გამომცემლობა ს. პეტერბურგში წარსული საუკუნის 40-იან წლებში უკავშირდება ქართველოლოგიურ კერას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან.

ამ კერას ეკუთვნის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიის დიდი მამაგე აკადემიკოსი მარი ბროსე და ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილი. ესენი აქვეყნებენ მთელ რიგ შესანიშნავ გამოცემებს: რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ 1841 წ. (№ 182 და მეორე გ-მა 1860, № 266), ვახუშტის შესანიშნავ გეოგრაფიულ ნაშრომს (№ 184). კლასიკური ქართული ლიტერატურის ქრესტომატიებს (№№ 194, 195; მეორე გამოცემა №№ 296, 297). „ქართლის ცხოვრების“ სახელით ცნობილს ქართულ საისტორიო თხზულებათა კრებულის I-სა და II ნაწილს (№ 205, 238). დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებს (№№ 176, 193). და სხვა.

მარი ბროსეს რუსეთში გამომგზავრებამდე, პარიზში გამოდის რიგი ქართული საისტორიო და ლინგვისტური ხასიათის ნაშრომებისა (№№ 157, 165, 167). სამწუხაროდ, ჩვენ არ აგვიწერია ფრანგულ-ქართული ტექსტები, გამოქვეყნებული პარიზში მარი ბროსეს მიერ. პარიზის ეს გამოცემები ს. პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის გამოცემათა ქართველოლოგიურ სერიის წინა გამოცემებად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მარი ბროსეს საოცრად ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობის დასაწყისი სტადია.

ს. პეტერბურგში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დამკვიდრებული ქართული საგამომცემლო საქმის ტრადიცია იმდენად მტკიცეა, რომ სამოციან წლებშიც კი, როცა ქართული წიგნის ბეჭდვის ცენტრად კვლავ თბილისი ხდება, ს. პეტერბურგში გამოდის შესანიშნავი ქართული წიგნები: ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ — პირველი გამოცემა (№ 262), კირილე ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი „ჩონგურის“, სადაც პირველად ქვეყნდება ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა

და სხვ. პოეზიის ნიმუშები (№ 299). საფიქრებელია, რომ ს. პეტერბურგში საცენზურო პირობები ამ დროს, საქართველოსთან შედარებით, ნაკლებ შემზღუდავი იყო.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ გვაქვს მანიფესტების, მოწოდებებისა და სხვადასხვა ოფიციალური ფურცლების, განკარგულებების, დებულებების — მთელი რიგი (№№ 86, 87, 88, 89, 92, 117, 126, 128, 148, 149, 154, 155, 166, 183, 188, 241 და სხვა). ამ ფასდაუდებელი მნიშვნელობის ნაბეჭდი ისტორიული საბუთების აწერილობანი, ზოგიერთი მათგანის პირების ჩვენებით, პირველად ქვეყნდება. აქ არის საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი და ამ აქტთან დაკავშირებული სხვა ოფიციალური განცხადებანი. იმერეთის აჯანყების (1820 წ.) გამო დაწერილი „საერო განცხადება მცხოვრებთადმი იმერეთისა“ (№ 126), აჯანყების მეთაურთა სიის დართვით (93 — 94 გვ.), ბრძანებანი და მოწოდებანი (№№ 154, 155), რომელშიაც შექმნილია ქართველ მხედართა ვაჟკაცური თავგანწირვა მეფის რუსეთის არმიის ომებში; 1832 წ. შეთქმულების მონაწილეთა დაპატიმრებასთან დაკავშირებული „განცხადება“ (№ 166) და სხვ. მრავალი, აქამდის უცნობი საბუთის აწერილობა.

საბუთების ეს კოლექცია იმითაც საყურადღებოა, რომ ოფიციალური სახელმწიფო (რუსული) ენის გვერდით აქ ყოველგან ქართული ენაც იხმარება. ეს ტრადიცია ეტყობა საკმარისად დიდხანს ცოცხლობს. იგი 1865 წლამდის მოდის. ამ წელს, თბილისის ამქართა აჯანყების ჩაცხრობის გამო, გრიგოლ ორბელიანისადმი უზენაესი რესკრიპტის ტექსტიც კი რუსულ-ქართულ ენაზედ არის დაბეჭდილი (№ 319).

არა ნაკლებ საყურადღებოა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებული ოფიციალური აქტები (№№ 278, 308, 315, 325, 328, 336, 337, 340, 349, 352).

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული წიგნი გადაჭრით უბრუნდება მშობლიურ კერას და ამ დროიდან თბილისის გამოცემები რიცხვობრივად გარკვევით სჭარბობენ საქართველოს გარეთ გამოსული წიგნების რაოდენობას.

1850-იანი წლები ქართული კომედიის აყვავების პერიოდია. გიორგი ერისთავის „გაყრა“ იწყებს ეროვნული კომედიის (გ. ერისთავი, ზურაბ ანტონოვი) ნიმუშების გრძელ წყებას (№№ 208, 211, 212, 216 — 220 და სხვ.) სულ 15 სახელწოდება.

თვალსაჩინო ადგილი უჭირავს 1851 — 1867 წწ. გამოცემებში ანბანებს და პირველ საკითხავ წიგნებს. გარდა პლ. იოსელიანის ანბანისა, რომელიც 1863 წ. მეთერთმეტე გამოცემად გამოდის (№ 291), ჩნდება სხვა ავტორების: ი. კერესელიძის (№№ 256, 261, 270, 276), ს. მდივანოვისა (№№ 289, 330), დიმიტრი ფურცელაძის (№ 295), პეტრე უმიკაშვილის (№№ 306, 322, 333) ანბანები. 1865 წ. იწყებს თავისი სახელმძღვანელოების ბეჭდვას მე-19 ს. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილიც (№№ 314, 338).

ამავე პერიოდში ქართული სახელმძღვანელოების წრეში, ტრადიციული ანბანებისა და გრამატიკების გვერდით, ვხედავთ ფოგელის „არითმეტიკას“, ნათარგმნს და დამატებულს მიხეილ ყიფიანისა და ვახტანგ თულაშვილისაგან (№ 283).

პლატონ იოსელიანის გამოცემებიდან აღსანიშნავია მეთვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ძეგლები: მოგზაურობანი იონა გედევანიშვილისა და ტიმოთე გაბაშვილისა (224, 226), ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა“ (№ 229), არჩილის „ცხოვრება მეფისა თეიმურაზისა“ (№ 231), პლ. იოსელიანის ორიგინალური საისტ. მონოგრაფია „ცხოვრება მეფის გიორგის XIII-სა“ (№ 344).

ნათარგმნ ლიტერატურაში გვაქვს ჟორჟ სანდის „გრიბული“, ფრანგულიდან თარგმნილი დ. ყაფიანის მიერ (№ 321), ა. გრიბოედოვის „ვაიკუისაგან“ (№ 232) და სხვ.

1862 წ. ჟურნ. „ცისკარის“ რედაქცია სცემს იოანე ბატონიშვილის კალმასობის I ნაწილს (№ 277; მეორე ნაწილი № 343). მრავლდება ამ პერიოდში აგრეთვე სხვადასხვა კალენდრების რიცხვი.

1867 წელს თბილისში, პირველად ვახტანგის გამოცემის შემდეგ (1712 წ.), იბეჭდება შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (№ 347).

სამეცნიერო ლიტერატურაში საყურადღებოა „რანჩევსკის საჯარო ლექციები ადამიანის ანატომიაზე“ (№ 292) და „ამბები ძველის დროების ხალხებზედ“ (№ 327).

ამ პერიოდის ქართული გამოცემების რკალს ამთავრებს ილია ჭავჭავაძის „გლეხთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“ (№ 353)—ამ ავტორის ეს პირველი ნაწარმოები, რომელიც ცალკე წიგნაკის სახით იხილა ქართველმა საზოგადოებამ. უნიკალური ცალი ამ გამოცემისა დაკულია ლიტერატურულ მუზეუმში (თბილისი).

1851—1867 ქართულ გამოცემათა რიცხვს შესამჩნევი ზრდა ეტყობა. თექვსმეტობდე წლის განმავლობაში იბეჭდება 142 წიგნი. იმაზე მეტი, რაც მეცხრამეტე საუკუნის პირველი 50 წლის განმავლობაში (1801—1851 წწ. დაიბეჭდა 134-დე გამოცემა).

საქართველოს კულტურის უძველესი ცენტრი—თბილისი, რომელიც 1801—1851 წ.წ. ქართული წიგნის გამომცემლობის საქმეში მეტად ჩამორჩენილი ჩანს, კვლავ ქართული წიგნის გამომცემლობის ცენტრად იქცევა. ამ პერიოდში გამოსული 142 გამოცემიდან 106 თბილისში არის დაბეჭდილი. მაშინ, როცა მე-19 ს. პირველ ნახევარში (1801—1851) 134 წიგნიდან თბილისში მხოლოდ 21 გამოც. იბეჭდება.

თბილისში ქართული პოლიგრაფიული საქმის წარმატების შესაბამისად, ვამჩნევთ ქართული წიგნის გამომცემლობის შესუსტებას საქართველოს გარეშე: მოსკოვში, ს. პეტერბურგსა და სხვ. საყურადღებოა, სხვათა შორის, რომ ამ პერიოდში იწყება ქართული წიგნის გამოცემა ვენეტიკსა და კონსტანტინოპოლში.

გამომცემლობის წლიური პროდუქციის მხრივ შესამჩნევი ნაბიჯი გადაიდგა წინ. თუ წინეთ ერთი წიგნი მოდიოდა რამდენიმე წელზე, 1851 წლიდან იშვიათია უწიგნო წლები. ბოლო წლებში თითო წელზე 5—12-დე წიგნი მოდის.

VI. 1868—1892

60—70-იან წლებიდან მოყოლებული ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. გამოცემათა რიცხვი წლითი-წლობით იზრდება. ასე, მაგალითად, თუ 1858 წ. ჩვენ გვაქვს 11 ქართული გამოცემა, ოთხიოდე წლის შემდეგ ეს რიცხვი თითქმის ორკედება: 1878—20, შემდგომ ხუთწლედში 45-ს აღწევს (1878 წ.). 1884-ში—60, 1891—89-ს, ხოლო 1893 წელში გვაქვს 93 ქართული გამოცემა.

ამიერიდან ქართული წიგნის გამოცემის საქმე აღარ წარმოადგენს ქველმოქმედებისა და თავგანწირვის აქტს, როგორც ჟურნ. „ცისკრის“ (1852 წლიდან) არსებობის პირველ პერიოდში.

ჯერ კიდევ წინა პერიოდის უკანასკნელ ათეულ წლებში თბილისის სტამბიდან გამოსული ქართული ანბანისა და საკითხავი წიგნების საკმარისად დიდი რაოდენობა.

1868—1892 წლები აღნიშნული არიან ქართული სახელმძღვანელოების, განსაკუთრებით ანბანების გამოცემების არაჩვეულებრივი სიმრავლით. ამ პერიოდში გამოდის ქართული სახელმძღვანელოების 100 სახელწოდება. ამათში ანბანებს და საერთოდ წერა-კითხვის სასწავლო წიგნებს დიდი ადგილი უჭირავს.

რომ სრული სიძნელით დავინახოთ, რამდენად ფართოდ ვრცელდება ამ წლებში წერა-კითხვის სასწავლო სახელმძღვანელოები, საკმარისია მივუთითოთ ი. გოგებაშვილის დედა-ენის 1891 წლის გამოცემის კანსა და თავფურცელზე, რომელზედაც აღნიშნულია: 110.000. წერა-კითხვის ფართოდ გავრცელება ხელს უწყობს ქართული წიგნის მკითხველთა წრის შესამჩნევე გაფართოებას.

ქართველი მკითხველის გამოფხიზლებულ მოთხოვნილებას აღარ აკმაყოფილებს ჟურნალში ან გაზეთის ფურცლებზე ამოკითხული ამბები. მას უნდა წიგნის (რასაკვირველია, ნაბეჭდი წიგნის) სახით შეიძინოს იგი.

— რა არის ახლა ან ვინ არის ამ ახლანდელს ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამმოდღერებელი, ჩვენი მეგობარი და მერსხე. — ეს არის სტამბა. ეს არის ბეჭდვა. — ამბობს გაზ. „დროების“ 10 წლის იუბილეზე (1876 წ.) ამ გაზეთის უხუცესი თანამშრომელი დიმიტრი ყიფიანი.

სტამბა, ბეჭდვა, წიგნი—საყოველთაო ზრუნვის და სიყვარულის საგნად ხდება. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა მე-19 საუკუნის უდიდესი მწერლების ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, რ. ერისთავის მხატვრული შემოქმედების გაფურჩქნა. ამ პერიოდში გამოდის სამწერლო ასპარეზზე ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, ეგნატე ნინოშვილი, ეკ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური.



1867 წლიდან იწყება ილ. ჭავჭავაძის ბატონ-ყმური პერიოდის ნაწარმოებთა გამოცემა, აქამდის საცენზურო პირობებით შეზღუდული.

საცენზურო პირობებისათვის საქართველოში დამახასიათებელია, რომ „კაცია ადამიანი“ ი. ჭავჭავაძის ეს მეორე ცალკე გამოცემული ნაწარმოები, პირველად იბეჭდება არა თბილისში, არამედ ს. პეტერბურგში (მეცნ. აკადემიის სტამბა. № 376).

1879 წ. ტფილისში გამოდის „გლახის ნაამბობი“ (№ 635); „კაკო ყაჩაღი“ (№ 636), 1882 — „დედა და შვილი“ (№ 818), 1883 — „განდეგილი“ (№ 865). 1892 — ი. ჭავჭავაძის თხზულებათა I, II, III, IV ტ.ტ. (№№ 1533 — 1536).

არაჩვეულებრივ ნაყოფიერებას აღწევს ამ პერიოდში აკაკი წერეთლის თხზულებათა გამომცემლობა (18 სხვადასხვა სახელწოდება — №№ 441, 538, 633, 717, 869 და სხვ.).

დაბეჭდილ ნაწარმოებთა სიმრავლით აკ. წერეთლის შემდეგ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ანტონ ფურცელაძეს (13 სხვადასხვა გამოცემა).

სამწერლო ასპარეზზე 1883 წ. გამოსული ალ. ყაზბეგის თხზულებათა სხვადასხვა გამოცემა 10 სახელწოდებას შეადგენს. (№№ 844, 910, 912 და სხვ.).

შედარებით მცირერიცხოვანია გიორგი წერეთლის ნაწერების ცალკე გამოცემები (№№ 927, 1186, 1532). ამისი მიზეზი ჟურნალისტური მოღვაწეობით გატაცებაში უნდა ვეძიოთ.

ეროვნული მხატვრული ლიტერატურის მოთხოვნილება ამ წლებში იმდენად დიდია, რომ არ კმაყოფილდება ხსენებული გამოცემებით. ამავ ავტორების სხვადასხვა თხზულებანი — ლექსები, პოემები, პროზა — გამოდის მხატვრული კრებულების სახით (18 კრებული).

საპატიო ადგილი უჭირავს 1868 — 1892 წ.წ. გამოცემებში ნათარგმნ ლიტერატურას. რუსი ავტორების გვერდით — პუშკინი, ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, ა. კრილოვი და სხვ. — ვხედავთ უცხოეთის ლიტერატურის წარმომადგენელთა მთელ წყებას. ინგლისური ენიდან ითარგმნება შექსპირის ტრაგედიები ივანე მაჩაბელის მიერ. თარგმანის მაღალხარისხოვნების წყალობით შექსპირი ვრცელდება და იკითხება, როგორც ორიგინალური, ეროვნული მწერალი. დასავლეთ ევროპის ავტორთაგან გვაქვს აგრეთვე დეფოს, სვიფტის, დიკენსის, სერვანტესის, ვოლტერის, ვიქტორ ჰიუგოს, დე ამიჩისის და სხვ. ნაწარმოებები. მრავალი მათგანი რუსულიდან უნდა იყოს ნათარგმნი. კავკასიური ხალხების ლიტერატურიდან გვაქვს სომეხთა მწერლის რაფფის 2 ნაწარმოების თარგმანი.

უდიდესი ყურადღებით ეკიდებიან ამ პერიოდში კლასიკური ქართული მწერლობის ნიმუშების გამოცემას.

1877 წ. პირველად ქვეყნდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები (I — № 480, II — 1879 წ. № 594, III — 1886, № 1003, IV — 1890 — № 1276). პირველად გამოდის ცალკე წიგნად დ. ქონჯაძის „სურამის ციხე“ (I — 1875 წ. № 471 და №№ 637, 1330). პირველად იბეჭდება ლ. არდაზიანის ს. მეჯღანუაშვილი (1878 წ. № 543) ალ. ჭავჭავაძის ლექსების წიგნი (№ 771) — ერთად ერთი გამოცემა ამ ავტორის ლექსებისა 1940 წლამდე; გრიგოლ ორბელიანის ლექსების ხუთი სხვადასხვა გამოცემა და სხვ.

ამ პერიოდის გამოცემებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ძველი კლასიკური მწერლობის ნიმუშებს. ჩვენ გვაქვს ოცდაერთი ასეთი გამოცემა: ს. ს. ორბელიანი (7 სხვადასხვა გ-მა), ჩაბრუხაძე, შავთელი, არჩილი, თეიმურაზ I (4 სხვადასხვა გამ-მა), თეიმურაზ II, გურამიშვილის „დავითიანის“ 1-ლი გამოცემა (№ 378), გიორგი წერეთლისა და სხვათა რედაქციით. „ვისრამიანი“, ილ. ჭავჭავაძის და სხვათა რედაქტორობით (№ 893). „ქილილა და დამანა“ ილია ჭყონიას რედაქციით და გრ. გურიელის საფასით (№ 1040) და სხვ.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისტორიული მოთხრობა-პოემები (11 სახელწოდება).

გამომცემლობა არ არის შემოფარგლული მარტო მხატვრული ლიტერატურის წრით. 46 სახელწოდება ხალხში გასაერცვლებელ იაფფასიან მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურას წარმოადგენს.



სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის სიმრავლე და მაღალხარისხოვნობა მოწმობს, რომ იგი ამ დროს ქართველი ინტელიგენციის განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად უნდა ყოფილიყო გადაქცეული.

გრამატიკული ლიტერატურაც საკმარისად უხვად არის წარმოდგენილი (10 სახელწოდება). სხვათა შორის ზ. შანშოვანის გრამატიკა (№ 766), ანტონ I გრამატიკა; (№ 933), მოკლე ქართული გრამატიკა (მონთობანი 1877, № 528) და სხვა.

ლექსიკონებში (რიცხვით 6) აღსანიშნავია სულხან საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, შედგენილი XVIII-ს. პირველ ათეულ წლებში და პირველად გამოცემული 1884 წ. (№ 915). რაფიელ ერისთავის ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან (ორი გამოცემა: შემოკლებული — № 414 და ვრცელი № 892).

საისტორიო ლიტერატურა მდიდრდება დიმიტრი ბაქრაძის გამოცემებით (11 სახელწოდება). ამათში შესანიშნავია ვახუშტის ისტორია, განმარტებული და შეესებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით (№ 957).

საისტორიო მასალებში აღსანიშნავია ვახტანგ VI-ს „დასტურლამალი“ პ. უმიკაშვილის გამოცემა (1013). გ. საბინინის „საქართველოს სამოთხე“ (სპბ — აკად. სტ. № 803) და სხვა.

90-იან წლებიდან ქართულ საისტორიო მეცნიერებას ახალი ძალები ემატება.

1890 წ. გამოდის ე. თაყაიშვილის „სამი ისტორიული ხრონიკა“ (№ 1295), 1891 — მისივე „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ (1374). ხოლო 1892 იბეჭდება თ. ყორდანიას „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“ (1506). აღსანიშნავია აგრეთვე ალ. ჭყონიას „ისტორიული ნარკვევები“ (1331), ალ. ხახანაშვილის „ბატონყმობა საქართველოში“ (№ 1332). ამავე წლებში იწყებს საისტორიო კვლევა-ძიებას და ძველი ძეგლების გამოცემას მ. ჯანაშვილი (№№ 1426 — 27, 1471 და სხვ.). არაჩვეულებრივ ნაყოფიერებას იჩენს აგრეთვე ზ. ჭიჭინაძე, რომლის ისტორიული მონოგრაფიები და ბიოგრაფიები ამ პერიოდში აღნიშნული არიან უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლებისადმი ყურადღებით: მაგალითად, „რობერტ ოვენის კაცის ხასიათის გამკეთებელი“ (1220) და სხვა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერება წარმოდგენილია ორიგინალური და, უმთავრესად, ნათარგმნი გამოცემების სახით (№№ 1015, 1216, 1255, 1388, 1395, 1488 და სხვ.).

მათ შორის საყურადღებოა შლეიხერის „დარვინის თეორია და ენათმეცნიერება“, თარგმნილი გერმანულიდან პ. ჭარაიას მიერ (№ 1255); ინსტინქტი დარვინის თეორიის მიხედვით, თარგმნილი რუსულიდან რ. ფანცხავას მიერ (1015). როსკო „ქიმია“ ვ. რცხილაძის თარგმ. (№ 1395).

ხსენებული ნათარგმნი ლიტერატურა, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც გამოხატავს იმ დიად მოძრაობას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის, 70—90 წწ. მეცნიერულ აზროვნებას ახასიათებს.

ორიგინალური თხზულებებიდან გვაქვს მ. ზაალაშვილის „საზოგადო ზოოტექნიკა“ (№ 1294), ამავე ავტორის „საზოგადო მიწადმფლობელობა“ (№ 1372); ი. წინამძღვრიშვილის „ვაზის მოშენება“ (№ 1260); ლ. ჯორჯაძის „მევენახეობა და ღვინის დაყენება“ (№ 512).

დამახასიათებელია, რომ ეს უკანასკნელნი (ორიგინალური თხზულებანი) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პრობლემებისადმი არიან მიძღვნილი.

1878 წ. პირველად იბეჭდება ცალკე გამოცემად ნიკო ნიკოლაძის „ნაწერის“ პირველი წიგნი (№ 570. მეორე გ-მა 1889 წ. № 1236).

1868 — 1892 წ.წ. გამოცემათა მიმოხილვის სისრულისათვის საჭიროა აღინიშნოს, ამ პერიოდის ზოგიერთი სპეციფიური თვისება:

ქართული წიგნის მკითხველთა წრის გაფართოება საგრძნობი ხდება, როგორც ქალაქის დაბალ ფენებში, აგრეთვე სოფელში.



„ქალაქური ხალხური პოეზია“, ქართული მწერლობის ეს მეტად თავისებური უბან-თავანი, ამ პერიოდში გაფურჩქენის სტადიაში იმყოფება.

ჩვენ გვაქვს 122 სახელწოდება, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ ამგვარ ლიტერატურას. ჰაზირა, სკანდარნოვა, გივიშვილი და სხვ. მრავალი, დღეს დავიწყებული, ავტორი შლის ამ პერიოდში თავის შემოქმედებას. ყოველ ექვს გარეშეა, რომ „ქალაქურ“ ლიტერატურას გარკვეულ წრეებში დიდი გასავალი უნდა ჰქონოდა. მხოლოდ ამით შეიძლება აეხსნათ მისი ამდენად დიდი მოცულობა, მის გამოცემათა ასეთი სიმრავლე.

ამ ლიტერატურის მკითხველი პირველად მოლაყბემ (მიხეილ თუმანიშვილი — მეცხრამეტე საუკუნის პირველი ქართველი პუბლიცისტი) შეამჩნია. იმან დაგვიხატა შუაბაზარში თავმოყრილი ჟურნ. „ცისკარის“ მკითხველების ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ხაზაზი. ხაზაზი კითხულობს „ცისკარის“ „სალაყბო ფურცელს“ და თავის განმარტებებს ურთავს წაკითხულს. მსმენელთა ჯგუფი ცოცხალი ინტერესით ისმენს მოლაყბის სტატიას.

ეს თავისებური კლუბი, მოლაყბის რწმენით, ერთადერთი ადგილია, სადაც ქართულ ბეჭდვითი სიტყვას გასავალი აქვს.¹

შესაძლებელია, რომ მართლაც ასეთი მდგომარეობა იყო ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმების წინა პერიოდში. ამ დროს ქართველ გლეხკაცობას მონობის მძიმე უღელი ადგა, ხოლო ქართველი მუშა, როგორც სოციალური მოვლენა, ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

ქართველი მკითხველის ეს წრე იმდენად მძლავრი გამოდგა, რომ მან თვითონვე შექმნა ლიტერატურის საკუთარი ჟანრი, წარმოშვა პოეტების მთელი წყება. საკუთარი თემატიკა და წერის თავისებური მანერა შეიტანა ქართულ ლიტერატურაში. ამ პოეზიის ზოგიერთი წარმომადგენელი (ჰაზირა და სხვ.) თავისი ლექსებით მკითხველში მაღალ მხატვრულ ემოციებს იწვევს და პოპულარული ხდება ქართველ მკითხველთა ყველა წრეებში. განსაკუთრებით მიმზიდველია თავისებური ქართული და, ამავე დროს, ინტერკავკასიური პატრიოტიკა, რომლითაც გამსჭვალულია ამ პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედება.

ასეთი არიან რჩეულები, მაგრამ დიდი უმეტესობა ამ პოეტებისა — შემთხვევითი პოეტები, შემთხვევით თემებზე სწერენ. ისეთი ამბავი, როგორც მაგ. ხიდის ჩატება მტკვარზე „ნათლის ღების დღეს“, რასაც ადამიანების დიდი მსხვერპლი მოჰყვა — ლექსის საწერად იწვევს მოხალისე პოეტების მთელ წყებას (ნ. ჩატეხილი ხიდი № 1479; „დიდი უბედურება, მომხდარი წყალკურთხევა დღეს 1892 წ. 6 იანვარს ლექსად თქმული იორდანესაგან“ და სხვ.).

იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია ვერ აფასებს ჯეროვანად ამ მეტად საყურადღებო მოვლენას, ამჩნევს მხოლოდ მის უარყოფით მხარეებს და ბრძოლას აწარმოებს ქალაქური იაფი პოეზიის გავრცელების წინააღმდეგ.

70 — 80-იან წწ. ჩვენ ვხედავთ ახალი მკითხველის სხვა წრესაც. ეს არის სოფელი მკითხველი, გუშინდელი ყმა, რომელიც განსაკუთრებული წყურვილით ეწაფება მის თვალწინ პირველად გადაშლილი წიგნის ფურცლებს.

ამ მკითხველის გაღვივებაში და ხსენებული წყურვილის გაღვივებაში უდიდეს საავტორი როლს ასრულებს ფოლკლორული მასალა, რომელსაც 1868 — 1892 წლების წიგნების პროდუქციაში საპატიო ადგილი უჭირავს (80 სახელწოდება).

ამ დიდი მასალიდან საყურადღებოა „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები, შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილ. ჭავჭავაძისაგან“ წ. 1. (№ 415) დ. ხიზანიშვილის „ფშაური ლექსები“. ლ. აღნიაშვილის მიერ შეკრებილი „ხალხური ზღაპრები“ (№ 1272). „ქართველ მაჰმადიანთა ლექსები“ ზ. ქიქინაძის მიერ შეკრებილი (№ 1419) და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს „არსენას ლექსი“-ს გამოცემები. ეს პატარა წიგნაკი პირველად 1872 წ. იბეჭდება. მას იტაცებენ ბაზარზე გამოსვლისთანავე. ამავე წელს გამოდის და ვრცელდება არსენას ლექსის მეორე და მესამე გამოცემაც.

ეს შემთხვევა პირველად ამჟღავნებს ნაბეჭდი წიგნის დიდ მოთხოვნილებას ხალხში.

¹ 5. ჟურნ. „ცისკარი“ 1858 წ. № 3. გვ. 236.

1872 წლიდან მოყოლებული 1892 წლამდე „არსენას ლექსი“ 25-ჯერ გამოდის. არსენას ლექსის გამოცემები, ცოტაოდენი ხარვეზებით, გამოდის თითქმის ყოველ პერიოდში — ზოგჯერ ორ-ორი და სამ-სამი გამოცემა ერთი წლის განმავლობაში. ამ წიგნაკის გამოცემა გრძელდება სოციალისტურ ეპოქაშიაც. შეიძლება ითქვას, რომ თუ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენამ“ ხალხს წერა-კითხვა ასწავლა, არსენას ლექსმა ამავე ხალხს წიგნის კითხვა შეაყვარა.

ჩვენი ბიბლიოგრაფია გვაძლევს არსენას ლექსის ორმოცდა შვიდი გამოცემის აწერილობას. ექვს გარეშეა, რომ სინამდვილეში გამოცემები გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო და სპეციალური კვლევა-ძიება არსენას ლექსის არა ერთი გამოცემით შეავსებს ჩვენს აწერილობებს.

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როდესაც ბატონყმური ურთიერთობის ამოფხვრა მხოლოდ დასაწყის სტადიაში იმყოფებოდა, ბუნებრივი იყო 16 გვერდიანი „არსენას ლექსის“ განსაკუთრებული პოპულარობა: ზღაპრული ფიზიკური ღონით დაჯილდოებული, ძალადობის წინაშე ქედმოუდრეკელი ყმა — არსენა, ხიბლავს ნახევრად ყმურ მდგომარეობაში მყოფ გლეხობას ვაკეკაცური ბრძოლით და, განსაკუთრებით, მით რომ „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“; არბევს „საწყალი კაცის“ მყვლეფავ ჩარჩ-ვაჭრებს და საკმარისად გულუბრყვილო მეთოდებით ცდილობს თავისებური სამართლიანობა-თანასწორობის დამყარებას.

გაცილებით უფრო რთული და საგულისხმიეროა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით საშუალო საუკუნეების სიღრმეში წარმოშობილი პოემა-რომანის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობა.

სანამ წიგნი და წერა-კითხვის ცოდნა მხოლოდ რჩეულთა მონობლია იყო, „ვეფხისტყაოსანი“ ხალხში ზეპირ-გადაცემის გზით ვრცელდებოდა. რუსთაველის აფორიზმები საუკუნოდან საუკუნემდე გადადიოდა ხალხის მეტყველებაში და, ხალხურ შემოქმედებასთან შერწყმული, განუწყვეტელი კავშირის ჯაჭვს აბამდა ახალ საუკუნეებში დაქვეითებულ ეროვნულ კულტურასა და ბრწყინვალე ეპოქის დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობას შუა.

იყო შემთხვევები, როცა სრულიად უწიგნარმა ადამიანებმა თითქმის მთლიანად იცოდნენ ზეპირად ათასხუთას ტაეპოვანი პოემა-რომანი. 1881 წლის გაზ. „დროების“ № 11 ფელეტონიდან გავიგებთ, რომ წერა-კითხვის უცოდინარმა, შესანიშნავი მეხსიერებით დაჯილდოებულმა გოშპარ ივანეს ძე კობიაშვილმა თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“.

წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებასთან ერთად ხალხში იზრდება ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ მოთხოვნილება¹ და მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ერთ-ერთ საზრუნავად ხდება „ვეფხისტყაოსნის“ იაფი გამოცემები. 1875 წლის გაზეთი „დროების ფურცლებზე არაერთხელ ისმება ეს საკითხი. „დროების“ რედაქციას სასურველად მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ისეთი გამოცემა, რომელიც „20 კაპიკზე მეტი კი არა, ნაკლები ღირდეს“ (№ 10, გვ. 2, „დღიური“) და ყველასათვის მისაწვდომი იყოს. „ვეფხისტყაოსნის“ ამდენად გაიაფება განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. ყველაზე იაფი გამოცემა იბეჭდება ოზურგეთში, 1891 წ. — ა. მიქელიაშვილისა და კონ. თავართქილაძის გამოცემა, ფასი 30 კაპიკი — გამომცემელთა წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„თუმცა ამ სამი წლის განმავლობაში ეს წიგნი ორ-სამჯერ დაიბეჭდა, მაგრამ გასასყიდად გამომცემლებს არც ერთი ეგზემპლარი არ მოეპოვებათ“. და ქვემოთ:

„ჩვენ წიგნის ფასად ექვსი შაური დავადგინეთ. ხოლო თუ რომელიმე წიგნის მალაზია ან კერძო პირი იყიდის 100 კალს, მაშინ წიგნი დაეთმობა, როგორც დაჯდა, ე. ი. 25 კაპიკი“.

1888 წელს გამოდის „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი გამოცემა, გ. ქართველიშვილის ხარჯით დაბეჭდილი. ეს გამოცემა ტექნიკის მაღალხარისხოვანობით და მდიდრული მხატ-

¹ 6. გაზ. „ივერია“ 1887 წ. № 159, გვ. 3. 6. ურბნელის სტ. ტია.

ერული მორთულობით ყურადღებას იპყრობს არა მარტო საქართველოსა და რუსეთის მაშინდელ მკითხველთა შორის, არამედ დასავლეთ ევროპის კულტურულ ცენტრებშიაც. 1899 წელს გ. ქართველიშვილის „ვეფხისტყაოსანი“ მაღალ შეფასებას იმსახურებს ქ. სტოკჰოლმში, ორიენტალისტთა კონგრესზე (ნ. გაზ. „ივერია“ № 200, გვ. 2. 1889). 1900 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ გზავნის ამ გამოცემას ქალაქ მაინცში, გუტენბერგის საიუბილეო გამოფენაზე. მაინცის ქალაქის თავი სამადლობელ წერილში აღნიშნავს, რომ ეს „მშვენიერი საჩუქარი სასახელოა ქართული სტამბისათვის და სამუდამოდ უნდა დარჩეს გუტენბერგის ქალაქში“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“ № 1040 გვ. 2. 1900).

ამ პერიოდში მკითხველთა ფართო წრეები ფირდოუსის შაჰნამეს ქართულ ვერსიებსაც ეწაფება. 1868—1892 წწ. ჩვენ გვაქვს „ბეჟანიანის“, „როსტომიანისა“ და სხვ. შვიდი გამოცემა.

აღმოსავლურ საგმრო ლიტერატურაში განსაკუთრებით პოპულარულია „ყარამანიანი“ და „ქუჩუკ ყარამანიანი“ (1868—1892 წწ. გვაქვს 18 სხვადასხვა კარის გამოცემა).

ფართო გავრცელება აქვს საბავშვო ლიტერატურასაც, რომელიც ამ ხანებში, აყვავების პერიოდში იმყოფება.

გარდა აკაკი წერეთლის საბავშვო გამოცემებისა, გვაქვს ვაჟა-ფშაველას, ეკ. გაბაშვილის, შიო მღვიმელის, იაკობ გოგებაშვილის, ცახელის და სხვათა საყმაწვილო გამოცემები (ორმოცი სახელწოდება).

ამ შესანიშნავ პერიოდში, როდესაც ქართულმა წიგნმა გზა გაიკვლია მკითხველთა მასებისაკენ და უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, ოდნავ იგრძნობა მომავალი რევოლუციის სუნთქვა — სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო პოპულარული ლიტერატურის შედარებით სიმრავლეში და მხატვრული ლიტერატურის ზოგიერთ ნიმუშებში.

ამ უკანასკნელთა შორის საყურადღებოა ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდა ცამეტი წელის“ ორი სხვადასხვა თარგმანი: პირველი იბეჭდება 1889—1890 წწ. სათაურით „ძმა ძმის მტერი“ (რუსულიდან № 1265), ხოლო მეორე—1890 წ., ნათარგმნი დიმიტრი ყიფიანის მიერ ფრანგული ორიგინალიდან (№ 1545).

ამ პერიოდში წიგნის გარეგნულ გაფორმებასაც შესამჩნევი წარმატება ეტყობა. თუ 70—80-იანი წლების გამოცემების გარეგნული მხარე ესთეტიკური ნილილიზმის ნიშნებს ატარებს, 90-იანი წლების გამოცემათა მთელი რიგი მხატვრული გემოვნების განვითარებას გვიჩვენებენ (№ № 1162, 1164). ამ დროს ქართულ გრავიურას ჰყავს ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, როგორც გრიგოლ ტატიშვილი, რომლის ნიქსაც წაუშლელი კვალი დაუტოვებია ამ პერიოდის ქართული წიგნის, კერძოდ საბავშვო წიგნის, გარეგნულ გაფორმებაზე.

ამ წლებში ფართოვდება სტამბების და წიგნების გამომცემლობათა ქსელი საქართველოში. არა თუ თბილისსა და ქუთაისში, არამედ თითქმის ყოველ პროვინციულ ცენტრში მოწყობილია სტამბა და სწარმოებს საგამომცემლო საქმიანობა—ბათუმი, სოხუმი, ფოთი, ოზურგეთი, ახალ-სენაკი, გორი, თელავი, სიღნაღი, ყვირილა (ზეესტაფონი).

ქართული წიგნის გამომცემლობას საქართველოს გარეთაც უჩნდება ახალი კერები: ვენეტიკი, მონთობანი, კონსტანტინოპოლი.

VII. 1893—1904

თერთმეტი წლის პერიოდი 1893—1904 გვაძლევს 1400-ზე მეტ გამოცემას, ე. ი. თითქმის ირდენს, რამდენიც დაბეჭდილია 1629—1892 წწ. (1545). მაგრამ დროის ეს ნაკვეთი აღბეჭდილი არის ქართული წიგნის არა მარტო რიცხოზობრივი ზრდით, — ამ პერიოდში ქართული გამოცემები ცხადად გამოხატავენ საზოგადოებრივი მოძრაობის მაჯისცემას.

მიუხედავად საცენზურო შეზღუდვისა, ხსენებული 1400 წიგნის სახელწოდებათა თვალის გადავლება გვაგონობინებს, რომ რევოლუციის ტალღა ამართულია. შეიძლება ითქვას, რომ წინა პერიოდის წიგნის პროდუქცია ნიადაგს ამზადებს რევოლუციური იდეების შესათვისებლად. ხოლო 1893—1904 წლების წიგნები ადამიანების შემეცნებაში გარკვევით აღბეჭდავენ ამ იდეებს და, რაც უველაზე მნიშვნელოვანია, რევოლუციური ლიტერატურის გარკვეული ნაწილი რევოლუციურ-მარქსისტული ხასიათისა არის.

პროცენტულად ამ პერიოდშიაც წინ სდგას მხატვრული ლიტერატურა (260 სახელწოდება), როგორც თანამედროვე, აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის და ძველი კლასიკოსების გამოცემათა და ნათარგმნი ლიტერატურის ჩათვლით. მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებში გარკვევით იგრძნობა რევოლუციის მოახლოება — ორიგინალურ მწერალთა შორის: ე. ნინოშვილისა, დ. კლდიაშვილის, ირ. ევდოშვილის თხზულებებში და მაქსიმ გორკის მოთხრობათა პირველ თარგმანებში (№ № 2530, 2531).

არაჩვეულებრივად დიდი პოპულარობით სარგებლობს ამ დროს ერკმან — შატრიანის „გლეხიკაცის ისტორიის“ გამოცემები (№ № 1989, 1990, 2212). ძალიან ადრე ითარგმნება ინგლისურიდან ედუარდ ბელლამის რომანი-უტოპია „ასის წლის შემდეგ“ (1896 წ. № 1863). ჩამოთვლილი მხატვრული და ნახევრად მხატვრული ნაწარმოებებისადმი ინტერესი სოციალური საკითხებისადმი გამახვილებული ინტერესის მაჩვენებელი არის.

სახელწოდებათა სიმრავლის მხრით მეორე ადგილი ქალაქურ ლიტერატურას უჭირავს (132 სახელწოდება). აქ შემთხვევითი თემები მეფობს: „ყასაბი მიხუას დარჩობა მტკვარში“ და მისთანანი. მაგრამ „ქალაქური“ პოეზია ხშირად ფართო მნიშვნელობის საზოგადოებრივ მოვლენასაც ასახავს, როგორც „დეკადენტი“ და სხვა „მოდის“ მოვლენები.

მეტად სიმპტომატიური არის რელიგიური შინაარსის გამოცემების შესამჩნევი ზრდა ამ პერიოდში. თუ საეკლესიო-საღვთისმსახურო ლიტერატურასაც ჩავთვლით, ამ პერიოდის რელიგიური შინაარსის გამოცემათა საერთო რიცხვი 145 იქნება.

სამოციანი წლებიდან მოყოლებული რელიგიური ლიტერატურა პროცენტულად შედარებით უმნიშვნელო იყო. და თუ რევოლუციის წინა პერიოდში მას ასეთი უჩვეულო „გაფურჩქვნა“ დაეტყო, ცხადია ეს მოვლენა რევოლუციის შიშით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ზნეობრივ-დამმოდერნელებელი საქრისტიანო შინაარსის, უმთავრესად წმ. ცხოვრების და წამების ამბები, პატარა წიგნაკების სიმრავლე მომავალი რევოლუციის თავისებურ ნაადრევ რეაქციას წაავავს.

თვალსაჩინოდ იზრდება ამ წლებში საბავშვო გამოცემების რიცხვი (71 სახელწოდება). საკმარისად მდიდარია დრამატული ლიტერატურაც (39 სახელწოდება). ამ ლიტერატურაში აღსანიშნავია სუმბათაშვილის „ლალატის“ ორი სხვადასხვა თარგმანი (№ № 2885, 2886.)

სასკოლო სახელმძღვანელოების რიცხვი 45 სახელწოდებას აღემატება. ტრადიციული სახელმძღვანელოების გვერდით ჩნდება ქართული ენის ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელოები: სიტყვიერების თეორიისა და ისტორიის სახით (№ № 2109, 2225).

საპატო ადგილი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას, პოპულარულსა და მეცნიერულს (50 სახელწოდება).

ამ ლიტერატურაში, სხვათაშორის, გვაქვს პროფესორი ვასილ პეტრიაშვილის კაპიტალური ნაშრომები: „ღვინის დაყენება“ (№ 1800) „ვაზი და მისი მოშენება და მოვლა“ (№ № 1905, 2027). „რძე და მისი სხვადასხვაგვარი გამოყენება“ (№ 2131).

ხალხური პოეზიის ნიმუშები, 80—90-იან წლებთან შედარებით, ნაკლებ პროდუქციას გვაძლევენ (სულ 43 სახელწ.). საყურადღებოა, რომ „არსენას ლექსს“ ამ პერიოდშიაც განსაკუთრებული პოპულარობა აქვს: 1903 წ. გამოდის სამი სხვადასხვა გამოცემა: „არსენას თავგადასავალი“ (№ 2647, ტირაჟი 3000). „არსენას ზღაპარი“ (№ 2648—ტირაჟი 6000) და „არსენას ლექსი“ (№ 2649—ტირაჟი 1200).

ყურადღების ღირსია აგრეთვე კალენდარული ლიტერატურის დიდი პოპულარობა, მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული. ამის ახსნა კალენდრების შედგენილობის ხასიათში უნდა ვეძიოთ: გამოსადეგ ცნობათა სიმრავლე, პოპულარული სტატიები მეცნიერების სხვადასხვა დარგში—ამ გამოცემებს თავისებური ენციკლოპედიის სახეს აძლევს. ამ წესით შედგენილი კალენდრები ფართო მასების მეტად არსებით მოთხოვნილებას უპასუხებდა. ჩვენს პერიოდში, 12 წლის მანძილზე 40-დე კალენდარი გვაქვს.

მაგრამ განსახილველი პერიოდი ხასიათდება სულ სხვა, ახალი ტენდენციებით. აქ თვალსაჩინო ხდება მეცნიერული შინაარსის ლიტერატურის არაჩვეულებრივი ზრდა.

საისტორიო მეცნიერებაში, კერძოთ საქართველოს ისტორიის დარგში, ერთის მხრით გრძელდება წინა პერიოდში გაჩაღებული ძველი საისტორიო და სალიტერატურო მასალების ძიება, შეგროვება და გამოქვეყნება (№№ 1768, 1808, 1907, 2214, 2251, 2401, 2542, 2717, 2722, 2832 და სხვ.). ამავე დროს სამეცნიერო ასპარეზზე გამოდიან ახალი ძალები. იბეჭდება ახალი გამოკვლევები—ახალგაზრდა ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის „ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში“ (№ 2497) და „მამულიშვილობა და მეცნიერება“ (№ 2947); 1902 წ. გამოდის მიხეილ თამარაშვილის საისტორიო თხუზულების დიდი ტომი; „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (№ 2549).

ზოგადი ისტორიის დარგი მდიდრდება ნათარგმნი კაპიტალური ტომებით (№№ 2417, 2714).

კულტურის ისტორიის დარგში ითარგმნება და იბეჭდება მთელი რიგი ახალი გამოცემებისა (№№ 1866, 1897, 2336 და სხვა).

განსაკუთრებით საგრძნობია საბუნებისმეტყველო ლიტერატურის აღორძინება. აქ გვაქვს დარვინიზმისადმი მიძღვნილი გამოცემები (№№ 1927 — 1928), პოლ ბერის „ბუნების ცოდნა“, მთარგმნელის პ. სურგულაძის წინასიტყვაობით (№ 2518). კონის „უჯრათა სამეფო“ (№ 2558), ჰენრი ჰექსლის „ორგანიულ ბუნების მოვლენათა მიზეზები“ (№ 2500). ე. ჰეკელის „გრძნობათა ორგანოების წარმოშობა და განვითარება“ (№ 2183). ფეტერის „კოპერნიკიდან დარვინამდე“, პ. სურგულაძის მიერ გადმოკეთებული (№ 2358); გასტონ ტისანდიეს „მეცნიერებისათვის წამებულნი“ (2256). საბუნებისმეტყველო ლიტერატურას წარმოადგენენ აგრეთვე №№ 2034, 2035, 2563, 2604, 2698 და სხვ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ჩვენს დროში სავსებით დავიწყებული ავტორის ალ. კვერკველადის გამოცემები (№№ 2556, 2557, 2689). ამათში განსაკუთრებით საყურადღებოა „ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის რაობა“.

მაგრამ 1890 — 1904 წ.წ. პერიოდი ყველაზე მეტად მით არის შესანიშნავი, რომ ამ დროს ნაბეჭდი წიგნი პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ხდება.

ჩნდება მრავალი წიგნაკი სოციალურ თემებზე: „რა არის ხარკი და რისთვის კრეფენ“ (№ 2134). „ქალი და მისი დანიშნულება“ (№ 2047), „ქალის დანიშნულება სასოფლო მეურნეობაში“ (№ 2897), „როგორ გაჩნდა ფულის ხმარება“ (№ 2431), „შრომა და ბედნიერება“ (№ 2446).

იბეჭდება ლიტერატურა პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხებზე: პოლ ლაფარგი—„მანქანის მნიშვნელობა“ (№ 2014); ადამ სმიტი „შრომა, სიმდიდრე, ფული“ (№ 1874).

ინტერესი თანდათან მახვილდება რევოლუციურ თემებზე: „შრომა და კაპიტალი“ (№ 1972). კ. კაუცკის „ჩვენი დროის ეროვნება“ (1893). „მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში“ (2350). ე. ვანდერველდეს „თანამედროვე ქალაქი“ (№ 2538). ამავე ავტორის „ქალაქის აღმზრდელი მნიშვნელობა“ (№ 2831) და სხვ.

პერიოდი—1893—1904 წწ., როგორც პირველი რევოლუციის ნამდვილი პრელუდია, გვაძლევს არა მხოლოდ ლეგალური მარქსიზმის ხსენებულ გამოცემებს, არამედ რევოლუციური მარქსიზმის იდეებით აღბეჭდილს ლიტერატურასაც.

ჩვენ ვიცით, რომ ლეგალური სტამბებისა და გამომცემლობის გვერდით თბილისში—1898, ბაქოში — 1901, ხოლო ბათომში 1902 წწ. ამხანაგი ი. ბ. სტალინის ხელმძ-



ღვანელობით მოწყობილი იყო არალეგალური სტამბები; ¹ იბეჭდებოდა რევოლუციის ცეცხლით მფეთქავი მოწოდებები, რომელიც ამხანაგ ი. ბ. სტალინისავე კალამს ეკუთვნის:

1. „საზოგადოებისადმი“. 1902 წ. 19 მაისი (1902 წ. 9 მარტის ამბებზე).
 2. „ამხანაგებო, მუშებო!“ 1902 წ. 10 ივნისი.
 3. „ამხანაგებო, მუშებო!“ 1902 წ. 29 ივნისი (როტშილდის ქარხნის [ბათომი] მუშების გაფიცვის შესახებ).
 4. „საზოგადოება ალაპარაკდა!“ 1904 წ. 20 ნოემბერი ²
- ამავე წლებში ცალკე გამოცემებად იბეჭდება ამხანაგ ი. ბ. სტალინის თანამებრძოლის ალექსანდრე წულუკიძის ნაწერები: „ოცნება და სინამდვილე“ (კრიტიკული შენიშვნები არჩილ ჯორჯაძის პროგრამის გამო). ქუთაისი, 1903 წ. (№ 2773) და „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ — ტფილისი, ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა. 1904 — 1905 წ. (№ 2924) და სხვა.

VIII. 1905—1907

1905—1907 წლების წიგნების საერთო რიცხვი 512 ერთეულს შეადგენს. ამათში 200-ზე მეტი სახელწოდება რევოლუციის ნიშანით არის აღბეჭდილი. არა მარტო პოლიტიკური და სააგიტაციო ლიტერატურა, არამედ მხატვრული ნაწარმოებებიც გვაგარძნობინებენ რევოლუციას. თვით იაფი „ქალაქური“ გამოცემებიც იცვლიან თემებს და რევოლუციურ ჰანგზე აწყობენ თავიანთ ჩანგს.

საყურადღებოა რომ 1905 წელი, რევოლუციის უმწვერვალესი განვითარების წელი — წინა და მომდევნო წლებთან შედარებით გვაძლევს ნაბეჭდი წიგნების რიცხოზრევად ნაკლებ რაოდენობას; 1903 წელში ჩვენ გვაქვს 152; გამოცემა; 1904 — 164; 1905 წ. — მხოლოდ 141.

ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. მშფოთვარე 1905 წლის განმავლობაში, როდესაც „შეიარაღებული ბრძოლისათვის აღსდგენ რუსეთის ჩაგრული ხალხები და თითქმის მთელი საქართველო აჯანყებამ მოიცვა“, ცხოვრების ჩვეულებრივი მსვლელობა დარღვეული იყო და არ უწყობდა ხელს ნორმალური საქმიანობის და შემოქმედების წარმოებას.

რევოლუცია უპირველეს ყოვლისა მოქმედების აქტია. რევოლუციის ლაკონიურობისათვის უცხოა დიდტანიანი გამოცემები. ის მეტყველებს ან საქმით, ან მოკლე-მოკლე მოწოდებებით და ბროშურებით, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ სწორედ რევოლუცია ხსნის გზას ფართო და გაღრმავებული მეცნიერული შემოქმედებისათვის. მაგრამ ეს გარემოება მელანდდება არა უშუალოდ და არა რევოლუციის ძლევამოსილი მსვლელობის პროცესში, არამედ მოგვიანებით, რევოლუციური ტალღის დაქანების პერიოდში.

აი, ამიტომ 1905 წლის მომდევნო 1906 წელში ჩვენ გვაქვს 220 გამოცემა.

1907 წელს გამოდის ამხანაგ ი. ბ. სტალინის „დიალექტური მატერიალიზმი“, არალეგალური ბროშურა, ანონიმის სახით გამოცემული (პირველი გამოცემა. 1918 წელს იბეჭდება მეორე გამოცემა).³

¹ ი. ბ. ბერია — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის.“ 1939 გვ. 23, 29, 38.

² ხსენებული პროკლამაციების აწერილობანი გამოქვეყნებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მიერ: „ი. ბ. სტალინის ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები (1879 წლიდან 1907 წლამდე)“. ნახ. ჟღრნ. „პროლეტარული რევოლუცია“. 1939 წ. № 1 გვ. 171 — 233 და ი. ბ. სტალინის ბიობიბლიოგრაფია. საქართველოს სსრ. სახელმწიფო წიგნის ბალატის გამოცემა, თბილისი, 1940, გვ. 4.

³ ი. ბ. სტალინის ბიობიბლიოგრაფია. თბილისი, 1940, გვ. 15.



პოლიტიკური ლიტერატურა, რომელსაც ამ წლებში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს, წინა პერიოდთან შედარებით, გამოხატავს არა მარტო რევოლუციურ ბრძოლას ზოგადად, არამედ პარტიათა შორის, პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის ბრძოლასაც.

1905 წ. არალეგალური ლიტერატურიდან შემონახული გვაქვს ვ. ლენინისა და ი. სტალინის ბროშურები პარტიულ საკითხებზე.

ვ. ლენინის „რევოლუციონური დემოკრატიული დიქტატურა პროლეტარიატისა და გლეხკაცობისა“ (№ 3018) და მისივე „სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობას“ (№ 3019).

ი. სტალინის „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ (№ 3054). ეს უკანასკნელი „არალეგალურად გამოიცა 1905 წლის ზაფხულს“, ვ. ლენინის ხსენებულ ბროშურებზე აღრე, რასაც ის გარემოება მოწმობს, რომ მის თავფურცელზე აღნიშნულ სერიულ გამოცემას „ბროშურა პარტიულ კითხვებზე“—უზის № 1 (ნ. გვ. 290).

1905 წ. ისევ არალეგალურად გამოდის ი. სტალინის [ამხანაგი კ.] „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის შემაერთებელი სიეზი“ (№ 3100) და „ორი შეჯახება“.

ი. სტალინის — კობას — ვრცელი წინასიტყვაობა წამძღვარებული აქვს კ. კაუტსკის „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და მისი მომავალი“—ს ქართულ თარგმანს (№ 3362. I-XVIII გვ.). აქ „ამხ. სტალინი ასაბუთებს და ავითარებს ბოლშევიკების შეხედულებებს რუსეთის რევოლუციის ხასიათსა და მამოძრავებელ ძალებზე. პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურაზე, პროლეტარიატის ჰეგემონიაზე და ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ როლზე, დროებითს რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობაზე.“²

1905—1907 წწ. ჩვენ გვაქვს მარქსის ოთხი სხვადასხვა ნაწარმოების გამოცემა (№ № 3010. 3026. 3208. 3372), ვ. ლიბკნეხტის — სამი (3196—97), კ. ლიბკნეხტისა (3198), ა. ბებელის — ხუთი (3125—26-27-28-29); კ. კაუტსკისა — შვიდი (3018, 3180—81-82-83-84. 3362), ლასალის — ორი — (№ 3274, 3367). ბახის „შიშშილი“, თ. სახოკიას თარგმანის ორი გამოცემა (№ № 2968, 3321) და სხვ.

რევოლუციის ძღვეამოსილი მსვლელობა თავისი გავლენით აღბეჭდავს სხვადასხვა დარგის გამოცემათა დიდ უმეტესობას. მხატვრულ ლიტერატურაში, გარდა ეროვნული ქართული რევოლუციური პოეზიის ნიმუშებისა (ი. ევდოშვილი, აკ. წერეთელი), იბეჭდება: ოქტავ მორბოს „უან და მადლენას“ ორი სხვადასხვა თარგმანი (№ № 3214, 3215), არნუს „კომუნის მკვდრები“—ს ორი თარგმანი. მ. გორკის „პატიმრის სიმღერა, გრიგალას სიმღერა, შავარდენის სიმღერა, ფერია“ (№ 31531), „ნაძირალნი“ (№ 3337) და სხვ.

საისტორიო მწერლობაში გვაქვს საფრანგეთის და გერმანიის რევოლუციების სადმი მიძღვნილი ნარკვევები, ორიგინალური და ნათარგმნი (№ № 3200, 3255, 3256 და სხვ.).

რევოლუციის გავლენით პედაგოგიურ ლიტერატურაშიაც მეტის სიმძაფრით იშვის ეროვნული ენისა და სახალხო განათლების სხვა საჭირბოროტო საკითხები (№ № 3055. 3056).

რევოლუციური ტენდენციების ასეთი გავრცობა იწვევს მოპირდაპირე ძალების დარაზმვას. ქართულ გამოცემებში ეს მხოლოდ რელიგიური შინაარსის ლიტერატურაში იგრძნობა. 1905—1907 წ. ჩვენ გვაქვს 32-დე სახელწოდება ამ შინაარსის გამოცემებისა. ამათში, გარდა ტრადიციული ეროვნული წმინდანების ცხოვრებათა, ყურადღებას იპყრობს თემები: „ერთობა და ეკლესია“ (№ 2954), „ისპობა თუ არა ბატონყმობა“ (№ 3097), ა. ბებელის საწინააღმდეგოთ მიმართული — „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ (№ 3371) და სხვ.

მეცნიერულ ლიტერატურაში დამახასიათებელია ნიკო მარის „ქართველთა ეროვნება“ ანუ „საქართველოს ისტორია, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი (№ 3024), მიმართული ცნობილი შავრაზმელი მღვდელის, ქართველოფობის ვოსტორგოვის საწინააღმდეგოთ.

¹ ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის.“ სახელგამო, 1939, გვ. 60.

² იქვე, გვ. 60.

IX. 1908—1913

ექვსი წლის (1908—1913) მანძილზე გამოდის 1000 სახელწოდებაზე მეტი. ეს რაოდენობა სხვადასხვა წელთა შუა არათანაბრად არის განაწილებული. ყველაზე მეტი გამოცემები მოდის უკანასკნელ — 1913 წელზე (228).

რევოლუციის ძალების დაქსაქსვა ნათლად ემჩნევა ამ პერიოდში შემცირებულ პოლიტიკურ ლიტერატურას (30-დე სახელწოდება 6 წლის განმავლობაში). მათ შორის № № 3525, 3922, 3923, 4066 და სხვ.—დიდტანიან მარქსისტულ („ლეგალური მარქსიზმი“) ნაშრომებს წარმოადგენენ.

ამ პერიოდში იბეჭდება პუბლიცისტური სტატიების სქელტანიანი გამოცემები. მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა ქართული ლეგალური პუბლიცისტიკა აყვავების პერიოდში შევიდა, მხოლოდ ნ. ნიკოლაძის სტატიათა კრებულები გამოდიოდა ცალკე გამოცემების სახით (№ № 570, 1236), თუ არ ჩავთვლით ს. მესხის გარდაცვალების გამო დაბეჭდილს, მისი პუბლიცისტური სტატიების კრებულს.

ამ პერიოდის ქართული სამეცნიერო ლიტერატურა გამდიდრების და გავრმაგების სურათს გვიჩვენებს. კერძოდ, საქართველოს ისტორიაში გვაქვს ივანე ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომები (№ № 3600, 3704, 4471); ვახუშტის, სულხან ბარათაშვილის და სხვა ძველი ისტორიკოსების შრომათა გამოცემები.

რევოლუციის წლებში ჩამოყალიბებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება აქვეყნებს საქართველოს ისტორიის მდიდარ მასალებს (№ № 3661, 3668, 3689, 3787).

აღსანიშნავია აგრეთვე პავლე ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული „ძველი ქართული სასულიერო პოეზიის“ ტექსტები VIII—X“ (№ 4324.) და ს. კაკაბაძის მონოგრაფიებისა და პუბლიკაციების გრძელი წყება (24 სახელწოდებაზე მეტი).

რევოლუციის შემდეგ გაცხოველება ემჩნევა მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსების თხზულებათადმი ინტერესს. მეოცე საუკუნის დასაწყის წლებში ყურადღებას იპყრობს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა გამოცემების მცირერიცხოვანობა. მთელი შვიდი წლის მანძილზე (1900—1906) იბეჭდება ილია ჭავჭავაძის მხოლოდ ერთი გამოცემა (1904 წ.—№ 2925, ლექსები). თვით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემებში აღარ მოჩანს მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვის ამ ორი ბუმბერაზის ნაწარმოებები.

1907 წელს ჩვენ გვაქვს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ათი სხვადასხვა სახელწოდება.

1908 წ., აკ. წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით, იბეჭდება ამ პოეტის ნაწარმოებთა ათი, და ილია ჭავჭავაძის — ექვსი გამოცემა.

საერთოდ ამ პერიოდში მხატვრული ლიტერატურა მდიდრად არის წარმოდგენილი.

1909 წ. იბეჭდება ვაჟა-ფშაველას „ცრემლები“. ცალკე გამოცემად გამოდის მისივე „ზახტრიონი“, დავით კლდიაშვილის მოთხრობების პირველი და მეორე ტომი, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სამი სხვადასხვა გამოცემა (№ № 3715, 3716, 3865); ამათში აღსანიშნავია № 3865 — „ბედი ქართლისა“, დაბეჭდილი ბათუმში, 1911 წ. ამ გამოცემის ერთად ერთი ცალი სალტიკოვ-შჩედრინის წიგნთ-საცავშია დაცული (ლენინგრადი). ძველი კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებიდან აქ გვაქვს ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილი) პირველი დიდი გამოცემა (ს. გორგაძის № 4069); დ. გურამიშვილის თხზულებათა მეოთხე გამოცემა; „ვეფხისტყაოსანი“ (№ 3781) და სხვ.

მხატვრული ლიტერატურა, თუ კრებულებსაც და ნათარგმნ ნიმუშებსაც ჩავთვლით, 100 სახელწოდებას აღემატება.

ნათარგმნი ლიტერატურა ამ პერიოდში არაჩვეულებრივი სიმდიდრით არის წარმოდგენილი. რუსეთის ლიტერატურის კლასიკოსთაგან შესანიშნავია: ლ. ტოლსტოის თხზულებათა თარგმანები: „მეუფება წყვდიადისა“ (№ 3562) „აღდგომა“ (№ 3972) „ბავშვობა და სიყრმე“ (№ 3973), პუშკინის (№ 4394), გარშინის და სხვ. ნაწარმოებები. უცხოეთის მწერლებიდან, გარდა ქართველი მკითხველის საყვარელი ავტორის — ვიქტორ ჰუგოსი (№ 4474 და სხვ.), გვაქვს ემილ ზოლას „მალაროებში მომუშავენი“



(გორი, 1913 წ. № 4314), ჰაუპტმანის დრამები: „ავადმყოფი ხალხი“ (№ 3601) და „ფეიქრები“ (3837). ფელიქს გრასის „მარსელელი“ (№ 3884); ოსკარ უალდის (3974), მოპასანის, ჰეინეს და სხვ. თარგმანები.

საბავშვო ლიტერატურაში, რომელიც ამ პერიოდში 30-ზე მეტი სახელწოდებით არის წარმოდგენილი, აღსანიშნავია დიკენსის „სკრუჯი და მარლი“—ნინო ნაკაშიძის თარგმანი (№ 3741), ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქობი“ (№ 4271) და სხვ.

ამ პერიოდის დრამატული ლიტერატურა ორიგინალური და ნათარგმნი 53 სახელწოდებას შეადგენს.

ხალხური შემოქმედების ნიმუშებში შესანიშნავია თ. რაზიკაშვილის „ხალხური ზღაპრები კახეთსა და ფშავში“ (№ 3664) და „ქართლში“ შეკრებილი (№ 3665), რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ გამოიცა და ძალიან ჩქარა დიდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა.

სასწავლო სახელმძღვანელოების საერთო რიცხვი 1908—13 წლებში 40-მდე აღწევს. 1913 წ. გამოდის ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ I და II ტ. (№№ 4463 — 64).

პედაგოგიური ლიტერატურა მდიდრდება იაკობ გოგებაშვილის „რჩეული ნაწერებით“ (№ 3731), დ. უზნაძის „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის შესავალი“ (№ 4199) და სხვ. გამოცემებით.

სამეცნიერო პოპულარულ ლიტერატურაში: ივ. გომართლის „ტენი და სული“ (№ 3508) და „ადამიანის ნება და ზნეობა“ (№ 3880) რელიგიურად განწყობილი წრეების დიდ შეშფოთებას იწვევს (ნ. საპასუხო ბროშურა № 3679).

სასოფლო-სამეურნეო გამომცემლობაში შესანიშნავია აპოლონ წულაძის „ფუტკარი და მეფუტკრეობა“ (№ 4021), სოლომონ ჩოლოყაშვილის „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“ (№ 4223).

ქართული ლექსიკოგრაფია რამდენიმე ახალ ნაშრომს იძენს. 1910 წ. მეცნიერებათა აკადემია ბეჭდავს ილია ჭყონიას „სიტყვის კონას“ (№ 3824); 1912 წ. იმავე მეცნიერებათა აკადემიის გამომცემად გამოდის ვუკოლ ბერიძის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ (№ 4068).

აღსანიშნავია აგრეთვე მოსე ჯანაშვილის ეთნოგრაფიული ნაშრომი „სანიგლო“, გამოცემული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულის „ძველი საქართველოს“ ტ. II, ცალკე ამონაბეჭდის სახით (№ 3836).

მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო და საოცარია ქალაქური „იაფი“ პოეზიის ნიმუშების რიცხვობრივი ზრდა ამ პერიოდში. ექვსი წლის მანძილზე გამოსულა ხსენებული ჟანრის 230 სახელწოდება.

თუ „იაფი“ გამოცემების შინაარსს ჩაუვკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს ლიტერატურა ლამობს რევოლუციის წლებში შემოჭრილი და გავრცელებული იდეურობის ყოველგვარი ნასახის წაღვეკვას.

ჩვეული თემები: „ბორნის დაღუპვა და ხიდის აშენება“, „მიშა ბადრიძის ანდერძი“ და მისთანანი, ენაცვლებიან „ახალმოდის“ ლექსებს, რომლებიც საკმარისად ტლანქი იუმორისა და აშკარა უწმაწურობის შენაერთს წარმოადგენენ.

ყველაზე გავრცელებულია თემა შანტაქისტებისა და შანტეკლერის (როსტანის „შანტეკლერის“, უფრო კი ამ დროს მოდაში შემოსული ვიწრო კაბების „შანტეკლერის“ გავლენის გამოწვეული) კაბების შესახებ: „ახალმოდის ბარიშნები“, „შანტეკლერის არშიყობა“ (№ 4260), „მეგრულ ენაზე შანტეკლერი“ (№ 4122), „არ მოგწყინდეთ, ბარიშნებო“ და სხვ.

საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში ქალაქური, თბილური პოეზია თითქმის პროვინციალურ და სოფლის პოეზიადაც ხდება—იმდენად ფართოვდება მისი ყოვლის შემცველი გავლენა. ამ პოეზიის ხსენებული ტენდენცია მქლავნდება სათაურებშიაც: „ანგელოტები და ფოთის კინტო“, ფოთი, 1913 (№ 4302). „მეცხვარე მეგრელი, წმინდა მეგრული ლექსები და აფხაზური სცენები“ (№ 4371).

თქმა არ უნდა, რომ „არსენას ლექსის“ მკითხველების ასეთ ლიტერატურაზე გადასვლაში დიდი საზოგადოებრივი რეაქცია იხატება და ეს ბუნებრივად უნდა ჩაით-

ვალოს ყოველგვარი „წითელი ოთახების“ და არციბაშევისებური რომანების პერიოდში. საინტერესოა ის გარემოება, რომ ზოგიერთი ავტორი, როგორც მაგ. დავით, გივი-შვილი, ამ ლიტერატურას დეკამერონის ნოველებითაც აზავენს („ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“ (რძალ-დედამთილის ჩხუბი) საროსკიპო სახლი, „მუნჯი მსახური მონაზნებისა“). შესანიშნავია, რომ ეს ნაწარმოებები, უკეთ რომ ვთქვათ კრებული — 3-ჯერ გამოდის ზედიზედ (№ № 3875, 4085, 4086).

X. 1914—1920

შვიდწლიანი პერიოდი — 1914—1920 საერთო რიცხვით 1293 გამოცემას გვაძლევს. იმპერიალისტური ომის პირველი წლიდან (1914) ქართული წიგნის გამომცემლობა, წინა პერიოდთან შედარებით, მთელი 6 წლის განმავლობაში დაქვეითების გზით მიდის და მაოლოდ 1920 წ. უსწრებს ომის წინა წლების გამოცემათა რაოდენობას.

ბუნებრივია, რომ იმპერიალისტური ომის წლებში, წარმოების საერთო კრიზისის დროს, წიგნის წარმოებაშიაც უდაღესი კრიზისი მეფობს.

1914 წლის განმავლობაში, რამდენადაც ამ წლის დიდი ნაწილი ომის წინა პერიოდს განეკუთვნება, არსებითად იგივე ტენდენციები მეფობს, რაიც წინა პერიოდში: პირველი რევოლუციის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი გაღრმავებული სამეცნიერო-განამანათლებელი მუშაობის შედეგად მღებული გამოცემები და რეაქციის პერიოდისათვის დამახასიათებელი „იაფა“ ლიტერატურის სიმრავლე.

1914—1915 წწ. ქართული ისტორიოგრაფია და არქეოგრაფია მრავალი ახალი მასალით და ნაშრომით მდიდრდება (№ № 4541, 4688, 4753 და სხვ.).

ამათ შორის — ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ წ. II და მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფიებისა. და ქართული კლასიკური ფილოსოფიის ნიმუში ნემესიოს ემესელი „ბუნებისათვის კაცისა“, იოანე პეტრიჭის თარგმანი (ს. გორგაძის გამოცემა. № 4585).

საგრძობლად ფართოვდება ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოთა გამოცემების წრე. ჩნდება ახალი ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოები (№ № 4575, 4576, 4755 და სხვ.). ამათში აღსანიშნავია „კომერციული არითმეტიკა“ (№ 4734); სილოვან ხუნდაძის მიერ შედენილი „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების სერია“ (№ 4686 და სხვ.) და სხვა.

საკმარისად მრავალრიცხოვანია პოლიტიკური შინაარსის ლეგალური გამოცემები (№ 4770 და სხვ.).

მხატვრული ლიტერატურა 1914 წ. 40-დგ გამოცემას გვაძლევს. აქ გვაქვს ახალგაზრდა პოეტების ჯგუფის ნაწარმოებთა გამოცემები: ვალაქტიონ ტაბიძის (№ 4625), გ. ქუჩიშვილის (№ 4644—45, ნ. ჩხიკვაძის (№ 4662), ი. გრიშაშვილის (№ 4520), შანშიაშვილის (№ 4625) და სხვ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსთა გამოცემების რიცხვი. განსაკუთრებით საყურადღებოა ილია ქავჭავაძის თხზულებათა I ტომის გამოცემა მიხეილ გედევანიშვილის მიერ (1914 წ. № 4678).

ქალაქური ლიტერატურა იმპერიალისტური ომის წინა პერიოდის (რეაქცია) ხასიათს ატარებს. გაბატონებული თემებია: „იოანეშე თამარა“, „ტანგო, ბიძაშვილო“. „ახალმოდის ჯიბგირი ვარ“, „თელავის ბარიშნებზე“ და მისთანანი.

ეს „სენსაციური“ წიგნაკები ორ-ორჯერ და სამ სამჯერაც გამოიცემიან ამ წლის განმავლობაში. ამ ლიტერატურის პროდუქცია 1914 წელში 44 უდრის.

ამვე 1914 წელში ქალაქური ლიტერატურა ახალ თემებზე გადასვლას იწყებს. ეს არის ომის თემები: „მოლაღატე ასლან ბეგი“, „ახალი სიმღერა“, „ენვერ ფაშა“, „გერმანია ღიღინობს“, „გაუმარჯოს რუსის ჯარს“.

შემდგომი 1915 წლის გამოცემებში ომის ლექსები თითქმის მთლიანად ეუფლებიან „იაფ ლიტერატურას“: „ომის ამბები და ვიოგელმის თავხედობა“, „დარდანელის გახსნა“, „ინგლისის ომიანობა ღა ოსმალეთის ფხაკური“, „ახალი გერმა-

ნის ეშმაკობა და ვერდენის მამაცობა“, „გუმარჯოს ტრაპიზონის აღებას“ და სხვა ასეთი გამოცემების რიცხვი 1915 წლის განმავლობაში 40-მდე აღწევს. ხოლო „საწყალი ქმარი“ და მსგავსი უწმაწური წიგნაკების რიცხვი 10-დე ქვეითდება.

1915 წ. დიდი პოეტის აკაკი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გვაქვს მთელი რიგი გამოცემებისა (№№ 4701, 4702, 4703, 4788, 4804).

ოსმალეთთან ომის წარმოება და რუსის ჯარის მიერ სამაჰმადიანო საქართველოს ახალი რაიონების დაპყრობა აცხოველებს ინტერესს სამაჰმადიანო საქართველოს მცხოვრებთა მიმართ (№№ 4813, 4816, 4830 და სხვ.).

1916 წლის გამოცემებში ყურადღებას: იპყრობს ივანე ჯავახიშვილის შესანიშნავი ნაშრომი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ (№ 5015), „შაჰნამე ქართული ვე-სიები“ იუსტ. აბულაძის რედაქტორობით (№ 4984; „ქართული ბიბლიოგრაფია—I. ქართულ პერიოდულ გამოცემებში“ (1852 — 1910), გამოცემული მეცნიერებათა აკადემიის მიერ იოსებ ყიფშიძის რედაქტორობით. სპბ. (№ 4987).

1917 წლის მიწურულში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია ძირიანდევსიანად სპობს ძველი რუსეთის შემბორკავ რეჟიმს და ფართო პერსპექტივებს შლის ფორმით ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. მთელი სკოლა, პირველი საფეხურიდან ვიდრე უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსამდე, გაეროვნების გზაზე დგება.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ინიციატივით თბილისში არსდება ქართული უნივერსიტეტი. ეს შესანიშნავი აქტი ძველი რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში გაფანტულ ქართველ მეცნიერთა თავის მოყრას და ქართული მეცნიერული ლიტერატურის ინტენსიურ განვითარებას იწვევს.

გამოდის სამეცნიერო-სატერმინოლოგიო შინაარსის გამოცემათა მთელი რიგი: „საზოგადო ქორუგის ტერმინოლოგია“ (№ 5414); „ბიოლოგიის ტერმინოლოგია“ (№ 5428); „მათემატიკის ტერმინები“ (№ 5018), „კომერციული ტერმინოლოგია“ (5524); „მასალები მეანობის და გინეკოლოგიის ტერმინოლოგიისათვის“ (5588); „დიაგნოსტიკის ტერმინოლოგია“ (№ 5624); „სამხედრო ტექნიკური ლექსიკონი“ (№ 5731), „იურიდიული ლექსიკონი“ (№ 5676); „ტექნიკური ლექსიკონი“ (№ 5677) და სხვა.

იბეჭდება ორიგინალური შრომები სპეციალურ დარგებში: ანდრია რაზმაძის „მათემატიკური ანალიზის კურსი“ (5670), არჩილ ხარაძის—„დეტერმინატთა თეორიის საფუძვლები“. (№ 5764). ალ. თვალჭრელიძის „გეომეტრიული კრისტალოგრაფია“ (5587); ივ. ბერიტაშვილის „ცხოველთა ფიზიოლოგია“ (საუნივერსიტეტო კურსი 4 ნაწილად №№ 5518—19-20-21), ა. ნათიშვილის ნაშრომი (№ 5641), პეტრე მელიქიშვილის გამოკვლევები (№ 5628), ივანე ჯავახიშვილის საისტორიო ნაშრომები (№ 5486 — 87-88), იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის საენათმეცნიერო შრომები (№№ 5713 — 14, 5446, 5716 — 17, 5513, 5183 — 84) და სხვ.

ქვეყნდება მთელი რიგი ძველი ქართული ტექსტებისა: პროფ. კ. კეკელიძის (№№ 5225, 5607), ე. თაყაიშვილის (№№ 5657, 5688), მელიქსეთ ბეგის (№№ 5621—30), სვ. ყაუხჩიშვილის მიერ (№ 5712).

გამოდის მრავალი ორიგინალური სახელმძღვანელო უმაღლესი და საშუალო სკოლებისათვის: შ. ნუცუბიძის (ფილოსოფია—5646; ლოლიკა—5646), დიმ. უზნაძის (ფსიქოლოგია — 5430, 5700; ისტორია—5429, 5431). ზაქარია ყანჩაველისა (ბოტანიკა — 5443-44), ალ. ჯანელიძისა (ფიზიკა—5489) და სხვ.

განსახილველი პერიოდის ბოლოს გამოდის „თბილისის უნივერსიტეტის მოამბის I ტომი, (№ 5696), სადაც წარმოდგენილი არიან ახლად აღორძინებული უმაღლესი ქართული სკოლის თვალსაჩინო ძალები.

1917 წლიდან პოლიტიკური ლიტერატურის მოცულობაც ფართოვდება. მიუხედავად სასტიკი შემზღუდავი პირობებისა, კომუნისტურ გამოცემებს აქ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

გამომცემლობანი „მესამე ინტერნაციონალი“, „წითელი ვარსკვლავი“ და „სპარტაკი“ ბეჭდავენ მარქსისტულ-რევოლუციური ლიტერატურის სერიების.

ამ გამოცემათაგან „ქართულ წიგნში“ აწერილია:

1. ამხანაგი ი. ბ. სტალინის შესანიშნავი ნაწარმოები — კობა (სტალინ-ჯუღაშვილი). „დიალექტიური მატერიალიზმი“. ქუთაისი, სტამბა ნ. ფერაძისა [1918 წ?], ქუთაისის „სპარტაკის“ გამოცემა (მეორე გამოცემა № 5226), სადაც მოკლეთ და საოცარი სხარტულობით, ამხანაგ სტალინისათვის ჩვეული დამაჯერებლობით და ნაქედი სტილით, მოცემულია დიალექტიური მატერიალიზმის მთელი რაობა.
 2. კ. ი. „საბჭოთა რესპუბლიკა“ ა. ლუნაჩარსკის წინასიტყვაობით (№ 5224).
 3. ვლ. ლენინის მოხსენება და სიტყვა სრულიად რუსეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა მესამე სიეზღზე (№ 5231).
 4. ლენინი, ნ. „სახელმწიფო და რევოლუცია“. „მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოზე და პროლეტარიატის მიზნები რევოლუციაში“ (№ 5232).
 5. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (№ 5376).
 6. „კავკასიის მშრომელ მასებს“, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მიმართვა (№ 5411).
 7. „ვინ არიან კომუნისტები“ (№ 5578).
 8. „კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა“ (№ 5616).
 9. ლენინი, ნ. „ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში“ (№ 5620).
 10. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. „კომუნისტების ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კავშირისადმი“ 1850 წ. (№ 5623).
 11. მინინი, ს. „რელიგია და კომუნისმი“ (№ 5631),
 12. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ (№ 5660).
 13. „პროგრამა რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკებისა)“ (№ 5663).
- რევოლუციის გავლენა ამ პერიოდის მხატვრულ გამოცემებზეც ეტყობა. 1917 წელს კვლავ იცვლება „იაფი“ პოეზიის თემატიკა და ბატონდება რევოლუციის მოტივები. ამ წელში სამი კრებული გამოდის რევოლუციური ლექსებისა; „წინ“ — რევოლუციონური ლექსები და სიმღერები (№ 5158); მამულაშვილის (ი. გრიშაშვილი) „წითელი დროშა“ (№ 5071); სკანდარ-ნოვას „წითელი დროშა“ (№ 5126).

„ქართულ წიგნის ბიბლიოგრაფიის“ აწერილობათა წესი

„ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ მთელი მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, რათა მკითხველმა და მკვლევარმა ადვილად შესძლოს ქართული წიგნის ისტორიული განვითარების მიმოხილვა.

ამათუიმ წიგნის მოძებნის გასაადვილებლად ბიბლიოგრაფიის დართული აქვს თოთხმეტი სახის საძიებელი, შედგენილი პლატონ ხუნდაძის, თინათინ ნაკაშიძისა და ვლადიმერ ჯოჯუას მიერ.

აწერილობებში, უეჭველია, არაერთი უნებლიე შეცდომა გავგეპარებოდა. დავასახელებთ შემჩნეულ შეცდომათაგან ყველაზე მეტად უსიამოვნოს:

ორ-ორჯერ არის აწერილი ერთიდაიგივე წიგნები ამ ნომრებით: 2513 და 2578; 2556 და 2678; 2669 და 2690; 3017 და 3071; 3227 და 3253.

№ 60, გვ. 63—[1784 წ.] დაუჯდომელის აწერილობის ბოლოში უნდა ეწეროს: შრიფტი მხედრული და არა ნუსხა ხუცური.

№ 151 აწერილობის ბოლოში არ არის აღნიშნული დაცულობის ადგილი: თბილისის კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა.

58 წიგნის დათარიღება ვერ მოხერხდა. რის გამო იძულებული გავხდით ამ გამოცემების სია დაგვერთო დათარიღებული წიგნების აღწერილობათა ბოლოში.

რედაქცია შეეცადა შესაძლებლობის ფარგლებში უცნობ ავტორთა გარკვევას და ფსევდონიმ-კრიპტონიმების გახსნას. ნაწილობრივ შეასრულა კიდევაც ეს მეტად რთული საქმე. მაგრამ მთელი რიგი ფსევდონიმ-კრიპტონიმებისა ჯერ-ჯერობით გაუხსნელი დარჩა.

საქართველოს ს.ს.რ. სახელმწიფო წიგნის პალატა გამოსთქვამს იმედს, რომ მკითხველები მიაწვდიან მას საჭირო ცნობებს ქართველ მწერალთა ფსევდონიმ-კრიპტონიმების ლექსიკონის დასამთავრებლად.

წიგნის კატალოგრაფიულ აწერილობათა შორის უპირატესობა მივეცით კომპაქტური აწერილობის ფორმას:



აწერილობათა ტექსტებს დართული აქვს აკადემიური შრიფტით დაბეჭდილი დასახელება იმ ბიბლიოთეკებისა, სადაც დაცულია ესა თუ ის წიგნი. პირველ რიგში ვასახელებთ თბილისის ბიბლიოთეკებს, შემდეგ — საქართველოს სხვა ქალაქებისა და ბოლოს — მოსკოვ-ლენინგრადის წიგნთსაცავებს.

აწერილობის ეს წესები არ არის ზედმიწევნით გამოყენებული ძველი ნაბეჭდი წიგნების მიმართ. ამ გამოცემების სიძველე და იშვიათობა ხელნაწერების მნიშვნელობას ანიჭებს მათ. ამის გამო ყოველი ასეთი ერთეული ჩვენ ავწერეთ დეტალურად:

აწერილობა იწყება ავტორის, სათაურის, დაბეჭდვის ადგილის, თარიღის, მოცულობის და ფორმატის მოკლე აწერით. ახალ აბზაცში ვიძლევეთ თავფურცლის წარწერას სრულად, ქვემოთ — წიგნის გაფორმების დახასიათებას. შემდეგ — ანდერძების (წინა და ბოლო სიტყვაობათა) ზედმიწევნით შინაარსს. ბოლოს, ცნობას შრიფტის შესახებ: „მხედრული“, „ნუსხა ხუცური“ და სულ ბოლოს, ჩვეულებრივი წესით, აღვნიშნავთ დაცულობის ადგილებს. დედნებში დაცული ქარაგმები ჩვენს აწერილობაში თითქმის ყოველგან გახსნილია. ძველი ნაბეჭდი წიგნების გარეგნული გაფორმების მეტი სიცხადით ჩვენებისათვის, ბიბლიოგრაფიაში მოთავსებულია თავფურცლების და საყურადღებო შემკულობათა ნიმუშები.

ნამდვილი მეცნიერული აწერილობის წესები მოითხოვდა, რომ ნუსხური შრიფტით ნაბეჭდი ტექსტები ამავე შრიფტით ყოფილიყო მოცემული ბიბლიოგრაფიულ აწერილობაშიც. მაგრამ სასურველი იყო საბჭოთა ინტელიგენციის და მკითხველი საზოგადოების ფართო მასებისათვის მისაწვდომი ყოფილიყო ჩვენი ბიბლიოგრაფია. ამის გამო ვარჩიეთ ყველა აწერილობათა მხედრული შრიფტით შესრულება.

დღეძღის უცნობი ძველი ნაბეჭდი წიგნები

ქართული ძველი ნაბეჭდი წიგნები დიდი ხანია იპყრობენ მეცნიერ-ბიბლიოგრაფთა ყურადღებას. მთელ რიგ ბიბლიოგრაფიულ აწერილობათა შორის ამ წიგნების ყველაზე სრული აწერილობა გამოაქვეყნა დ. კარიჭაშვილმა ქართული წიგნის 300 წლის თავზე: ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. ტფილისი, 1929 წ.

საჭიროდ მიგვაჩნია სათითაოდ აღვნიშნოთ მთელი რიგი იმ გამოცემათა, რომლებიც ჩვენ პირველად გვაქვს აწერილი. საორიენტაციოთ ვემყარებით დ. კარიჭაშვილის ხსენებულ გამოცემას:

1. დავითნი. მოსკოვი. 1705 წ. არჩილის გამოცემა (№ 4). ამ გამოცემას პირველად ყურადღება მიაქცია ალ. ხახანაშვილმა („ძველად აღბეჭდილი წიგნნი სინოდალურ სტამბაში“ *ე. „მოამბე“* № III, გვ. 20—21. 1900). სრული ცალი დაცულია „ფეოდალურ ბატონყმური ეპოქის არქივის“ ბ-კაში მოსკოვში, სადაც ჩვენ ავწერეთ და გადავადვინეთ თავფურცლის ფოტო-პირები.

2. დავითნი. ტფილისი. 1709. (№ 6) ამ წიგნის არსებობას მოწმობს დავითნის 1711 წლის გამოცემის თავფურცელი (ნ. გვ. 19).

ჩვენ მიერ თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის „ეკლ. ფონდში“ აღმოჩენილი და აწერილი ცალი დღეძღე არავის შეუმჩნევია.

3. ჟამნი. ტფ. 1710. მხედრული (№ 10). დაცულია თბილისის სტალინის სახელობის უ-ტის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისეულ ფონდში. შემჩნეული და აწერილია პირველად.

4. დავითნი. ტფილისი. 1716 წ. (№ 17) შემჩნეული და აწერილია პირველად. თვით ფაქტი 1716 წ. თბილისში სტამბის მოქმედებისა საეჭვოთ მიიჩნდა დ. კარიჭაშვილს.¹ დაცულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის სააზიო მუზეუმისეულ ფონდში, ლენინგრადში.

5. [ბიბლია — წიგნი წინასწარმეტყველთა და სახარება] ტფ. 1709 — 1723 (№ 24). აწერილია და პირები გადაღებულია პირველად. დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში. იხსენიებს თ. ჟორდანიას „მოკლე ისტორიულ გამოკვლევაში ქართული სტამბის დაარსებისა“, *ე. „ივერია“*. 1885. № 10. გვ. 190.

¹ ნ. დ. კარიჭაშვილი — „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“. 1929. გვ. 25.

6. დავითნი. მოსკოვი. 1737 წ. (№ 25). აღწერილია პირველად. მისი ორი, მეტად დეფექტური, ცალი ჩვენ გამოვიცანით თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის „ეკლ. ფონდში“ და შემდეგ ვნახეთ სრული ცალი ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში.

რომ ასეთი წიგნი გამოცემული იყო, ეს ჩანს 1741 წლ. მოსკოვის მარხვანის ანდერძიდან: „და დაიბეჭდა დავითნი, ზატიკი და სახარება“.

ამ წყაროდან იცოდა ეს დ. კარიჭაშვილმაც.¹

7. პროკოპოვიჩი, თეოფანე] პირველი სასწავლო ყრმათათვის. მოსკოვი. 1739 (№ 28).

დ. კარიჭაშვილს აწერილი აქვს ამ წიგნის დეფექტური (უთავფურცლო) ცალი, რომელიც დაცული იყო წ.-კ. საზოგადოების წიგნთსაცავის ფონდში. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრ. სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩვენ ვნახეთ ამ გამოცემის სამი ცალი (2 სრული და 1 ბოლონაკლული).

დ. კარიჭაშვილმა ვარაუდით დაადგინა ამ წიგნის თარიღად 1732—1737 წ. თავფურცლიდან ირკვევა, რომ იგი 1739 წ. არის დაბეჭდილი.

გაურკვეველი იყო აგრეთვე წიგნის ავტორის ვინაობაც, რაიც ჩვენ დავადგინეთ ქართული თარგმანის წინასიტყვაობის და ტექსტის შედარებით რუსული გამოცემის წინასიტყვაობასა და ტექსტთან.

8. ჟამნი. მოსკოვი. 1743 წ. (№ 34). ამ წიგნის მეტად დეფექტური ცალი ჩვენ შევამჩნიეთ და ავწერეთ თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის „ეკლ. ფონდში“. ხოლო შემდეგ, ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში ავწერეთ მისი სრული ცალი.

ამ წიგნის შესახებ ბუნდოვან ცნობებს იძლევა თ. ჟორდანიას, რომელსაც უეჭველად სადღაც უნახავს ეს გამოცემა, ვინაიდან თარიღი — 1743 წ. — სწორად აქვს მოცემული.²

9. — იავორსკი, სტეფანე. კლდე სარწმუნოებისა. [მოსკოვი 1737—1744] (№ 36).

ეს წიგნი ჩვენ შევამჩნიეთ და ავწერეთ პირველად ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში (1939 წ.). ხოლო შემდეგ ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაშიაც ვნახეთ ასეთი გამოცემა. აქ საბოლოოთ დავადგინეთ ავტორი 1705 წლის რუსულ გამოცემასთან შედარების გზით.

დ. კარიჭაშვილი თავისი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში კატეგორიულად უარყოფდა ამ გამოცემის არსებობას (60 გვ). ეს, უეჭველია, გამოწვეული იყო თ. ჟორდანიასა და ზ. ჭიჭინაძის ამ წიგნის შესახებ ცნობების ბუნდოვანობით და წინაუქმობით. (ნ. თ. ჟორდანიას „ივ“. 1884 № 3, გვ. 89. ზ. ჭიჭინაძე „ქართული სტამბები 1627—1916 წ. გვ. 97)

ალ. ცაგარელი თავის „Сведения о памятниках грузинской письменности“ III. გვ. 255. იხსენიებს იავორსკის კლდე სარწმუნოებისას, როგორც ვახუშტის თარგმანს, მაგრამ ეს ცნობა ჩვენ შეუმოწმებლად ვერ გავიმეორეთ.

10. ლოცვა, ახლად თარგმნილი რუსულისაგან ბატონიშვილის ალექსანდრე ბაქარის ძის მიერ და რედაქტირებული ნიკოლოზ ორბელიანის მიერ. [მოსკოვი. 1737—1744]. (№ 37).

ამ გამოცემის ერთად-ერთი ცალი დაცულია სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო-ბიბლიოთეკაში (ლენინგრადი). მისი არსებობა ჩვენ ვიცოდით ალ. ცაგარელის Сведения-ს III წ. (გვ. 117) წყალობით. აწერილია პირველად.

11. დავითნი. თბილისი. 1749 (№ 39). ამ წიგნის უნიკალური ცალი ვნახეთ და ავწერეთ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასოლოგიურ კაბინეტში. ამ გამოცემას არსად არაფერ იხსენიებს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში 1764 წ. ირაკლის სტამბაში დაბეჭდილ კურთხევანში გვაქვს გარკვეული ცნობა: „და დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი, მეორედ კონდაკი“ და სხვ.

¹ ნ. დ. კარიჭაშვილი — „ისტორია“ გვ. 52: „ეს წიგნი ჩვენ არ გვინახავს“...

² თ. ჟორდანიას — მოკლე ისტორიული გამოკვლევა. თ. „ივერია“, 1885, № 10. გვ. 115.



ამ წიგნის მნიშვნელობა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიისათვის მით უფრო დიდია, რომ 1749 წელსვე ტფილისის სტამბაში დაბეჭდილი ლოცვანის ფრაგმენტი (ერთი ფურცელი), რომელიც დ. კარიჭაშვილს ქუთაისის მუზეუმის ბიბლიოთეკაში უნახავს და აღწერია (დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია გვ. 87), 1939 წლის მარტში იქ ვერ მოიძებნა.

12. „თვენი“ [მოსკოვი. 1756--1762].

ეს უთარილო, არც ძალიან იშვიათი, წიგნი (დაცულია 5 წიგნთსაცავში, ზოგან რამდენიმე ცალადაც), თავისი შრიფტისა და შემკულობათა მიხედვით დაუეჭვებლად ბაქარისა და იოსებ სამეხეღისეული სტამბის წიგნებს უნდა მივაკუთვნოთ. დამაეჭვებელია მხოლოდ ის გარემოება, რომ წიგნი, ყველა გარეგნული ნიშნებით ბაქარისა და იოსებ სამეხეღის სტამბაში დაბეჭდილის მსგავსი, შინაარსით ანტონ I-ლის მიერ შედგენილი უზარმაზარი ნაშრომის ერთ ნაწილს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ბაქარისა და იოსებ სამეხეღის სტამბიდან უკანასკნელი წიგნი 1744 წ. გამოვიდა, და რომ ანტონი I-ლი „თვენი“ მუშაობდა თავისი ემიგრანტობის პირველ პერიოდში:

„პირველად გარდამოღება ვიპყარ რუსულით საწელიწდოსა თუშთა წიგნისა უნაკულ-ლოდ“— ამბობს ანტონი თბილისში 1772 წ. დაბეჭდილი პარაკლიტონისათვის წამძღვარებულ ანდერძში (№ 56. გვ. 60).

ამის მიხედვით „თვენი“ არ შეიძლება და დასაბეჭდად გადაეცათ 1752 წ. ადრე (ანტონის რუსეთს წასვლის თარიღი)—და 1762 წ. გვიან (რუსეთიდან მისი დაბრუნების თარიღი). მაგრამ ამ წლებში, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის მიხედვით, თითქოს არც ერთი ქართული სტამბა არ მოქმედობდა მოსკოვში. ეს წინაუკმობა უეჭველია შედეგია ქართული სტამბების ისტორიის დაუშუშავებლობისა. „თვენის“ მოსკოვის მეტყვამეტე საუკუნის ქართულ სტამბაში დაბეჭდვის ფაქტი მაინც ეჭმიუტანელად უნდა ჩავთვალოთ.

საყურადღებოა, რომ პროფ. კ. კეკელიძის ცნობით „თვენის“ ეს—ნაწილი „დაბეჭდილია მეთვრამეტე საუკუნეში.... რუსეთში გადახვეწილ ქართველების მიერ“ („ანტონ კათოლიკოსის სალიტურდიკო მოღვაწეობიდან.“ თბ. 1914 წ. გვ. 4).

13. მისალმება თეიმურაზ II-სადმი. ს. პეტერბურგი. სამეცნიერო აკადემიის სტამბა. 1761 წ. (№ 42, გვ. 53). ეს „მისალმება“, დღემდის აღწერელი, მოხსენებული აქვს ა. ცაგარელს თავისს *Новые архивные материалы по истории Грузии XVIII века* და აგრეთვე *Сведения в. I.* გვ. XLIX, სადაც იგი აღნიშნავს, რომ აკადემიკოსმა მარი ბროსემ უჩვენა მას ეს მისალმება.

დ. კარიჭაშვილი, უარყოფს ქართული სტამბის არსებობას ს. პეტერბურგში XVIII ს., ვინაიდან არც ერთ აქ გამოცემულ ნაბეჭდ ფაქტს არ იცნობს. (დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, გვ. 61).

14. დაუჯდომელი. მოსკოვი. 1762 (№ 43).

ამ წიგნის არსებობა დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ მოსკოვსავე 1764 წ. დაბეჭდილი დავითნის ტექსტის ბოლოში მოთავსებული ანდერძის წყალობით: „ამ სტამბის გამოსაცდელად პირველად დაბეჭდილს ღმერთის მშობლის დაუჯდომელში.“ და სხვ. (ბ. № 46, გვ. 55).

დ. კარიჭაშვილი შენიშნავს: „ეს წიგნი ჩვენ არ გვინახავს და არც ცნობა გვაქვს თუ სადმე მოიპოვება დაცული“ („ისტორია“, გვ. 58) და მისი დაბეჭდვის თარიღად ვარაუდობს 1763 წელს.

ამ დაუჯდომელის 2 ცალი ჩვენ ვნახეთ და ავწერეთ ლენინგრადში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში (საახიო მუზეუმისეულ ფონდში და კავკასილოგიის კაბინეტში).

15. ეპისკოპოსთა მიმართ. ტფილისი 1768 (№ 52, თავფურცელის პირი — გვ. 57).

ეს მეტად საყურადღებო ისტორიული საბუთი, ერთად-ერთი ნაბეჭდი ცალის სახით, დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში. იგი ჩაქინძულია ერთერთ ხელნაწერ კრებულში (A 317).



ამ საბუთის პუბლიკაცია მოგვცა პ. კარბელაშვილმა (იერარქია საქართველოს ეკლესიისა გვ. 179). როგორც ჩანს, ამ პუბლიკაციას ემყარება პ. გუგუშვილი, რომელიც იხსენიებს ამ გამოცემას, მაგრამ არ ასწერს მას, არც ასახელებს მისი დაცულობის ადგილს და არ შეაქვს თავისი წიგნის 73 გვ. მოთავსებულ ერეკლე მეფის დროის სტამბის გამოცემების ნუსხაში¹. კარიჭაშვილი ამ გამოცემას არ იცნობს.

16. ლოცვანი. მოსკოვი. 1768. გვ. 188. ტირაჟი 40 ცალი (№ 53, გვ. 58). დაცულია თბ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ბ-კის „ახს. I“ ფონდში.

დღემდის ეს გამოცემა შეუმჩნეველი იყო. იქნებ იმის გამო, რომ ამავე 1768 წელს, მოსკოვში, ათანასე ამილახვარის სტამბაშივე გამოიცა მეორე ლოცვანი, გვ. 388, ტირაჟი — 800.

ამ გამოცემის ერთად-ერთი ცალი შესანიშნავია თავისი გარეგნული გაფორმებით: მოხდენილი, წვრილი შრიფტით და მშვენიერი ყლით.

17. ოჰანესიანის „შესხმა პირუშლი ახლისა ამის წიგნთ საბეჭდვისა“. ტფილისი. 1782 (№ 57. გვ. 61). ერთად-ერთი ცალი დაცულია ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

დ. კარიჭაშვილს იგი არ უნახავს და De—vicu აწერილი არა აქვს. მას გამოყენებული აქვს ალ. ცაგარელის Сведения I №. (გვ. XLII—XLIV) მოთავსებული ნაწილობრივი პუბლიკაცია ამ წიგნის ტექსტისა. ჩვენ ავწერეთ ეს წიგნი ანოტაციით, გადავადვინეთ მისი თავფურცელას ფოტო-პირი და მთელი წიგნის როტო-პირი, რომელიც დაცულია საქართველოს წიგნის პალატის ფოტო და როტო-პირების კოლექციაში.

18. ხელშეკრულება, დადებული ეკატერინე II-სა და ირაკლი II-ს შორის 1783 წ. (ს. პეტერბურგი, 1783 (№ 59).

ამ ხელშეკრულების თითო ცალი დაცულია თბილისის კარლ მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში, თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის და საკავშირო მეცნ. აკადემ. წიგნთსაცავებში.

შრიფტით იგი წააგავს პეტერბურგის აკადემიის სტამბის გამოცემებს. ასეთი ორენოვანი ხელშეკრულებანი: რუსულ-ფრანგული, რუსულ-თურქული და სხვ. იბეჭდებოდა ს. პეტერბურგს, ოფიციალური განკარგულებით, მსგავს ხელშეკრულებათა დადებისთანავე (ნ. Соликов. Опыт российской библиографии. С. Петербург, 1904. ч. II. გვ. 96, №№ 3213 და სხვ.)

ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს ეკატერინესა და ირაკლის შორის დადებული ხელშეკრულების დაბეჭდვის თარიღად ვივარაუდოთ ხელშეკრულების დადების წელი—1783, ხოლო დაბეჭდვის ადგილად პეტერბურგი.

19. ლოცვანი. ტფილისი. 1784 წ. (№ 63, გვ. 64.) ამ წიგნის თითო ცალი დაცულია 4 სხვადასხვა წიგნსაცავში. დ. კარიჭაშვილს იგი აწერილი და მოხსენებული არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეფორე კეჟერაშვილის მიერ 1793 წ. დაბეჭდილი მარხვანის ანდერძში მოთავსებულ წიგნთა სიაში მას მესამე ადგილი უჭირავს, დაბეჭდვის თარიღის აღუნიშნავად (ნ. № 74, გვ. 69).

20. დაუჯდომელი. ტფილისი [1784.] ფრაგმენტი (№ 60). დაცულია თბ. საჯაროში, წ.-კ. საზოგად.-სეულ ფონდში.

დ. კარიჭაშვილი ვარაუდობდა მის დაბეჭდვას თბილისის სტამბაში, 1769 წ. რაზე ამყარებდა ამ ვარაუდს ქართული წიგნის ბეჭდვის სინილისიერი მკვლევარი, ჩვენ არ ვიცით.

დაუჯდომელის თარიღის 1784 წელში გადმონაცვლებას საფუძველად დაედო შემდეგი: 1793 წლ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი მარხვანის ბოლოში მოხსენებული ანდერძის ცნობა, რომელიც ეკუთვნის გამომცემელს ქრ. კეჟერაშვილს: „და დაგბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა მხედრული დაუჯდომელი — 400 და კიტაიის სიბრძნე 400“.

ეს დაუჯდომელი 1783 წელზე ადრე, ვერ იქნებოდა დაბეჭდილი ირაკლის დროინდელ სტამბაში, ვინაიდან 1782 წლამდე. ე. ი. ოჰანესიანის მიერ თბილისის სტამბის განახლებამდე, ირაკლის სტამბაში მხედრული შრიფტით დაბეჭ-

¹ პ. გუგუშვილი — ქართული წიგნი 1629 — 1929. გვ. 67, 73.

დილი წიგნი არსად არ შეგვხვედრია. ხსენებული განახლების შემდეგ კი თბილისის სტამბიდან გამოდის მხედრულად ნაბეჭდი „კიტაის სიბრძნე“ და დაუჯდომელის სხვა გამოცემები (№№ 69, 85.)

21. კუჭრექსი ძლევისათვის და შეწვენისა მკედრობათასა ლიტურლიასა ზედა. 1788 (№ 66).

თითო ცალად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და წიგნის პალატის წიგნთსაცავებში.

დღემდის არც აწერილი, არც მოხსენებული არ ყოფილა.

22. დავითნი. ტფილისი. (1783—1788). (№ 67). დ. კარიქაშვილს არა აქვს აწერილი.

ამ წიგნის თავფურცლიანი ცალი პროფ. აკ. შანიძემ შესწირა თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას 1934 წლის შემოდგომაზე. ჩვენ ამ ხანებშივე დავათარიღეთ და ავწერეთ ეს ცალი. 1939 წ. ვნახეთ მისი მეორე, უფრო დეფექტური ცალი სალტიკოვ-შიგდრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (ლენინგრადი).

23. დავითნი. ტფილისი. 1790 (№ 68) დ. კარიქაშვილი (გვ. 92—93) იხსენიებს ამ გამოცემას ალ. ხახანაშვილის ცნობის მიხედვით („ძველად აღბეჭდილნი წიგნნი სინოდალურს სტამბაში“. „მოამბე“, 1900, № 3, გვ. 21) მაგრამ დაბეჭდვის თარიღად ვარაუდობს 1790 ან 1791. ალ. ხახანაშვილს კი მოსკოვის, სინოდალური კანტორის ბიბლიოთეკისეული ცალის დეფექტურობის გამო, დაბეჭდვის თარიღად 1795 წ. დაუდვია.

ჩვენ მიერ სალტიკოვ-შიგდრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში აწერილი დეფექტური ცალის გარკვეული თარიღი — ჩ დ ე — 1790 წ. ბოლოს უღებს ამ გამოცემის დათარიღების გაურკვეველობას.

24. მანიფესტი ეკატერინე II-სა ზუბოვის სპარსეთზე ლაშქრობის გამო. [პეტერბურგი. 1796] (№ 79). ერთად-ერთი ცნობილი ცალი დაცულია თბილისის კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში.

არსად შეგვხვედრია მისი ბიბლიოგრაფიული აწერილობა.

25. გაიოზი. „ანბანი“, მოზდოკი. 1797 (№ 80) ერთად ერთი დღემდის ცნობილი ცალი დაცულია ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიის წიგნთსაცავის სააზიო მუზეუმისეულ ფონდში.

დ. კარიქაშვილი არ იცნობს ამ გამოცემას და არ იცის მოზდოკში ქართული სტამბის არსებობის ფაქტიც კი.

პროფ. ალ. ცაგარელი (Свед. I, XLIX გვ. III, 209 გვ.) ზ. ქიქინაძე, (ქართული სტამბები 1627—1916 წწ. გვ. 101). პროფ. ალ. ხახანაშვილი (Очерки по ист. груз. слов. III. 373. სქოლიო) — იძლევიან მეტად ბუნდოვან და არეულ ცნობებს მოზდოკ-კრემენჩუკ-ყიზლარის (?) სტამბების შესახებ.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მხოლოდ წიგნების უშუალო და ზედმიწევნით აწერილობაზე დამყარებით არის შესაძლებელი უტყუარი ისტორიული თარიღების და ფაქტების დადგენა.

ხსენებული არევ-დარევა მით უფრო გაუგებარია, რომ ცნობილმა ენათმეცნიერმა ბულიჩმა, ჯერ კიდევ 1895 წ. ასწერა გაიოზის ანბანი¹.

მოზდოკის 1796 წ. სტამბის მოწყობის ნათელი სურათი დავიხატა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილის ნაბეჭდმა წერილმა გაიოზისადმი (პირველად დაბეჭდილია საქართველოს მეზეუმის მოამბის № VII. 1931 წ. გვ. 252—253, დამატება № VII).

26. დავითნი. ქუთაისი. 1800 (№ 83). სრული ცალეები დაცულია ქუთაისის მუზეუმისა და მეცნიერებათა აკადემიის (ლენინგრადი) წიგნთსაცავებში. დეფექტური ცალეები მოიპოვება თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის და ცენტრ-არქივის ბიბლიოთეკებში.

¹ Булич. Очерк истории языкознания в России. I. 1904. 479 гл.



ამ წიგნის თარიღს — 800 წ. პირველად ყურადღება მიაქცია ქ. ლომთათიძემ. ჩვენ აწერეთ ეს გამოცემა ქუთაისის მუზეუმის ბიბლიოთეკაში 1932 წ. ზაფხულზე ¹.

ამ წიგნით ვამთავრებთ ჩვენი ბიბლიოგრაფიის ძველი ნაბეჭდი წიგნების აწერილობაში მოთავსებული ახალი ბიბლიოგრაფიული ფაქტების ნუსხას. 84 აწერილი წიგნიდან 25-ზე მეტი პირველად არის აწერილი De—vicu.

ქართული ბეჭდვითი ფაქტების ყოველმხრივი და სრული გამოვლინება გადაუდებელ ამოცანად გადაიქცა უკანასკნელ ათეულ წლებში. ამასთან დაკავშირებით ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენის იდეა ერთსა და იმავე დროს მომწიფდა საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრივობის სხვადასხვა წრეებში: განსახკომის საბიბლიოთეკო სამმართველო, კარლ მარქსის სახელობის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა, თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და საქართველოს სახ. მუზეუმი — პრაქტიკულადაც შეუდგენ ქართული წიგნის მთლიან კატალოგზე მუშაობას ჯერ კიდევ 1935 წ. ამის შედეგი იყო თბილისის ბიბლიოთეკების ქართ. წიგნების შეერთებული კატალოგის შედგენა საჯარო ბიბლიოთეკაში და ძველი ნაბეჭდი წიგნების აღნუსხვა სიების სახით საქართველოს სახ. მუზეუმში.

მაგრამ ცალ-ცალკე ბიბლიოთეკებში დაწყებული მუშაობა გაერთიანებულ საქმიანობას მოითხოვდა.

ეს განხორციელდა 1937 წ.

1937 წლიდან განსახკომის საბიბლიოთეკო სამმართველომ დაამუშავა თბილისის ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგის შედგენის გეგმა, ხარჯთაღრიცხვა და ინსტრუქცია. მანვე ჩაატარა კ. მარქსის სახელობის სახ. საჯარო ბ-კის ქართული ანბანური კატალოგის დუბლირება და შედარება თბილისის სტალინის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კატალოგთან.

მუშაობის ამ ეტაპზე თბილისის ბიბლიოთეკების „შეერთებული კატალოგის“ შედგენის იდეა ფართოვდება და ქართული წიგნის სრული ბიბლიოგრაფიის შედგენის იდეის სახეს იღებს. ამ დროიდანვე (1937 წ.) ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაზე მუშაობის ცენტრი გადმოდის საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში. 1938 წლის გაზაფხულისათვის De—vicu აწერილი გვექონდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისეული წიგნთსაცავის ნაბეჭდი ფონდი—სულ 3031 წიგნი.

ეს 3031 აწერილობა 1938 წ. გაზაფხულიდან 1939 წ. ზაფხულამდე შეგროვებული და შევსებული იქნა შემდეგი წიგნთსაცავების ქართული ფონდების აწერილობებით:

თბილისში:

1. კარლ მარქსის სახელობის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა.
2. თბ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ბიბ.
3. ცენტრარქივის ბიბ.
4. საქართველოს სახ. მუზეუმის ბიბ.
5. საქ. სსრ სახ. წიგნის პალატის წიგნსაცავი.
6. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქ. ფილიალის ბიბ.
7. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ბიბ.
8. ხელოვნებათა მუზეუმის „მეტეხის“ ბიბ.
9. მწერალთა მუზეუმის ბიბ.
10. ა. ჯაფარიძის სახელობის ბიბ.
11. საბავშვო ცენტრალური ბიბ.

ქუთაისში:

1. ქუთაისის საჯარო ბიბ.
2. ქუთაისის მუზეუმის ბიბლიოთეკა.
3. ქუთაისის პედაგოგიკის ინსტიტუტის ბიბ.

ზუგდიდში:

სამეგრელოს მუზეუმის ბიბ.

მოსკოვში:

ლენინის სახელობის საკავშირო ბიბ.

ლენინგრადში:

1. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბ.
2. საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკა (სააზიო მუზეუმისე-)

¹ ქრ. შარაშიძე — იმერეთის სტამბების ისტორიისათვის (39 — 47 გვ. 52 გვ. კ. მარქსის სახელ. საქართვე. სსრ სახ. საჯარო ბ-კის შრომები. III ტფ. 1937).

ული ფონდები). სულ თვრამეტი ბიბლიოთეკა საქართველოსა და მთლად საბჭოთა კავშირის ფარგლებში.

ამ ბიბლიოთეკებში ჩატარებულმა ძიებამ თითქმის ერთიორად გაზარდა თავდაპირველ აწერილობათა რიცხვი. საბოლოოდ ჩვენ მივიღეთ 5825 აწერილობა.

ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაზე მუშაობის დროს ორი ამოცანა გვექონდა დასახული:

1. შესაძლებელი სისრულით აღნუსხვა ქართული გამოცემებისა ჩვენს წიგნთსაცავებში — და

2. აღნუსხული მასალის ზედმიწევნითი აღწერილობის შედგენა.

პირველი ამოცანის განხორციელებისათვის ვამოწმებდით დაყენებით და, საჭიროების მიხედვით, არაერთგზის, — იყო თუ არა წიგნთსაცავში ჩვენ მიერ კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიულ აწერილობათა მიხედვით წინასწარ აღრიცხული წიგნები.

ასეთი ძიების გზით ვარჩევდით ასაწერი წიგნების ცალებს, ვინაიდან ჩვენი მუშაობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა დამყარება პირველ წყაროებზე, ე. ი. ნამდვილ წიგნებზე და არა წიგნების შესახებ ცნობებზე.

მაგრამ, მიუხედავად თავგამოდებული ძიებისა, ჩვენს ბიბლიოგრაფიას არა აქვს სისრულის პრეტენზია. უეჭველია ჩვენი აწერილობის გარეშე დარჩენილი აღმოჩნდება არა ერთეული და ათეული, არამედ ასეული გამოცემებიც კი.

ეს არ არის გასაკვირი. ჩვენ საქმე გვექონდა საზოგადოებრივ წიგნთსაცავებთან, რომელთა ფონდები მუდმივ მოძრაობაში იმყოფებიან. ნაწილობრივ იმის გამო, რომ ეს ფონდები მკითხველების ხელიდან ხელში გადადის. აგრეთვე იმის გამო, რომ მთელ რივ წიგნთსაცავებში სწორედ იმ ხანებში ქართული ფონდების რეკატალოგიზაცია მიმდინარეობდა და მრავალი წიგნი, დასამუშავებლად განკუთვნილი, ჩვენთვის მიუწვდომელი რჩებოდა. იყო შემთხვევები, როცა რივი კატალოგში მოძებნილი წიგნებისა, ასეთების რიცხვი შედარებით უმნიშვნელოა, ხმარებიდან გამოსულიც აღმოჩნდა გაცვეთისა თუ გაფუჭების გამო. ჩვენ გამოვითხოვეთ მზგავსი წიგნებიც, მაგრამ შეუძლებლად ჩავთვალეთ მათი აწერა, უკიდურესი დეფექტურობისა გამო.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ წიგნების სულ მცირე, შემთხვევით კოლექციისაშიც ახალ-ახალ მასალას პოულობს ბიბლიოგრაფიული ძიება. მაგალითად, ახლახან ერთ-ერთი ჩვენ მიერ აწერილი ბიბლიოთეკის მხოლოდ ერთს კატალოგში გაუტარებელ წიგნების თაროზე ოთხი წიგნი აღმოჩნდა, რომელიც არ შესულა ჩვენს ბიბლიოგრაფიაში.

მიმდინარე 1941 წლის იანვარში საქართველოს წიგნის პალატამ შეიძინა „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში“ არ შესული 5 წიგნი.

ყოველ ბიბლიოთეკაში არის აუწერელი წიგნების დიდი, ან პატარა ჯგუფი, რომელიც მიუწვდომელია გარეშე ადამიანისათვის.

გარდა ამისა, ჩვენი მუშაობა ჩატარდა მხოლოდ 18 წიგნთსაცავში. მართალია, ეს წიგნთსაცავები უმდიდრესი ქართული ფონდების შემცველი არიან ჩვენს კავშირში, მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ თვით უმცირესმა საბიბლიოთეკო ერთეულმა მოგვცეს ჩვენ მიერ აუწერელი გამოცემების ერთეულები და ათეულებიც კი.

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენი ძიება საზოგადო წიგნთსაცავების ფარგლებს არ გასცილებია. არსებობს აურაცხელი კერძო და პირადი წიგნთსაცავები, რომლებიც მომავალში, უეჭველია შეავსებენ ჩვენს ბიბლიოგრაფიას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ჩვენს ბიბლიოგრაფიაში არ არის შეტანილი ქართული ნაბეჭდი ტექსტების მნიშვნელოვანი ჯგუფი, სახელდობრ რუსულსა და უცხო ენებზე დაწერილ გამოკვლევებში და სერიებში მოთავსებული, როგორც, მაგალითად, „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“ და სხვა ამისთანა.

არ აგვიწერია სისრულით ორ და სამეწიფი გამოცემებში ჩართული ქართული ტექსტები.

ხსენებული ხარვეზის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ძიება გავევრცელები რუსულსა და უცხოურ კატალოგებზე, რაიც დიდ დროს მოითხოვდა.

გვემის თანახმად ჯერ შესაძლებელი სისრულით უნდა აგვეწერა თბილისისა და საერ-

თოდ საქართველოს საბიბლიოთეკო ფონდები და შემდეგ შევდგომოდით ძიებას მოსკოვ-ლენინგრადის წიგნთსაცავებში.

თბილისის წიგნთსაცავთა შორის ქართული წიგნის ოთხი დიდი ფონდი გვეგულებოდა: ყოფ. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისეული ბიბლიოთეკა, თბილისის კ. მარქსის სახელობის საჯარო, სტალინის სახელობის უნივერსიტეტისა და საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკა.

ჩვენი ვარაუდით წ.-კ. საზოგადოებისეული ბიბლიოთეკის ქართული კოლექციები დაახლოებით ქართული ეროვნული რეპერტუარის მოცულობის უნდა ყოფილიყო. ამის გამო, პირველ რიგში ხსენებული ქართული ფონდი აიწერა და ეს 3081 აღწერილობა დაედო საფუძვლად „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიას“.

საჯარო ბიბლიოთეკამ მოგვცა დამატებით 697; უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ—400; ცენტრ. არქივის ბიბლიოთეკის საკმარისად მდიდარმა ქართულმა ფონდმა 200; თბილისის დანარჩენი ბიბლიოთეკებიდან მივიღეთ დამატებით—115 აღწერილობა. ქუთაის-ზუგდიდის ბიბლიოთეკებმა მოგვცა 150 აღწერილობა.

ამრიგად, საქართველოს ბიბლიოთეკებში მუშაობის შედეგად მივიღეთ 4643 De—vicu აწერილი ბიბლიოგრაფიული ერთეული.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მოსკოვ-ლენინგრადის ბიბლიოთეკებში ჩატარებული მუშაობა.

ლენინის სახელობის საკავშირო საჯარო ბიბლიოთეკამ, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის წიგნთსაცავმა, საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკამ (სააზიო მუზეუმისეული ფონდი)—1200 ახალი აღწერილობა შეგვმატა.

ამით საგრძნობლად შეივსო მთელი რიგი ნაკლებოვანი გამოცემებისა და აიწერა ისეთი გამოცემები, რომელთა არსებობაც კი დავიწყებული იყო.

ეს გარემოება არც იმდენად მოულოდნელი და საოცარია. ჩვენ ვიცით, რომ სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკა 1810 წლიდან იღებს სავალდებულო ცალეებს.


ვერც ერთი ადგილობრივი წიგნთსაცავი ვერ შეედრება ამ ბიბლიოთეკას აგრეთვე ფონდების დაცვის და შესწავლის საქმეში.

საქართველოში 1801 წლიდან წარსული საუკუნის 80-იან წლებამდის ქართულ წიგნს არ ჰქონია საკუთარი კერა. მხოლოდ 1879 წ. ამოქმედებულმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და 1906 წ. დაარსებულმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ შექმნეს ქართული წიგნების მნიშვნელოვანი კოლექციები. მაგრამ არც პირველი და არც მეორე მეფის რეჟიმის დროს არ იღებდა სავალდებულო ცალეებს. ისინი ივსებოდნენ შემომწირველთა და თვით ამ საზოგადოებათა მესვეურების პირადი გემოვნების მიხედვით შერჩეულ-შეძენილი წიგნებით. ეს შერჩევა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ფართო და ობიექტური. იძენდნენ მხოლოდ იმას რაც დაცვის და შენახვის ღირსად მიაჩნდათ. „სიზმრის ახსნა“, „მკითხაობა მარცვლით“, ნაირნაირი ხალხური კალენდრები, მდივანოვებისა და ახპატელოვების გამოცემები, ქალაქური ხალხური ლიტერატურა, ე. წ. ბულვალური ლიტერატურა: „ახლანდელი მოდნის ქალები“, „შანტეკლერის კაბები“, „ტანგო“, ომის, უმთავრესად იმპერიალისტური ომის ლექსები და სხვა ასეთი გამოცემები მეტად სუსტად იყო წარმოდგენილი საქართველოს ბიბლიოთეკებში. მოსკოვ-ლენინგრადის ბიბლიოთეკებში კი ეს ლიტერატურა დაცული აღმოჩნდა.

საგრძნობლად შეივსო ეს ბიბლიოგრაფია აგრეთვე ქართველი კლასიკოსების: შ. რუსთველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, დ. ქონჭაძის, ლ. არდაზიანის, ე. ნინოშვილის ანტ. ფურცელაძის, ნ. ლომოურის, ი. ევლოშვილის და სხვათა ისეთი გამოცემებით, რომლებიც საქართველოში არ მოგვეპოვება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 60-დე სასწავლო-პედაგოგიური შინაარსის ლიტერატურის სახელწოდებანი. მათ რიცხვში ჩვენი პედაგოგიკის კლასიკოსის ი. გოგუბაშვილის 30 სხვადასხვა გამოცემა („დედა-ენის“ 19 გამოცემა).

ცხრა გამოცემით შეივსო არსენას ლექსის აღწერილობანი, ცხრამეტი გამოცემით ყარამაძიანის, თოთხმეტი გამოცემით ალექსიანისა და სხვ.



აქ აღმოჩნდა აგრეთვე ნათარგმნი ლიტერატურის გაძოცვითა მთელი რიგი: პუშკინის, ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, ა. კრილოვის, მ. გორკის, პოტაპენკოსი და სხვ. უცხოეთის ლიტერატურიდან: მოლიერი, რომენ-როლანი, ვიქტორ ჰიუგო, ბიჩერ სტოუ, შილლერი და სხვა.

ქალაქური ხალხური ლიტერატურიდან: სკანდარ-ნოვას—თერთმეტი გამოცემა, გივიშვილის—ოცდახუთი, განჯის—ქარელისა —რვა.

თანამედროვეთაგან ქუჯისა (შალვა დადიანი) და იოსებ მამულაშვილის (გრიშაშვილი) უცნობი ნაწარმოებები.

ფასდაუდებელი მნიშვნელობის ლიტერატურული ფაქტების გვერდით აქ გვაქვს მდარე ხარისხოვანი პროდუქციაც:

ნაირ-ნაირი თვითმასწავლებლები რუსული ენისა ქართული ენის შემწეობით და პირ-უკმო. ისინი შედგენილი არიან მიუტევებელი დაუდევრობით და უწიგნარობით. რუსული ფრაზები ამ წიგნებში უმეტეს შემთხვევაში ქართული ტრანსკრიპციით არის მოცემული და ხშირად ულმობელად დამახინჯებულია რუსული და ქართული ენაც. მაგრამ როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი „სახელმძღვანელოები“ 20-ჯერ და ხშირად მეტჯერაც გამოცემულან, ისინი ჩვენს თვალში ანგარიშგასაწევი კულტურულ-ლიტერატურული ფაქტორის სახესღებულობენ. იგივე ითქმის მდივანოვების და მისთანათა მიერ შედგენილ ქართულ „ანბანების“ შესახებ.

ჩვენ ვიცით რა გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ქართველი ინტელიგენცია ასეთი ტიპის სახელმძღვანელოებების მიმართ. 70—80-იან წლებში გაზ. „დროების“ ფურცლებზე ხშირად წააწყდებით ნამდვილ გოდებას მდივანოვის „ანბანის“ პოპულარობის გამო. მიუხედავად ამ ბრძოლისა ეს წიგნები, უქვევლია, ფართოდ ვრცელდებოდენ გარკვეულ წრეებში და საკმარისად სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ მოწონებულსა და პრემიერულ კლასიკურ სახელმძღვანელოებს. ლიტერატურული და საზოგადოებრივი განვითარების გენეზისის თვალსაზრისით მთელ ამ „იფ“ გამოცემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სხვათა შორის დღემდის უცნობი იყო ჩვენი ენათმეცნიერებისათვის სალტიკოვ-შჩედრინის და სამეცნიერო აკადემ. წიგნთსაცავებში დაცული დ. ჩუბინაშვილის „მოკლე რუსული ღრამატიკა, ალბეკილი სანკტ. პეტერბურღს, სტანბასა შინა საიმპერატორო აკადემიის სწავლათა 1837 წ.“ (№ 199).

ჩვენ საკიროდ დავინახეთ დაწვრილებით შეეჩერებულიყავით მოსკოვ-ლენინგრადის ქართულ ფონდებზე, რომელთა აწერილობა პირველად ქვეყნდება ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში, ვინაიდან ეს 1200 გამოცემა ანგარიშ-გასაწევი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მასალას წარმოადგენს ჩვენი მეცნიერებისათვის.

„ქართული წიგნის“ შედგენაზე მუშაობდა საქართველოს წიგნის პალატის მთელი კოლექტივი; განსაკუთრებით პლ. ხუნდაძე, თ. ნაკაშიძე და ვლ. ჯოჯუა.

გარდა წიგნის პალატის თანამშრომლებისა:

ქრისტინე შარაშიძემ — შეადგინა ძველი ნაბეჭდი წიგნების აღწერილობანი, ხელმძღვან. ლობდა და პირადად იღებდა მონაწილეობას აღწერილობათა შევსებაში საქართველოსა და მოსკოვ-ლენინგრადის თერამეტი ბიბლიოთეკის ფონდებიდან. შეადგინა ძველი ნაბეჭდი წიგნების სასტამბო და საგამომცემლო ტერმინების ლექსიკონი და ამ წიგნის შესავალი.

იოსებ გრიშაშვილმა — გადაიკითხა ყველა აღწერილობანი, დაურთო ზოგიერთ მათგანს თავისი შენიშვნები და მითითებანი, მასვე ეკუთვნის მთელი რიგი ფსევდონიმებისა და კრიპტონიმების გახსნა.

წიგნის გამოცემაში მონაწილეობა მიიღო კონსტანტინე ზანისმა თბილისის წიგნთსაცავების იშვიათი წიგნების ფურცლებისა და შემკულობათა პირების გადაღებით.

„ქართული წიგნის“ აწერილობათა გაფორმება-განლაგების საკითხების დამუშავების დროს დაგვეხმარნენ კონსულტაციით: გიორგი ბაქრაძე, გიორგი გიორგიძე, შალვა დოლაქიძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ივანე ციციშვილი და სოლომონ ხუციშვილი.

ძველი ნაბეჭდი წიგნების აწერილობათა გაფორმების ზოგიერთი საკითხის გამო დახმარება გაავიწიეს კონსულტაციით: განსვენებულმა აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა,

წიგნის
პირველი
წიგნი

წიგნის
პირველი
წიგნი
23. 13



პროფესორებმა კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ და სიმონ ჯანაშიამ კერძოდ პროფესორმა კ. კეკელიძემ მოგვცა საყურადღებო მითითებანი იოანე დამასკელის „გარდამოცემის“, სტეფანე იავორსკის „კლდე სარწმუნოებისა“ და „რუსულიდან ახლად თარგმნილი ლოცვის“ შესახებ.

ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა დაკავშირებული იყო თვრამეტი ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავის კატალოგების შესწავლასთან და წიგნების თავსამტვრევ ძიებასთან. თითქმის ყოველგან, როგორც საქართველოში, აგრეთვე მოსკოვ-ლენინგრადის ბიბლიოთეკებში „ქართულ წიგნზე“ მუშაობას იშვიათი თანაგრძნობითა და ხელისშეწყობით ეგებებოდნენ. მოსკოვ-ლენინგრადის ბიბლიოთეკებში ჩვენი თანამშრომელი მიღებული იყო მეტად გულთბილად. მას ყოველ დროს დაუბრკოლებლად აძლევდნენ ცნობებს, უშუალოდ უშვებდნენ წიგნების თაროებთან და უადვილებდნენ შედარებით განსაზღვრული დროის ფარგლებში რთული მუშაობის ჩატარებას.

ამის გამო მადლობით უნდა მოვიხსენიოთ: კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის დირექცია და თანამშრომელი: თამარ მაკავარიანი, რომელმაც დაუხარბელი დახმარება აღმოგვიჩინა წიგნების ძებნა-მოწოდების საქმეში; მერი მელაძე, რომლის დახმარებითაც ჩატარდა ხსენებული ბიბლიოთეკის ქართული ფონდის ანბანური კატალოგის დუბლირება. სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექცია და თანამშრომელი: მარიამ ცისკარიშვილი და თამარ მიქაბერიძე, რომელთაც შეაფასეს ქართული წიგნის აღწერილობანი ხსენებული ბიბლიოთეკის ქართული ფონდებიდან. წიგნის პალატის თანამშრომელი გიორგი აბაშიძე, რომელმაც შეაჯერა რიგი აღნუსხული გამოცემებისა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კატალოგებთან. ხელოვნებათა მუზეუმის „მეტეხის“ ბიბლიოთეკის გამგე გიორგი ნათიძე და მისი თანამშრომლები, რომლებმაც შეგვიდგინეს ხსენებულ ბიბლიოთეკაში ასაწერ წიგნთა ნუსხა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების გამგე კონსტანტინე გრიგოლია და ამავე მუზეუმის ბიბლიოთეკის თანამშრომელი მარიამ ნაკაშიძე. სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექცია და თანამშრომელი ბარბარე მგელაძე. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექცია, ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიბლიოთეკის თანამშრომელი ქეთო სანიკიძე. ზუგდიდის მუზეუმის დირექცია და, განსაკუთრებით, ამავე მუზეუმის თანამშრომელი აკაკი ქანტურია.

ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო ბიბლიოთეკის ნაციონალურ ლიტერატურათა განყოფილების გამგე ამხანაგი კოზლოვსკი და თანამშრომელი გიორგი იმერლიშვილი და ნინო საბაშვილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის წითელ-დროშოვანი საჯარო ბიბლიოთეკის (ლენინგრადი) ნაციონალურ ლიტერატურათა განყოფილების ყურადღება ჩვენი მუშაობისადმი განყოფილების გამგის ამხანაგი გრიგორიანის, მისი თანამშრომლისა და ქართული განყოფილების გამგის ქსენია რაკიტიჩის სახით. ამ უკანასკნელმა პირადად მოგვაწოდა ჩვენი გამოცემის შესავსებად 500 აღწერილობა და ხელმძღვანელობა გაუწია იშვიათი წიგნების ფოტო და როტო-პირების გადაღებას.

სრულიად საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის (ლენინგრადი) დირექცია და თანამშრომელი, კავკასოლოგიის კაბინეტი, ამხანაგ ვარლამ დონდუას და ბორის რუდენკოს სახით. ამ უკანასკნელის დახმარებით დაჩქარდა ჩვენს მიერ დაკვეთილი ფოტო-პირების გადმოგზავნა.

საქართველოს წიგნის პალატის დირექცია უღრმეს მადლობას უძღვნის პატივცემულ პარასკევა ხუნდაძისას (ქუთაისი), ელენე ერისთავს (მოსკოვი), ოლღა ლებედინეცისას (ლენინგრადი), რომელთაც თავიანთი გულითადი მზრუნველობით გაგვიადვილეს ხსენებული ქალაქების ბიბლიოთეკებში სასწრაფო და პასუხსაგები მუშაობის ჩატარება.

[წიგნი შენახულია]



ქართული

წიგნი

1629-

-1920



∴ ჰირველი ∴

∴ ქართული ∴

∴ ნაბეჭდი ∴

∴ წიგნები ∴

რეზ. მოსკოვი

∴ 1629-1705 ∴





ართულ-იტალიური ლექსიკონი.
რომი. 1629. [4], 128, [48] გვ.
(20×15).

თავფურცელი:

„Dittionario Giorgiano e Italiano, Composto da Stefano Paolini

con l'aiuto del M.R.P.D. Niceforo Irbachi Giorgiano, Monaco di S. Basilio. Ad uso de'missionarii della Sagra Congregazione de Propaganda Fide. In Roma, Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide. CIO DCXXIX. Con licenza de'superiori“.

ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი სტეფანე პაოლი-
ნისაგან, ქართველის, წმ. ბასილის ბერის ნიკიფორე ირბაქის დახმარებით. სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების

მისიონერთათვის, რომში, სარწმუნოების გამავრც. სასულიერო სა-
ზოგ. სტამბაში. 1629. უფროსთა ნებართვით.

პირველსა და მეორე აუნუსხავ გვერდზე: ცენზურის დასტური
(ორი).

მესამე და მეოთხე აუნუსხავ გვერდზე: სარწმუნოების გამავრცე-
ლებელი სასულიერო საზოგადოების გამგის, აქილ ვენერიოს მი-
მართვა პაპი ურბანოს მერვესადმი.

1—2 გვერდზე: ქართული ანბანი, სათაურით: *Alfabeto Gior-
giano*. ყოველი ქართული ასოს გასწვრივ—იტალიური შესატყვისი,
თავისებურ ქართულ ბგერათა განმარტებით. ქართული ანბანის თა-
ნამომდევრობა არ არის ზუსტად დაცული. *ა* და *ჟ* ასო გამოტოვებუ-
ლია.

3—126 გვერდზე: ქართულ-იტალიური ლექსიკონი—„ლექსი:
იბერიგო: ფრანზი:“ — *Dittionario Giorgiano-Italiano*. სამიათას
(3000) სიტყვაზე მეტი.

ლექსი იბერიგო-ფრანზი.
Dittionario Giorgiano-Italiano.

ა A		
აბანო.	abano,	Bagno.
აბაროდ.	abaroga,	Ma che?
აბახი.	abachi,	Dila.
აბრეშომი.	abresciomi,	Sera.
აგება.	agheba,	Compunzione.
აგმოზენებელი.	agmozenebeli	Bialemare.
აგმო-სანულევი.	agmo-saulevi,	Oriente.
აგმო-სანულევის.	agmo-saulevis,	Oriente,
ადვილად.	aduila scfaz-	Incollante.
ადვილი.	aduili,	Facile.
ადვილიდ.	aduiliid,	Facilita.
ადი.	adi,	Di.
ადიდება.	adideba,	Inondatione.
აერა.	aera,	Arja.
აეტილი.	aetili,	Coprire.
აუადარი.	auadari,	Amudarfi.
აუადარე.	auadarare,	Maltrattare.
აუადარე.	auadarare,	Maltrattato.

A z აზ

**ALPHABETVM
IBERICVM,
SIVE GEORGIANVM,
CVM ORATIONE DOMINICALI
Salutatione Angelica, Symbolo Fidei,
Præceptis Decalogi, Ecclesiæ Sa-
cramentis, & Operibus
Misericordiæ.**

.Latina, & Iberica lingua compositis, & Cha-
ractere Georgiano impressis:
*Accefferunt Litaniam B. V. eiusdem lingua,
& characteribus Ibericis.*

ROMÆ, Typis Sac. Congr. de Propag. Fide, MDCXXIX.
SUPERIORVM FACULTATE.

ქართულ-იტალიური ლექსიკონი. რომი. 1629. გვ. 3.
(№ 1). ორიგინალი 16,5×10,8 (საჯარო).

ქართული ანბანი ლოცვებითურთ. რომი. 1629. თავფურცელი.
5. გვ. 2. (№ 2). ორიგინალი 12,5×7,5 (უფ.)

127—128 გვერდზე: ქართული რიცხვები: ერთი, ორი და სხვ. გადმოცემული პარალელურად იტალიური ტრანსკრიპციით და იტალიურად თარგმნილი.

წიგნის მეორე ნაწილი—აუნუსხავი 48 გვერდი—უჭირავს ლექსიკონის საძიებელს: ანბანურად დალაგებულია ლექსიკონში შესული იტალიური სიტყვები, ყოველი იტალიური სიტყვის შესატყვისი ქართული სიტყვის მოსაძებნად, გვერდისა და სტრიქონის ჩვენებით.

ქართულ ტექსტში: მრავალი იტალიანიზმები და ბრძანული სიტყვები.

შრიფტი: მხედრული.

საჯდარი; ხელტიკოე-შეღმისი.

Romae, Typis Sac. Congr. de Propag. Fide, M DC XXIX
superiorum facultate“.



პირველი შვიდი გვერდი უჭირავს ქართულ მხედრულ ანბანს; დანარჩენ გვერდებზე მოთავსებულია: ლოცვები, მრწამსი, ათი მცნება და ღვთისმშობლის საგალობელი ქართულად და იგივე მასალა ლათინურ ენაზე, ქართული ტრანსკრიპციით.

ზოგიერთი ქართული ლოცვისა და ათი მცნების ტექსტი უნდა წარმოადგენდეს ნიკიფორე ირბაქის მიერ ამ გამოცემისათვის შესრულებულ ლათინური ტექსტების თარგმანს.

ქართული ტექსტის ენა მარტივი და ადვილად გასაგებია.

შრიფტი: მხედრული.

წი.



ქართული ანბანი ლოცვებითურთ. რომი. 1629. ტექსტის 2 გვ. (№ 2) ორიგინალი 16,5×12,5 (უფ.)

2. ქართული ანბანი ლოცვებითურთ. რომი. 1629. [32] გვ. (16×11).

თავფურცელი:

„Alphabetum Ibericum, sive Georgianum, cum oratione dominicali Salutatione, Angelica, Symbolo Fidei, Praeceptis Decalogi, Ecclesiae Sacramentis, et Operibus Misericordiae. Latina, et Iberica lingua compositis, et Characteribus Georgianis impressis: Accesserunt Litanie B. V. eisdem lingua, et characteribus Ibericis.

3. მაჯიო, ფრანცისკო-მარია. ქართული ენის გრამატიკა. რომი. 1670. [1], [8], 143, [4] გვ. (34×24).

თავფურცელი:

„Syntagmation Linguarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur. Liber primus Complectens Georgianae, seu Ibericae vulgaris Linguae Institutiones Grammaticas. Authore D Francisco-Maria Maggio, clerico regulari, panormitano. Romae, ex Tyro-

DITTIONARIO
GIORGIANO
E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Bafilio.

AD VSO DE' MISSIONARI
della Sagra Congregatione de Pro-
paganda Fide.



IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
CID D C X X I X.

CON LICENZA DE' SUPERIORI.


ქართულ-იტალიური ლექსიკონი. რომი. 1629. თავფურცელი. ნ. გვ. 1. (№ 1)
ორიგინალი 18,5×10,8 (საჯარო).

graphia Sacrae Congregationis de Propaganda Fide.
M DC LXX [1670] Superiorum permissu“.

ტექსტს წინ უძღვის:

1. ავტორის მიმართვა პაპი ურბანოს მეგვესადმი.
2. ცენზურის ნებართვა და Proemium (შესავალი).

თვით ტექსტში: ქართული ენისა და მართლწერის ანალიზი; ქართული დამწერლობის სამი სახე—მხედრული, მრგვლოვანი, ხუცური; ქართული ანბანი, რიცხვობრივი შესატყვისობით; ქართული სიტყვები და ფრაზები; სომხურ-ქართული ანბანი, არაბულ-ქართული ანბანი, ქართული ენის ეტიმოლოგია, სინტაქსი და პრისოდია.



მაჯიო. ქართული ენის გრამატიკა. რომი. 1670. თავფურცელი. 5. გვ. 2 (№ 3). ორიგინალი 26,1×15 (საჯარო).




ORTHOGRAPHIA

PRIMA PARS GRAMMATICES

Hoc est

De recta legendi, ac scribendi ratione,

INSTITVTIONES.



CAPVT PRIMVM.

Literarum series, figuræ, nomina, & potestates.

*Alphabetum Ibericum vulgare literas habet triginta septem,
quas ostendit subiecta Tabula.*

Literarum

Ordo.	Figura.	Appellatio.	Valor.	
1	ა	აბ	An	A
2	ბ	ბაბ	Ban	B
3	გ	გაბ	Ghan	Gh
4	დ	დაბ	Don	D
5	ე	ეაბ	En	E
6	ვ	ვაბ	Vin	V
7	ზ	ზაბ	Szen	Sz
8	თ	თაბ	He	H
9	ი	თაბ	Than	Th
10	კ	იბ	In	I
11	ქ	ქაბ	Chan	Ch
12	ღ	ღაბ	Las	L
13	ყ	ყაბ	Man	M
14	ნ	ნაბ	Nar	N
			A	

მაჯიო. ქართული ენის გრამატიკა. რომი. 1670. ქართული ანბანი. ნ. გვ. 2. (№ 3).
ორიგინალი 26,1x15. (საჯარო).

ქართულ ტექსტებში მრავალი იტალიანზმი: „ბიჩი“, „ვაჯი“ და სხვ. შეცდომებია აგრეთვე ქართულ ფრაზეოლოგიაშიც.

გვ. 137-143: Catechesis christiana sive aliquot Fidei Rudimenta—ქართული მრწამსი, ათი მცნება, ღვთისმშობლის საგალობელი—გადაბეჭდილი რომში 1629 წ. გამოცემულ Alphabetum Ibericum-იდან.

თავფურცელზე: ქრისტესა და მოციქულების სურათი. წიგნის ზოგიერთი შეკულობა გვხვდება ვახტანგის სტამბის (ტფილისი. 1709-1722) გამოცემებში.

ქართული ენის გრამატიკასთან ერთად აკინძულია აღმოსავლური ენების შედარებითი გრამატიკა.

შრიფტი: მხედრული.

სავანო; სპ. მუს.

4. დავითნი. მოსკოვი. 1705. 268 გვ. (16×10).

თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა და ერთარსისა ცხოველს მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა: მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. მეფობასა დიდისა ბატონისა მეფისა და დიდისა მთავრისა ყოვლისა დიდისა, ცოტასა და

თეთრისა რუსეთისა თვით მპყრობელისა და კეთილად შობილის პეტრე ალექსის შვილისა და მეფის შულის დიდისა მთავრისა ალექსი პეტრეს შულისა, ჩემ მიერ, მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრესა და იბეჭდა წიგნი ესე დავითი სამეფოსა ქალაქსა მოსკოს, წელთა დასაბამითგან შვიდი ათას ორას იგ [13]: და განკორციელებითგან ღმრთისა სიტყვისა. ათას შვიდას ე [5]: ინდიკტიონსა იგ. თუსსა მარტსა ით“. [19].

წიგნს ორი თავფურცელი აქვს: ქართული და რუსული, როგორც მოწმობს პირველ სუფთა ფურცელზე გადასული კვალი, პირველი ადგილი თავდაპირველად ქართულ თავფურცელს სჭერია; შემდეგ (აკინძვის დროს?) რუსული თავფურცელი პირველ ადგილზე მოუთავსებიათ, ხოლო ქართული—მეორეზე.

შრიფტი: ნ. ხუცურთი.

არჩილის დავითნის ერთად ერთი სრული ცალი დაცულია მოსკოვში, ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის არქივში.

დუფქტური (უთავფურცელი, გვერდებნაკლულოვანი):

სავანო; უნ. ქუთ. მუს. არქივ.



დავითნი. მოსკოვი. 1705. (№ 4). წიგნის ზომა 16×10. ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის არქივი. მოსკოვი.



დავითნი. მოსკოვი. 1705. (№ 4). წიგნის ზომა 16×10. ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის არქივი. მოსკოვი.



ვახტანგის სტამბა



∴ ჰიზველი ∴

∴ წიგნები ∴

∴ საქართველოში ∴

∴ 1709 - 1722 ∴





ახარება. ტფილისი. 1709 [წ]; ტბ [302], [2] გვ. (29×20).

თავფურცელი:

„სამლითო და სამღდელო სახარება. აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა:

ქამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა უფლისა გიორგისა იესეან დავითიან სოლომონიანისა.

შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა, მართლ მადიდებლისა და განათლებულისა საქართველოს განმგებელისა ბატონიშვილისა თვით უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა.

გაიმართა წმიდაჲ ესე ჯელითა ნიკოლოზ მღდელ მონაზონისა ორბელის შვილისათა.

ჯელითა მესტამზე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგრულახელისა. ქალაქსა ტფილისისასა. ქკსა: ქრისტეს აქეთ: ათას შვიდას და ცხრასა“.

თავფურცელი შემკულია ორმაგი ორნამენტით და სურათებით: ღვთის მშობლისა, ქრისტესი და ნათლის მცემელისა. ასეთივე სურათებით არის შემკული სახარების ყოველი თავის [4] დასაწყისი. თვითელი სახარების წინა ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებულია მხარობლის [მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანესი] გრაფიურა. გარდა ნაბეჭდი პორტრეტებისა, აწერილ (უნ.) ცალში ჩაკინძულია ფერადებით შესრულებული პორტრეტები ოთხივე მხარობელთა. აუნუსხავი პირველი გვერდები შემკულია ორნამენტებით, რომლებიც გვხვდება ტექსტშიაც.

მთელი ტექსტი დაბეჭდილია მსხვილი ნ. ხუცუბრი შრიფტით. თავი ასოები მხატვრულად არის გაფორმებული. ნახმარია მხოლოდ შავი საღებავი.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებელად წმიდისა სამეგბისა. მე, გვარტომობით, ძირმდგომობით დავითიანმან. ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილსამან და დიდად სახელოანის ქართველთა მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნისა ლევანისამან და განმგებელმან ქართლისამან ბატონის შვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამზე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა, საჯსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა და მამისა და დედისა ჩემისა. სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანიისა და ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

მიხეილ უნგროვლახელის წინასიტყვაობა:

„ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ. პირველად მიზეზი უცხოთა ამის საქმისა და, ძალითა ღვთისათა უცონელად

შემასრულებელი სტამბისა ამის სამკვიდრებელსა თქვენსა, იქმნა კურთხევით ვსენებული განათლებული და გამგებელი საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ, ღვთის მოყვარენო და ყოვლად შვენიერნო მკვიდრო საქართველოსანო. ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან: ასონი, ორღანონი და ყოველნი საგმარნი სტამბისა, დაწყებით სრულ ყოფამდი, მოქმედი და წინა მძლომელი მე ვარ, უნდო მონა თქვენი. უწინარეს ყოველთასა დაგბეჭდეთ ესე საღმრთო და სამღდელო წმიდაჲ სახარება. სიმდაბლით გვედრები თქვენ, ყოველთა, დიდთა და მცირეთა, უკეთუ ცთომილი რაამე იხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამქირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ ქვეყანისა ამის და უსმენელი სიტყვათა თქვენთა. და რომელნი ჩემნი მოწაფე იყვნენ, ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა: ვითა მე ვიყავ ქართლის უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა. გლოცავ თქვენ, შემინდევით სულიერითა სიყვარულითა, რათა თქვენცა მოგიტენენს უფალმან, ვითა ბრძანებს: მიუტენეთ და მოგეტენეს თქვენ. [ნაპირზე:] ლუკა ვ: ლ: მ: მდაბალი ამათ მბეჭდავთაგან მესტამზე მჭურვალთა გულითა ვმუშაკობ მოსამსახურე თქვენი მიხეილ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი“.

ნიკოლოზ ორბელიანის წინასიტყვაობა:

„ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, ღვთის მოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულს მოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოველიყო საქართველოში და ჯელით წერაში ჩვენი საღმრთონი წერილნი განრყენილიყო და მე დედის ძმის წულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთუხუცის ორბელის ძეს ცოდვილს მღდელ მონაზონს ნიკოლოზს მიბრძანა წიგნების ვახწორება. და ვერ ურჩ ვქემენ. და ეს წმიდა სახარება დიდის ჭირითა ბერძენთა დაბეჭდის სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ ნაკლები ვავაართე და ეს საძიებელი არც ერთს ენაში არ იყო, სიადვილისა და ადრე პოვნისათჳს, ახლა მე გავაკეთე. და თუ გულის ვმაჲ ყოფთ, დიად ადვილია. თავისა და მუხლების ანგარიში ნაპირზე უსხეთს და სხვა ნიშნები შიგ ჩართულია. და საძიებელი სწორად იქ მიასწავებს და მას მიჰყევით. ვინც ჩემნი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღვთის სიყვარულისათჳს, შენდობას მიბრძანებდეთ. მე დიდად შემეწევის და თქუწ უზრუნველ იქმნებით“.



საქართველოს ბიბლიოთეკა

ჲო უკმარა ღე იმარა ღეუკუგდინა რქსადაყრასი უჩიქლიღე :

უქმარა უდრთარაყყარსი ღე სრეყრთარაჭისი სრქრისი
თარაყრთასი ღეუკარსი . ოპისი ოპისი რქსადაყრასი
უჩიქლიღე ღეუკარსი სართარაჭისიღე :


სახარა უქმარა ღე უჩიქლიღე სრეყრთარაჭისი . ღე
თარა ღეუკარსი ღე უჩიქლიღე სრეყრთარაჭისი
თასი უჩიქლიღე უჩიქლიღე თარა ოპისი
უჩიქლიღე უჩიქლიღე თარაღე :

უჩიქლიღე უჩიქლიღე რქსადაყრასი ღეუკარსი
უჩიქლიღე ოპისიღე უჩიქლიღე :

უჩიქლიღე უჩიქლიღე უჩიქლიღე უჩიქლიღე
უჩიქლიღე უჩიქლიღე უჩიქლიღე .

• ღეუკარსი უჩიქლიღე უჩიქლიღე .


უჩიქლიღე : უჩიქლიღე უჩიქლიღე : უჩიქლიღე უჩიქლიღე ოპისიღე :



ԵճԻՃԳՅԻՆԻ ԿՆԻՔ ԵՐԺՅՆԻՔ . ԵՊ ԿՊՐԵԿԻՊԱԾԱՍ
 ԿՐԱ . ԺՐԻՆ ԺԱՅՃՂԺԱՅՐԱՄ ԾԵՊՐԱՄԱՐԵՆԻ ԾՐԻ . ԺՐԻՆ ԺՐՊ
 ԾՐԻ ԵՐԿՐԱ ՂԻՄԻԺԱՅՐԱՆ ԺՐՊՐԻՆ ԻՐԿՄԻՆՂՆԻՔ
 ԾՐԻ . ԺՐՆԻՊԱՅՐԱԾՐԻՆ ԲՐԿՍՍՐԱՆԻ ԺՐՊՐԻՆ ԸՆԻՐՈՒՐ
 ԼՐԾՐԻ . ԾՐ ԾՐԾՐԾ ԵՐԿՐԱՄԱՐԵՆԻՆ ԻՐԵՍԻՄՈՒՄԱՐ ԺՐՊՐԻՆ
 ԿՐԱՆԻՂՆԻՔԾՐԻ . ԾՐ ԺՐԾՐԻ ԾՐԾՐԾ ԿՐԱՆԻՆԻՐԻ ԵՐՊԻՆ
 ԼՐԾՐԻ . ԾՐ ՂԻՃՂՅՂՅՐԱԾՐԻՆ ԻՐԵՍԻՄՈՒՄԻՔԾՐԻ . ԿՐՄԻՆԻԿՐԱՄ
 ԾՐԻ ԻՐԿՄԻՆՂ . ԺԱՐՊՐԱՅՐԻՆՂ ԺՐՊԵՐԾՅՂ ԻՐՈՒՊՐԱՄ . ԾՐ
 ՂՐԻՊԻՊԱՂ ԵՂԾՅՐ ԵՐԿՆԻՔԾ ԼՐՈՒՐ ՄԻՆԻՔ ԱՓԻՃՈՒՐ ԺՐ
 ՊՐԱՐԼԻՔ . ԾՐ ԺՐԾՐԻՔ ԾՐ ԾՐԾՐԻՔ ԻՆԻՔ . ԵՐՄՍԻՆՂՅՐԾ
 ԼՐՈՒՐ ԻՆԻՔ ԾՐ ԺՐՊՐԱՄՐԻՔ ԻՆԻՔ ԻՐՊԵՐՅԻՆԻՔ ԿՐԱՆԻՔ
 ԸՆԱՅՐԱՆ ԺԱՅԼԱՅԾՐԻՆԻՔ . ԾՐ ԺՐՊ

ԱՐ ԾՐ ԿՆՈՒՐ ԻՐՊԱՐ
 ԸՆԻՔՆԻՃՂ
 ՊԾ : ∞





მახარობელთა პორტრეტებზე ყველგან წარწერა:
„წმიდაო მათე [მარკოს და სხვ.] შეიწყალე ვახტანგ“. ტექსტის ბოლოში ჩართული ფურცელი ვახტანგის პორტრეტით.

პორტრეტის გარშემო, მრგოლოვანი შრიფტით:
„უფალო: დაიცივე: ორთავე შინა: ცხოვრებასა: მეუღლით: ძით: და ასულით: მადიდებელი: წმიდისა: სამებისა:—და: ერთ არსებისა: ძე: გვარტომობით: დავითიან: სოლომონიან: პანკრატიონი: ძე: ძირთავან: კეთილოვანთა: ძისძე: მეფეთა: გამგებელი: ქართლისა: ბატონის შვილი: ვახტანგ: მომღები: ბექდისა: ამის:“

აწერილი ცალი (უნ.) ყ. საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ბიბლიოთეკისა № 4/127 — ალექსანდრე ბატონიშვილისეულია. ყავისფერტყავ-გადაკრული, ხის ყდა მოცილებული აქვს. ყდაზე, ზემოდან, დაკრულია ლითონის ჯვარი, ჯვარცმის გამოხატულობით.

ტექსტში, მახარობლების ნაბეჭდი გრაფიკების გვერდით, ჩაწებებულია მახარობლებისავე პორტრეტები, შესრულებული ხელით, ფერადებით—(სულ 4 ცალი).

ყდის შიგნითა მხარეს (ყდის, მეორე გვერდი) მხედრული ხელით, მელნით: „სახარება მის უგანათლებულესობისა არის, მეფის ძის ალექსანდრესა“.

ყდის ბოლო ნაპირზე ხელით მიწერილია:

„ეს სახარება ნაქონია ალექსანდრე ბატონიშვილისა სპარსეთში“. ე. თ. [ექვთიმე თაყაიშვილი].

შრიფტი: ნ. ხუცური.
საჯაბო: უნ. ხეკ. შუხ. ქუთ. შუხ. ხალ-ტაკაგ-წმინდისს.

6. დავითნი, ტფილისი. 1709. თ [9], სტე [295] ფურც. (13×9).

უთავფურცლოა. აკლია აგრეთვე პირველი 16 გვერდი და ფურცლები შიგნით და ბოლოშიაც.

ანუსხულია ფურცლობით, ნუსხური ასოებით.

შრიფტი: მსხვილი ნ. ხუცური.

რომ ეს წიგნი ვახტანგის სტამბის 1709 წლის დავითნია, ამას მოწმობს:

I შედარება 1709 წლის სახარებასა და სამოციქულო სთავს და ამ სამი გამოცემის შრიფტისა და შემკულობის სრული იგივეობის დადგენა.

II შედარება—ვახტანგის სტამბისავე დავითნის მეორე, მესამე და მეოთხე გამოცემებთან და მათ შორის განსხვავების დადგენა: 1711 წლის დავითნი დაბეჭდილია არა ნ. ხუცურით, არამედ მხედრული შრიფტით; 1712-სა და 1716 წ. წ. გამოცემები—საშუალო და წვრილი ნ. ხუცურით.

როგორც სჩანს, ახლად მოწყობილ სტამბას 1709 წელს მხოლოდ

მსხვილი ნ. ხუცური შრიფტი ჰქონია მზად და ამ შრიფტით დაუბეჭდია, როგორც დიდი ტანის სახარება და სამოციქულო, აგრეთვე პატარა (13×9) დავითნიც. ამ უკანასკნელისათვის მსხვილი შრიფტი სრულიად შეუფერებელია.

შემდგომს—1710—წელშივე ტფილისის სტამბა ნაირნაირი ზომის შრიფტს იყენებს კონდაკის, ჟამნისა და ლოცვანის დასაბეჭდად. ამავე წლის გამოცემებში გამოყენებულია აგრეთვე მხედრული შრიფტიც.

1709 წლის გამოცემები: სახარება, სამოციქულო და ჩვენი დავითნი, შემდგომი წლის გამოცემებთან შედარებით, ღარიბად და ერთფეროვნად არიან შემკული.

7. სამოციქულო, ტფილისი. 1709. [4] უმბ [442] გვ. (29×20).

თავფურცელი:

„სამღრთო და სამღლელო სამოციქულო. აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა. ჟამსა ამალღებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა უფლისა გიორგისა, იესეან, დავითიან, სოლომონიანისასა. შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა მართმადიდებელისა და განათლებულისა საქართველოს განმგებელისა ბატონის შვილისა თვთ უფლისა ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა წმიდაჲ ესე კელითა ნიკოლოზ მღლელო მონაზონისა ორბელის შვილისათა. კელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგროვლახელისა. ქალაქსა ტფილისისასა. ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ცხრასა“.

თავფურცელი შემკულია ღვთის მშობლის, ქრისტესი და ნათლის-მცემლის სურათებით, ერთ ყვავილოვან არეში; გარშემოვლებულია ორნამენტების ჩარჩოთი.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღერბის ახალი ვარიანტი.

ტექსტში მოციქულების სურათები. [422] გვ. ვახტანგის პორტრეტი, ორნამენტებით შემკული.


ღერბის ქვემოთ მოთავსებულია ექვსსტროფიანი ლექსი—ღერბის სიმბოლიკის განმარტება:

„გასინჯეთ ბეჭდის იგავი, მსმენნო, ნუ გაქუან წყინება. ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის, თუმც რაზედ იყო სმინება


ქრისტესა მოასწავებდა, ვინ დაქსნა ცრემლთა დინება.

და დავითის ტომით ჯორცთ შესხმა თუ ვითარ მხსნელმან

ინება.



დავითნი, ტფილისი. 1709. ტექსტი. (№ 6). ორიგინალი 12,5×9. (უნ.).



„ამ შურდულთა დავით სძლო გოლიათს: არ თუ ზავებდა. ლომნი ტახტისა სოლომონს შუდს სიბრძნეს მოუსწავებდა. მესნელი, ვინ აღთქმას უღებდა, ქმნილთ ეგრეთ გაუთავებდა. და ვით ძალედვა და შეჰგვანდა მის მტერზედ ეგრე დაეებდა.“

„როს მესნელმან სათნო იჩინა ქალწულის მუცლად ღებანი, მით უყო წარმართთ ყოველთა ამ საქმით განათლებანი. ჯვარცმით გამოქსნით ყოველთ სულთა იყო მის ქმნისა ნებანი. და განკურნა წყლულნი უწამლო, რომელი გვეჭირდა სნებანი.“

„ოდეს უქსოვა ქალწულმან მესნელს კვართი, ქსელით გდებულთ, იგი ელიოზს წილად ხუდა, მოვიდა ქართლად რებული. სად არის სახლად უფლისად სვეტი ცხოველი გებული, და აქა ძეს ჩუქნთუნ სულთა ვსნად, კურნებად იმედებული. „ქართველთ მეფენი დავითის გვარტომით, მოდგამობითა. თუთ ყოველად წმიდა, უბიწო არის მათ ძირთვან შობითა.“

ვართ მისთუნ წილად ხდომილნი და მისის იმედობითა. და ამაღ არ ვიქმნეთ უხილველ—მტერთაგან ლახვარ სობითა.

„სტამბას ბექდევდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი. აქ არსად იყო აროდეს. ვერ ვბოვეთ მისნი მნახველნი. გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი. და ამ ბექდვამ ახლა მის გამო ვაცუდნა ყოველნი მჩმახელნი“.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„საღიდეგლად წმიდისა სამებისა მე, გვარტომობით, ძირმოდგომობით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან; ძმის წულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელაონის ქართველთა მეფისა გიორგისამან. და ძემან დიდად პატიოსნისა ლევანისამან და განმგებელმან ქართლისამან ბატონის შვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საჯსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა და მამისა და დედისა ჩემისა; სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანიისა და ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

ნიკოლოზ ორბელიანის ბოლო სიტყვაობა:

„ოდეს განავებდა საქართველოსა ძმისწული კეთილ-მორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, ღვთის მოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულს მოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში. და

ჯელით წერაში ჩენი საღმრთონი წერილი განრყენილიყო. და მე, დედის ძმის წულსა ამა მეფეთასა და მოსამართლეთუხუცის ორბელის ძეს, ცოდვილს მღდელ მონაზონს ნიკოლოზს, მიბრძანა წიგნების გასწორება. და ვერ ურჩ ვექმენ და ეს წმიდა სამოციქულო და იოანეს მოხილვა დიდის ჭირითა ბერძენთა ბექდის სამოციქულოთა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტ ნაკლები გამართე და ეს საძიებელი არც ერთს ენაში არ იყო, სრადვილისა და აღრე პოვნისათჳს ახლა მე გავაკეთე. და თუ გულის ვმაჲ ყოფთ დიად აღვილია. თავისა და მუხლების ანგარიში ნაპირზე უსხეთს. და სხვა ნიშნები შიგ ჩართულია. და საძიებელი სწორად იქ მისწავებს და მას მიჰყევით. ვინც ჩემნი ნაშრომი წიგნები ნახოთ, ღვთის სიყვარულისათჳს, შენდობას მიბრძანებდეთ. მე დიდად შემეწევის და თქუენ უზრუნველ იქმნებით“. უმბ [442] გვ.

წიგნს დართული აქვს „საძიებელი მოწმობა“ და „გამართვა შეცთომილთა სამოციქულოთა“.
შრიფტი: ნ. ხუტური წითელითა და შავი საღებავით.
საჯსრა უნ. საქ. მუწ. ქყო. მუწ.; საღტკოე-შე ზრინის, აკად.

8. კონდაკი. ტფილისი. 1710. [8], 210, [2] გვ. (20×16).
თავფურცელი:

„კონდაკი. რაოდენიცა სწერია ამას შინა პირველი წესი და რიგი, ვითარ უქმსთ მღდელთა და დიაკონთა მსახურებასა ზედა და განგება მწუხარისა და ცისკრისა და სამნი კონდაკნი წმიდისა მამისა ჩენისა იოანე ოქროპირისა და დიდისა ბასილისა და გრიგოლი დიოდალოსისა (რომელსა ეწოდების სიწმიდის განახლება). კიდევ კურთხევანები წიგნის მკითხველისა და მაგალობელისა. და კერძო დიაკონისა, და მღდელისა და მღდელთ მთავრისა და დღესასწაულთა. ერის განტეგება და ჩამოლოცვანი შუდეთა დღეთა და დღესასწაულთანი.“

აწ ახალი დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა, ჟამსა ამაღლებულისა მეფისა უფლისა უფლისა ქაიხოსროსსა. შრომითა და წარსაგებელითა საფასეთათა განმგებელისა მისისა ბატონის შვილის უფლისა უფლისა ვახტანგისსა. გაიმართა ჯელითა გერმანე მღდელ-მონაზონისათა. ჯელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგროვლახელისა. ქალაქსა ტფილისისსა. ქრისტეს აქეთ ჩიი“.


თავფურცელი და მთლად წიგნი განსაკუთრებით მდიდრულად გაფორმებულია: ორნამენტებით, ჩარჩოებით, სურათებით (6) და სხვა შემკულობით:
გამოყენებულია წითელი და შავი საღებავი.
თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღვრბი; წიგნის ბოლოში—ვახტანგის პორტრეტი:
ღვრბის გარშემო წარწერა:

„მეფუცა უფალი დავითს ქემშარიტებითა და არა შეურაცხჳყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა“.

ვახტანგის პორტრეტი: ორნამენტის ჩარჩოში. პორტრეტის გარშემო: მრგვლოვანი, ჩართული ასოებით:

„უფალო! დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებთა, მეუღლით, ძით და ასულით—„მადიდებელი წმიდისა სამებისა და ერთარსებისა, ძე, გვარტომობით დავითიან სოლომო-

ვის სტამბაში დაბეჭდილი ბიბლიის (ტფილისი. 1709—1722) ფურცლები, გვ. 263 და კიდევ სხვა. (პაგინაცია ჩამოჭრილი აქვს).
ბაგრატიონთა ღერბის ქვეშ: ღერბის სიმბოლიკის განმარტება
ლექსად:



კონდაკი. ტფილისი, 1710. თავფურცელი. (№ 8). ორიგინალი 18×11,5. (უნ.)

ნიან პანკრატიონი; ძე, ძირთავან კეთილოვანთა; ძის ძე მეფეთა, განმგებელი ქართლისა, ბატონის შვილი ვახტანგ, მომღები ბეჭდისა ამისა“.

ყდა: შავ ტყავგადაკრული, ფოთლოვან ყვავილოვანი ორნამენტებით და არაბესკებით შემკული.

ყდის შიგნითა მზარეს (ორთავე ნახევარს) გაკრული აქვს ვახტან-

„ამ შურდულოთა დავით სძლო გოლიათს, არ თუ ზავებდა. ლომნი ტახტისა სოლომონს შვდს სიბრძნეს მოუს-

წავებდა.

მესნელი, ვინ აღთქმას უღებდა, ქმნულთ ეგრეთ გაუთავებდა.

და, ვით ძალედვა და შეჰგვანდა, მის მტერზედ ეგრე დავებდა.

ქართველთ მეფენი დავითის გვარტომით, მოდგამობითა, თუთ ყოვლად წმინდა, უბიწო არის მათ ძირთვან შობითა. ვართ მისთვან წილად ხდომილნი და მისის იმედობითა; და ამად არ ვიქმნეთ უხილველ. მტერთავან ლახვარ სობითა“.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„საიღებელად წმიდისა სამებისა, მე, გვარ ტომობით, ძირ მოდგამობით დავითიანმან; ძის ძემან სახელ განთქმულის მეფის ვახტანგისაჲან, ძმისწულმან ქებულის მეფის არჩილისაჲან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისაჲან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისაჲან. განმგებელმან ქართლისაჲან, ბატონისშვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საჯსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთსა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათუს, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანიისა. ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

ქვემოთ: უნგროვლახელის მიმართვა კონდაკის წამკითხვითადმი „ИПО-ОИНИОН“—ხელმოწერილი:

„ქ: ყოველთა უწმიდესთა მღდელთ მთავართა და განკრძალულთა მღდელთა შევრდომით თაყვანის მცემელი, ქ: თქვენი სულიერი შვილი მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილი უნგროვლახელი“.

უნგროვლახელის მიმართვა თავედება მოწოდებით:

„...ქსენებასა ჰყოფდეთ და ილოცვიდეთ სიმრთელისა და ცხოვრებისათვის ამის საფასეთა წარმგებელისათვის და გამმართველისა და დამბეჭდველისათვის და, უკეთუ იხილოთ რამე სიმრუდე და ნაკლულეფანება სიტყვათა, ანუ ასოთა, სიმშვიდით გამართვედით და ჩვენთვის ძვირს ნუ ზრახავთ, რამეთუ ვითარცა ვერვის ძალუც ცისა ხილვად, უკეთუ კნინოდენცა არა იპყრობდეს ღრუბელი, ეგრეთვე ვერ ძალუც კაცობრივსა ველსა საქმედ, თვინიერ ცთომილებისა რასამე და ცოცხლებითამც ხართ“.

ტექსტის ბოლოში:

„ქ: სათვალავი ანბანის რვეულისა: [ნ. ხუცური ასოები ა-ნიდან — ნ-არამდე]. მესტამბეთა ბოლოსიტყვაობა: ქართულად (პროზით):

ქ: ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვდრებელთასა: და ზღუათა შინა მავალნი—ხილვასა ზედა ნავთსაყუდელთასა, ეგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა“.

მესტამბეთა ლექსი: რუმინულ ენაზე

„ქ: პრეკუმ ჩეი სტრეინი დორესკ: მოშია სეშვა ზე: კინდსინტ ინტრალტე ცარე: დენუპოტესეა ზე: „ქ: ში კაჩეი ჩეს პრე მარე: ბატუ დე ფურთუნა: ში როაგა პრე დუმენეუ: დე ლინიშტე ბუ ნა: „ქ: აშა ში ტიპოგრაფი: და კერციე სფერეში რე: ლაუდა ნენჩეტატა: დაუ: ში მულცემი რე:“

შრიფტი: ნ. ხუცური და მხედრული: პირველ გვერდებზე: ბერძნული შრიფტიც.
სავაზო: უნ. სპქ. შუზ; ქუთ. შუზ.

9. ლოცვანი. ტფილისი, 1710, [4] სქ [290], [1,1] გვ. (13×9).

თავეფურცელი:


ლოცვანი. აწ ახალი დაბეჭდილი ქართულს ენას ზედა. ეამსა ამაღლებულისა და სახელოვანისა მეფისა უფლისა უფლისა ქაიხოსროსსა. შრომითა და

წარსაგებელითა საფასეთასა განმგებელისა მისისა ბატონიშვილისა უფლისა ვახტანგისა. გაიმართა ველითა ნიკოლოზ მღდელ მონაზონის ორბელის შვილისათა: ველითა მიხაილ სტეფანეს ძისა უნგროვლახელისათა. ქალაქსა ტფილისისასა. ქრისტეს აქეთ ჩლი [1710]“.

თავეფურცელს შემოვლებული აქვს ორნამენტის ჩარჩო. თავეფურცელის მეორე გვერდზე—ბაგრატიონთა ღერბი. ღერბის გარშემო, სადად მოწაზულ ჩარჩოში—წარწერა:

„იფუცა: უფალი: დავითს: ქეშმარიტებითა: და: არა: შეურაცხ: ჰყოს: იგი: ნაყოფისაგან: მუტკლისა: შენისა: დავსვა: საყდართა: შენთა:“

ღერბის ზემოთა და ქვემოთ—შემკვლობანი, ღერბის ზემოთ—წარწერა:



კონდაკი. ტფილისი. 1710. უკანასკნელი გვერდი ნ. გვ. 13. (№ 8) ორიგინალი 18×5. (უნ.)

„წყალობითა ღმრთისათა იესეან დავითიან სოლომო-
ნინან მეფე ქაიხოსრო ყოვლის საქართველოსა“.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა მე, გვარ ტომობით,
ძირ მოდგმით დავითიანმან, ძის ძემან სახელ განთქმულის
მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის არჩილისამან
და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან
და ძემან დიდად პატრონი-
სა ლევანისამან, გამგებელმან
ქართლისამან ბატონისწვილმან
ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე
ვლახეთით და გავაკეთე სტამ-
ბა, საჭსრად სულთა წინა
თქმულთა მეფეთასა, მამისა და
დედისა ჩემისა გურიელის ასუ-
ლის თუთასათვის. სალხინებე-
ლად სულისა ჩემისა. და მეუღ-
ლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის
ასულის რუსუდანიისა. ძეთა და
ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

მეთთხე გვერდზე: მაცხოვრის ხა-
ტი. ტექსტში: ორნამენტები და გრა-
ვიურები. ერთი—მინიატურული (გვ
2 ა 3)

ტექსტის ბოლოში:

„განსრულდა. სამებასა ერთ-
არსებასა ღმერთსა მხოლოსა
დიდებაჲ ამინ. დაიბეჭდა ქალაქ-
სა ტფილისისასა. ქრისტეს აქეთ
ჩლი.“

იქვე სამი სტიქონი საუცხოო მხედ-
რული შრიფტით:

ქ: ჯელითა: მესტამბე:
მიხაჲლ:

სტეფანე: შვილისა:
უნგრავლახელისა:

ნიკოლოზ ორბელიანის
წინასიტყვაობა

„ოდეს განაგებდა საქართველოსა ღვთის მოყვარე და
ყოვლითა კეთილითა სრული ძმისწული კეთილ მორწმუ-
ნისა მეფის პატრონის არჩილისა და დიდად სახელოვა-
ნის მეფის გიორგისა და ძე პატრონის ლევანისა და ძმა
ყოვლისა წესიერებით შექურვილისა მეფის ქაიხოსროსი,
განათლებული ვახტანგ, ფრიადისა ქირითა და მრავალთა
საფასეთა წარგებითა მოილო სტამბა, რომელ არა ოდეს
ყოფილ იყო საქართველოსა შინა, და მე დედის ძმისწულ-
სა ამა ჯელმწიფეთასა და მონასა მათსა ფრიად ცოდ-
ვილსა მღდელ მონაზონს, საქართველოს მსაჯულთ უხუცე-
სის ორბელის ძეს, ნიკოლოზს, მიბრძანა წიგნების გამარ-
თვა. და ვერ ურჩ ვექმენ. და მე წიგნი და ენა ქართულის
მეტე სხვა არა ვისი ენა ვიცოდი: რომლისაც ბერძულის

მცოდნე მეტყოდა, ღმერთმან უწყის მე დიდის ქირით
გაწყობასა და სიმართლესა ვცდილობდი. ჟამნობა და
თვენი ბერძულის რიგით დავწერეთ და კვირადღების ხა-
ტიცისა და სამგზეფსოს ოხითა იბაკო ისევე ჩვენი ძველი
გაურით. ღვთის სიყვარულისათვის, თურამ ჩემს ნაკეთებს
წიგნებში მრუდი და ცთომილი ნახოთ, ნუ დამწყევლით;
თუ შემეტყო, არ ვიქმოდი. არამედ შენდობით მომიტყე-
ნებდეთ. ქრისტეს აქეთ ჩლი.
ტშ. გვ. [398]“.

შრიფტი: ნ. ხუტური, მხედრულის
გარეგით.

წიგნი გამოცემულია იშვიათი
მოხდენილობითა და სისუფთავით.
ტყვის ყდა შავი, ნატეფური, მშვენივ-
რად შენახული (უნ. ცალი).

სავაბო: უნ; სქ. შუხ; სალტიკოვ-შე-
ღრისის.

10. ჟამნი. ტფილისი. 1710,
385 გვ. (10×7).

უთაფურცლოა. იწყება მესამე
გვერდით, რომელიც, ეტყობა, თავ-
ფურცელის გაგრძელებას წარმოად-
გენს:

[ჯელითა] მესტამბე მიხაილ
სტეფანე შვილისა უნგრავლახე-
ლისათა: სარგებელად ქრის-
ტიანეთა სულისათვის: ქალაქსა
ტფილისისასა: ქრისტეს აქეთ
ჩლი (გვ. 3).

სამების ხატი ნ. ხუტური წარწე-
რით:

„სამება წ-ა მპყრობელი
ყოველთა“ (გვ. 4).

ტექსტის დასაწყისი:

„შემოკლებულ[ი] ღამისა და
ღლისა ლოცვა: რაჟამს აღდგეს
ქრისტიანე ძილისაგან, თქვას:
(გვ. 5).“

გვ. 7-8 დახეულია; პირველი ათეული ფურცლების კიდებები დაზი-
ანებულია; შეცდომებია პაგინაციაში: 96-ს მისდევს 100 და არა 97-99
გვ.; აკლია: 108-109, 182-183, 188-189, 234-237 გვ. ბოლო-
ფურცლები.

გადასატანი სიტყვა ყოველი გვერდის ბოლო ნაპირზე ნ. ხუტური
შრიფტით.


ყოველ გვერდს შემოვლებული აქვს ორნამენტის არშია. პაგინა-
ცია: არაბული ციფრებით. შრიფტი: მხედრული.

უნ. (2 ცალი); ქუო. შუხ. (აოჟმტ-).

11. ჟამნი. ტფილისი. 1710. [8], უკა [421], [3] გვ.
(13×9).

თაფურცელი:

„ჟამნი. აწ ახალი დაბეჭდილი ქართულს ენას ზედა ჟამსა
ამაღლებულისა და სახელოვანისა მეფისა უფულისა უფ-



ლოცვანი. ტფილისი, 1710. 290 გვ. 6 გვ 15 (№ 9)
ორიგინალი 11×7. (უნ.)

ლისა ქაიხოსროსა. შრომითა და წარსაგებელითა საფასეთასა განმგებელისა მისისა ბატონიშვილისა უფლისა ვახტანგისა. გაიმართა კელითა ნიკოლოზ მღვდელ მონაზონის ორბელის შვილისათა. კელითა მიხაილ სტეფანეს ძისა უნგროვლახელისათა. ქალაქსა ტფილისისასა. ქრისტეს აქეთ ჩლი“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღვრბი. წიგნის ბოლოში: ვახტანგის პორტრეტი. ტექსტში: გრაიურები.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირმოღვმით დავითიანმან, ძის ძემან სახელ განთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმის წულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, განმგებელმან ქართლისამან, ბატონის შვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საჯსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

მ. უნგროვლახელის წინასიტყვაობა:

„ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ. ეჰა, საყვარელნო მკითხველნო, რომელთა დაგიდებ თქვენ სულიერსა ტრაპეზსა, არა ლიტონად და ჯორციელად შემზადებულსა თუთო სახეთა სანაოვაგეთაგან, საზრდელად ჯორცისათვის მორეწილთა, რომელსა მიიღებენ კაცნი ჯორცთა შინა მყოფნი და მცირედ ჟამ დაუტკებების სასა და კვალად მკირედლა და შია სვე და უკეთუ ფრიადი მიიღის საზრდელი, უძლურ იქმნის მუცელი—სიკვდილი მოიწიის მასზედა. არამედ ტრაპეზსა ვიტყვი სულიერსა, ქეშმარტსა და სრულსა და ყოვლის კეთილით, სიმდიდრით აღსავსესა და მრავალფერად ნაყოფიერსა, შუშნიერად შემკობილსა, მომზადებულსა, რომლისაგან რაზომცა მრავალად ვსქამოთ, კვლად გსურისთ მისაღებელად. გზრდისთ სულიერად, გკურნებსთ და განგაძლიერებსთ. ხოლო არს ტრაპეზი იგი სულიერი ჟამნი ესე, რომელსა ჰქონან თავსა შორის თუსსა ლოცვანი განსანათლებელნი სულთანი. რომლისა შუშნის მართლ მადიდებელთა ქრისტიანეთა, რათა გულსმოდგინეთ ილოცვიდენ, რომელიცა ახლად დაგვიბეჭდას თქვენ, ქართველთა, ენასა ზედა. ჟამსა და მეფობასა ამაღლებულის მეფის უფლისა უფლისა ქაიხოსროსა. შრომითა და წარსაგებელითა სასურველისა ძმისა და გამგებლისა მისისა

უფლისა უფლისა ბატონის შულის ვახტანგისათა. რომელიცა დიდად დაშვრა და იღვაწვა შესამკობელად სამკვიდრებელისა და ნათესავისა თქვენისა ყოვლის თუთოეულის საღმრთოსა საქმითა და უმეტესად საეკლესიოსა და სულიერისა სასარგებლოთ. თქვენ განგამდიდრათ—ვიწცა[?] თქვენთვის ნებაეს მოგება საუნჯისა ამისგან სიმჭურვალითა გულისათა და სიმდაბლითა სულისათა. გივსთ თქვენცა, რათა ილოცვიდეთ, თუნიერ უღებებისა, ცხოვრებისა თქვენისათვის და განძლიერებისათვის და დღეთა სიგრძისათვის ზემოთ ქსენებულთა ქველის მოქმედთაუთს. და რომელიცა ფრიად დაშვრა და წარაგო საფასე, მისთვისცა. ეგრეთვე მომიჯსენებდეთ მეცა, რომელიცა დაშვერ და ვიღვაწე დაბეჭდვასა ამის ჟამისასა. და რაოდენიცა იხილოთ წიგნსა ამას შინა ნაკლულევანი, უდრტვინველად განმართეთ. და შენდობა ყავთ ჩემთვის, რათა თქვენცა მიილოთ სათხოველი ლოცვისა თქვენისა დაუბრკოლებელად. და რათა აღესრულოს თქვენ მიერ მცნება ქრისტე მაცხოვრისა, რომელიცა გზბრძანეს ჩვენ და იტყვის (მათე. თავი ვ მ ვ ი ბ)...

მცირე ამით მბეჭდავთაგან მესტამბე მჭურვალითა გულისათა ვმუშაკობ მოსამსახურე თქვენი.

„ქ. მიხაილ: სტეფანე: შვილი: უნგროვლახელი.“

შრიფტი: ნ. ხუტური, მხედრულის გარეგით. საკაბო: ქუთ. მუს.

12. გერმანე. სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა. ტფილისი. 1711. უია [411]; [311] გვ. (13×10).


თავფურცელი:

„სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა. აწ დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა. ჟამსა მეფობისა უფლისა უფლისა ქაიხოსროსა. დაშრომითა გამგებელისა მისისა უფლისა უფლისა ვახტანგისა. შემოკლებით თქმული და გარიგებული გერმანე მღვდელ მონაზონისაგან. კელითა მიხაილ სტეფანეს ძისა უნგროვლახელისათა. ქალაქსა ტფილისისასა. ჩლია:“

თავფურცელის გარშემო არშია:—მეორე გვერდზე ბაგრატიონთა ღვრბი.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა მე, გვარ ტომობით, ძირ მოღვმით დავითიანმან, ძის ძემან სახელ განთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმის წულმან ქებულის მეფის



ჟამნი. ტფილისი. 1710. თავფურცლის მე-3 გვ. (№ 10) ორიგინალი 7,5×5 (უნ.)





ქართული ენის ეტიმოლოგია

არჩილისამან, და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან, და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, განმგებელმან ქართლისამან, ბატონის შვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საჯს-რად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულისა თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანიასა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრ-დელად“.

(გვ. 8—დ).

ავტორის წინასიტყვაობა:

„ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ. ჟამსა მას, ოდეს მეფობდა ქართველთა ზედა ძირთაგან დავითისთა აღმო-ცენებული მეფე ქაიხოსრო და მის წილ განაგებდა სამე-ფოსა მისსა ძმა მისი მამულის რჯულის განმამდიერე-ბელი და ქრისტეს სარწმუნოებისა თვის ცეცხლებრ მო-ტყინარე ბატონი შვილი ვახტანგ, საუკუნოდ ყოს უფალმა ვსენება მისი, ამან მოიხენა სტამბა ქვეყანით ვლახეთით, რა ჟამს უფლებდა ვლახეთს იოანე კოსტან-ტინე ბრანკოვანე ბასარაბა, და მომართა ქვეყანასა ქართ-ლისასა, დიდის საფასითა და წარსაგებელითა და აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა, რომელი დაკლებუ-ლიყო ჟამთა ვითარებისაგან მდევართაგან ქრისტეს რჯუ-ლისათა. მას ჟამსა, მე, ცოდვილმა და ორკერძოვე სულით და გორცით უძღურმა ხუცეს მონაზონმა მონამან და მო-სამსახურემან ქალაქს სიონისა ღ[ვ]თის მშობელისამან და მლოცველმან ამათ ზემოქსენებულთა პატრონთამან, ცოდ-ვილმან გერმანემ, ვიღვაწე მცირე რამ საღვაწი და აღვს-წერე სარწმუნოება, ჩვენთა სარწმუნოებათაგან შემოკლე-ბით გამოკრებული და მცირედი რამ სწავლა შვიდის საი-ღუმლოსი, რაც ოდენ ჩემი უგულისგმო გონება მისწვდე-ბოდა. არა თუ ყოველი ძალი საიდუმლოსი აღვსწერე: ეს დიდთა და სარწმუნოთა კაცთაგანც ძნელად შესაძლებელ არს, არამც თუ ჩემებრ დაბნელებულისა; არამედ ესოდენ ვიმუშაკე, რათა იკითხვედენ და ისწავლიდენ ყრმანი ახ-ლად მოსწავლენი და მეცნიერებად ღვთისა მოვიდოდენ და არ იყვნენ ჩვენგან განშორებულთა მწვალებელთ შვილ-თაგან დაწუნებულნი და სიტყვა უგებელნი. ამი[ს]თვის დავსწერე საეროს სიტყვითა, რომ ახლად მოსწავლენი ყრმანი სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწეოდენ და უცთომელად დაისწავლიდენ და ესრეთ მეცნიერებად აღიყვანებდენ გონებასა მათსა ხედვად ღვთისა. ესეცა არ უგულვებელყო ყრმათათვისცა დიდად მოღვაწემ, და სწავლა შემატების გულს მოღვინემ, სულიერად ზე გორ-ციელად გამგეობის ტრფიალმან, ბატონის შვილმა ვახ-ტანგ და დაბეჭდინა თვისთა საფასეთა წარსაგებელითა, აღიღოს ღმერთმან ორსავე შინა ცხოვრებასა. აწ ვინცა ვინ ამ ჩემს ნამუშაკევს წარიკითხვიდეთ, რომელიც გო-ნებაში არ გენიშნოსთ, მაშინვე ნუ დაბრკოლდებით ჩვენსა უმეცრებასა ზედა, არამედ აღმოიკითხვედეთ წიგნ-თა და, მაქვს სასოება უფლისა მიერ, მსწრაფლ გულის

ხმა ჰყოთ. ვითარმედ არა ჩემის მუცლის მოზღაპრობით მითქვამს, არამედ რომელი მინახავს წერილისაგან; ის აღმიწერია“.

(ე - ი გვ.)

ბოლო სიტყვაობა:

„ეს არის სწავლა შვიდის საიდუმლოსი, შემოკლებუ-ლად თქმული. გლოცავ ვლახაკი ბერი გერმანე, ყრმანო ახლად მოსწავლენო, რათა იკითხვედეთ და ზეპირით დაისწავლიდეთ. ამისთვის დავსწერე საეროსა და სოფ-ლურის სიტყვითა რომ სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწივნეთ და მტკიცედ დაიღოთ გონებასა და ჩემ ცოდ-ვილისათვის შენდობას იტყოდეთ“.

(გვ. 301, შეცთომით აუ)

შრიფტი: მხედრული.
ზაკაბო; ანკიე.

18. დავითნი. ტფილისი. 1711. სმ[248], ლზ [37].
[!] გვ. 1 ჩ. ფ. (20×15).

თავფურცელი:

„აწ მეორე დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა. ჟამსა ამადლებულისა მეფისა უფლისა უფლისა ქაიხოსროსსა, შრომითა და წარსაგებელითა საფასეთათა განმგებლისა მისისა ბატონის შვილის უფლისა უფლისა ვახტანგისსა. ჯელითა მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილისა უნგროვლა-ხელისა. ქალაქსა ტფილისისასა; ქრისტეს აქათ ათას შვი-დას და თერთმეტი. გაიმართა ჯელითა სიონის დეკანოზის შვილის გაბრიელისათა“.

თავფურცელი ორნამენტების ჩარჩოში.


თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღერბი დ[4] გვერდზე: დავით წინასწარმეტყველის გრავიურა. შემოვლებული აქვს მედალიონისებურად ორმაგი წრე, შიგნით ასომთავრული წარ-წერით:

„წმიდაო, დავით. მეოხ. ყყავ. ვახტანგს. ჯელთა. ჩემთა. ქმნეს. საგ[ა]ლობელი. და თითთა. ჩემთა. საქებელი“.

ოვალური წრის ზემოთ, ირგვლივ—ოთხკუთხედი წრე, რომლის კუთხეები შიგნიდან ამოვსებულია ყვავილოვანი შემკულობით.

მთელს გრავიურას, გარდა ქვემო გვერდისა, ორნამენტი აქვს შე-მოვლებული. ტექსტის ბოლოში დართულია ვახტანგის პორტრეტი, განსაკუთრებული გემოვნებით გაფორმებული. ბაგრატიონთა ღერბი — ორნამენტის ჩარჩოში. ღერბის ქვემოთ, ნუსხა ხუცურთი შრიფ-ტით, დაბეჭდილია ლექსად ღერბის სიმბოლიკის განმარტება:

ამ შურდულითა დავით სძლო გოლიათს, არ თუ ზა-
ვებდა:
ლომნი ტახტისა სოლომონს შჯდს სიბრძნეს მოუსწა-
ვებდა:
მესნელი, ვინ აღთქმ[ა]ს უდებდა ქმნ[ი]ლთ ეგრეთ
გ[ა]უთ[ა]ვებდა:
და ვით ძალ ეღვა და შეჰგვანდა მის მტერზედ
ეკრე დავებდა:
ქართველთ მეფენი დავითის გვარტომით, მოღვა-
მობითა:



დავითნი. ტფილისი. 1711. თაფურცელი. ნ. გვ. 18 (№ 13). ორიგინალი 15×12,5.

თვთ ყოვლად წმიდა უბიწო არის მათ ძირთვან
 შობითა:
 ვართ მისთუნ წილად ხლომილნი და მისის იმედო-
 ბითა:
 და ამად არ ვიქმნეთ უხილველ მტერთავან ლახვარ
 სობითა: გვ. [3]:

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა მე, გვარტომობით,
 ძირმოღვობით დავითიანმან, ძის ძემან სახელ განთქმუ-
 ლის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის
 არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა
 გიორგისამან და ძემან დიდად პატროსნის ლევანისამან,
 განმგებელმან ქართლისამან, ბატონის შვილმან ვახტანგ,
 მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და ვავაქეთე სტამბა

საცხრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა, მამისა და
 დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალხი-
 ნებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის
 ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა
 აღსაზრდელად“.

ამავე [3] გვერდის ქვემო ნაწილზე და შემდგომ [4] გვერდის ზე-
 მო ნაწილზე—დავითის გრავეიურის ზემოთ—დაბეჭდილია ბერძნული
 ათსტრიქონიანი ლექსი, სათაურით:

ETIXOI EIE TON ΘEION ΔΑΒΙΑ.

უკანასკნელ, აუნუსხავ გვერდზე:

„ქ: დაბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა, ქორონიკონსა
 ქრისტეს აქეთ ათას შვილას და თერთმეტსა. ქ. ჯელოთა
 მესტამბე მიხაილ სტეფანე შვილის უნგროვლახელისათა“.



ადიდებულად წმიდისა სამებისა მე გვარ ტომობით
 რ მდებრით დავითიანმან: მის ძემან სახელ გვანთქმ
 ულის მეფეს ვახტანგისამან: მის წულმან ქებულის მეფის
 არჩილისამან: ჭდიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორ-
 გისამან: ჭმემან დიდად პატრიოსნის ლევანისამან: გვანგებ
 ელმან ქართლისამან: ბატონის შვილიმან ვახტანგ: მვეყვანე
 მეტამეველსუთით: ჭვაგავეთეს გამბა სახსრად სულთა წინა
 თქმულთა მეუკისა: მამისა ჭდედისა ჩემისა გურიელის ასუ-
 ლის თუთასათვის: სალხინებულად სულთა ჩემისა: ჭმეუ-
 ლისა ჩემისა ჩერქეზთ ბატონის ასულის რუსულანისა:
 მეთა ჭასულთა ჩემთა აღისა ხრდელოდ:

ΣΤΙΧΟΙ ΕΙΣ ΤΟΝ ΘΕΙΟΝ ΔΑΒΙΔ.

Σίγησον Ορθάν, ἔριψον Ἐρημίαν ἄβραν.
 Τέλειος ὁ Δαβίδος, δάσους ἄβραν ἔπ.
 Δαβίδ ὡς ἡμῶν πνεύματος κέρας ἄβραν.
 Τραπὴ τῶ κερνήτῃ τῶν θείων μαθητῶν.
 Πλῆθὺς πάλαις ἰσορῆ τεραστῶν.
 Κινῆ πρὸς ἄλλον ἑκείσεως τῶν κήσων.

აქ ვაქსდაყოთოუ ღმ სანთა ვაყოთისა რხილქიყოფი
 სანძრე უკლესო სანთამანს. ყქნს სუქსმანს დასკნოყოფი
 ზესანყოთი ურთი რთაქმს აქბოვბო. ყქნთათა უკვხეთ ვაყოთიყო
 ღო ურთი მონაქბოთა და ყყოთუ ურქმბო მს მუნსიქბო უკვსიქ ბორო
 ვაქსიორყოთი შოყოქსი ბოყოთის. უკვრთსრანთა მანბუქმან
 რქთა ყქნ მანბო აკვროთ. რხის შთ მონთაქდნი ყყოფი
 რქანთ მსლთქს ქოთაქბ მანბოთინო. ზო მსლსი ობოქმან
 და რქბოქდის ურქმსთა აკვროთია. მქუბთაქქსი რქლქის სოქ

დავითნი. ტფილისი, 1711, 2 და 3 გვ. 5, გვ. 18 (№ 13). ორიგინალი 25x17.

ქ. ნავთსაყუდელსა მენავე რა მივლენ განისვენებენ.
 მოყვასთა თვისთა სამყოფთა ნახვა სწადს, მათ
 ისვენებენ.
 ქირთმყოფენი, ლხინსა შესრულნი, მას აღარ მოიხვე-
 ნებენ.
 და რა ბექვდა მბექდავს უსრულდეს, თავსა არ შეიწ-
 ვნებენ.

შრიფტი მხედრული.
 სავარო; უნ; სქქ. შუქ.

14. დავითნი. ტფილისი. 1712. უე [415] გვ. (14x10).
 თავფურცელი:

„დავითი. აწ მესამედ დაბექდილი ქართულს ენასა ზე-
 და, ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა
 უფლისაჲ უფლისაჲ ვახტანგისსა. შრომითა წარსაგებელითა
 მისევე მპყრობელისათა. განმგებლობასა ბატონის შვილის
 უფლისაჲ უფლისაჲ სვიმონისსა. გაიმართა კელითა კელმ-
 წიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა. ქალაქსა
 ტფილისისასა: ქრისტეს || აქათ; ჩიბ. დასაბამითგან
 ვიდრე აქამომდე: ქსკ“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ვახტანგის პოტრეტით; მესამე [8]
 გვერდზე: ბაგრატიონთა სამეფო ღერბი.

[5] გვერდზე: ქართული ანბანი: I მრგვლოვანი II ნ. ხუ-
 ცური; III იგივე, პირუტყვი წერტილით: წ-დან ა-მდის.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებულად წმიდისა სამებისა მე გვარ ტომობით
 ძირ მოდგმით დავითიანმან, მის ძემან სახელ გვანთქმულის
 მეფის ვახტანგისამან; მის წულმან ქებულის მეფის არჩი-
 ლისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფის გიორ-
 გისამან და ძემან დიდად პატრიოსნის ლევანისამან; მპრო-
 ბელმან ქართლისამან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლა-
 ხეთით და გავაქეთ სტამბა სახსრად სულთა წინათქმულ-
 თა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასუ-
 ლისა თუთასათვის, სალხინებულად სულთა ჩემისა და მეულ-
 ლისა ჩემისა ჩერქეზთ ბატონის ასულის რუსულანისა,
 ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელოდ“.

შრიფტი წვრილი ნ. ხუცური.
 სავარო; უნ; ქუო. შუქ.

15. რუსთაველი შოთა. ვეფხის ტყაოსანი. ტფილისი.
 1712. [4], ტნა [351] გვ. 2 ჩ. ფ. (29x22).

თავფურცელი:

„ვეფხის ტყაოსანი. აწ ახალი დაბექდული ქართულს
 ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრო-

ვეუხის ტყაოსანი:

აწ ახალი ჭბებდულო ქართულის ენასა შედა ჟამსა ამა
 ღღობულისა საქართველოს მპყრობელისა
 უფლისა უფლისა ვახტანგისა:
 შრომითა წარსაგებლითა მისვე მპყრობელისათა:

ვაიმართა ჯელითა ჯელიწიფის კარის ღუკანონის შვი
 ღის მიქელისათა: ქალაქსა გუგლისისასა
 ქრისტეს აქეთ
 ათს შეიდას ჭ თორშეგსა ჭსაბამითეან ვიდრე
 აქამომდე შეიღიათას თრას თ-ცსა:



ბელისა უფლისა უფლისა ვახტანგისა. შრომითა წარსა-
გებელითა მისევე მპყრობელისათა. ვაიმართა ჯელითა ჯელმ-
წიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა. ქალაქსა
ტფილისისასა. ქრისტეს აქეთ ათ[ა]ს შვიდას და თორ-
მეტსა. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას
ოცსა“.

თავფურცელის გარშემო: ორმაგი ორნამენტის ჩარჩო.
თავფურცელზე, ტექსტის ქვემოთ: ორი ვინიეტი.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღვრბის ერთ-ერთი
თი ვარიანტთაგანი: (ანგელოზები. ერთი ლომი): ღვრბის გარშემო:
ფოთლოვანი ორნამენტის ჩარჩო, კუთხეებში ანგელოზების თავებით.
ჩარჩოს სამი მხრიდან შემოვლებული აქვს ორნამენტი, რომელსაც
ქვეითა-მეოთხე-მხარე ღია აქვს.

ღვრბის შიგნითა არეში ინიციალები: წ. ღ. დ. პ. მ.
გ. ყ. ს. = „წმიდაო“ ღმერთო! დაიცვე პატრონი მეფე
გიორგი ყოვლისა საქართველოვასა“.

ღვრბის ქვემოთ და შემდეგ აუნუსხავ გვერდზე მოთავსებული
ექვსტროფიანი ლექსი წარმოადგენს 1709 წლის სამოციქულოს [5]
ღვრბის ქვეშ მოთავსებული ლექსის განმეორებას.

ქვემოთ—ვახტანგის წინასიტყვაობა:

„მადიდებელი [?] წმიდისა სამებისა მე, გვარტომობით,
ძირ მოღვმობით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმუ-
ლის მეფის ვახტანგისამან, ძმისწულმან ქებულის მეფის
არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა
გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან,
მპყრობელმა საქართველოსმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტან-
ბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საქსრად სულთა წინა
თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის
ასულის თუთასათვის; სალხინებელად სულისა ჩემისა და
მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულისა დედოფლის
რუსუდანისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“.

შემდეგ გვერდზე: ვახტანგის პორტრეტი, მდიდრულად შემკული
ორნამენტებით. პორტრეტის ქვემოთ: ყვავილებიანი ვახა. ტექსტში
ყოველი თავის დასაწყისში: შემკულობა.

ანუსხულია ქართული ასოებით: გვერდობით და რვეულობით.
ტექსტი იწყება * გვერდზე (შესავალით) სათაურით:

„ქ. ამა ამბის დასაწყისი პირველი ამო და სასმენ-
ლად შევნიერი სწავლისათვის მოშაირეთასა ტარიელს
და ნესტანდარეჯანს ვეფხის ტყაოსნობით უქმობენ“.

ტექსტის ბოლოში—ორტაგოვანი ლექსი;

„აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი კელისა.
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა.
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილ მქნელისა,
და ნაღვაწი მისის მლოცველისა მესტამბე მიქაელისა.“

„დაესრულა ესე წიგნი ქორანიკონს უნსა სმულსა;
ყველაკასა უხაროდა: რიტორსა და ჯმა უსულსა;
სამღროთა და საეროცა, ვისაცა აქუს სმენა გულსა;
და უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს; გონიერსა გულს
უსრულსა.“

ქვემოთ: ვახტანგის გამოკვლევა, სათაურით:
თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა,

თქმული ბატონის შვილის გამგებელის პატრონის ვახტან-
გისა“ (სპე—ტნა გვ.) („თარგმანის“ თავში ვახტანგი თავის
თავს უწოდებს „ქართლის გამგებელს“.).

შირფტი მხედრული; წითელი და შავი საღებავით.

საკაბო; უნ; ლიტ. მუწ; ხალტიკო-შეღრინის; აკადეჟ.

16. კურთხევანი. ტფილისი. 1713. [4], ქვ [627] გვ.
(20×15).

თავფურცელი:


„კურთხევანი. აწ ახალი დაბეჭდილი ქართულს ენასა
ზედა, უამსა ამალღებულისა საქართველოს მპყრობელისა
უფლისაა უფლისაა ვახტანგისა. ღვთივ განათლებულის
საქართველოს გამგებელისა ბატონის შვილის უფლისაა
უფლისაა სვიმონისა. ვაიმართა წმიდაა ესე ჯელითა სამ-
თავნელ ებისკოპოსის კვიპრიანესითა. ჯელითა ჯელმწიფის
კარის დეკანოზის შვილის მესტამბის მიქაელისათა. ქა-
ლაქსა ტფილისისასა. დასაბამითგან ქორანიკონსაა შვიდი
ათას ორას ოცდა ერთსა. ქრისტეს აქეთ ჩლიგ“.

კვიპრიანე სამთავნელის წინასიტყვაობა:

ოდეს სუფევდა თვისსა სამეფოსა შინა ღვთის მოყვარე მპყრობე-
ლი საქართველოსა მეფე უფალი ვახტანგ, იჯლსმოდგინა და მოიყ-
ვანა ვლახეთით მესტამბე მიხაილ და გააკეთებინა სტამბა ფრიადითა
წარსაგებელითა საფასეთათა, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა
მათისანი, რომელ არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა სტამბა
და ხელით წერითა მწერალთაგან სამლონი წერილი ჩვენნი გან-
რყუნილიყვენ. მას უამსა, ოდეს განაგებდა საქართველოსა მათი სა-
სურველი მძა ბატონის შვილი უფალი სვიმონ, ამათ მიერ მებრძა-
ნა მე სამთავნელს კვიპრიანეს ბერძულთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგ-
ნებთა შემოწმება. რომელ მცირედისა რისამე ბერძულთა წიგნთა და
ენასა სწავლულ ვიყავ იმრუსალემისა პატრიარქს დოსითეოს თანა,
საუკუნომცა არს საკსენებელი მათი; რაოდენიცა ძალ მედვა თვით
ჩემით შევამოწმე და გასწორებასა ვეცადე სიტყვა თუ ასო მეტნაკ-
ლებობა. და რომელიმე არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა
და შემოწმებთა გავაკეთე. იგინი, რომელნიცა უწინარეს წიგნი დეი-
ბეჭდა და აწ კურთხევანის ესე. რომელიცა ბერძულსა კურთხევანსა
შინა წერილი იყო, სრულად უნაკლულად გარდმოვსწერე. ხოლო რა
უამს გარდმოვსწერდი ჩვენსა ენასა ზედა, პირველთა მ[ათ] წიგნთა
და შემდგომსა ამას, სხვაანი წმიდანი მამანი საქართველოსანი ჩვენ-
სა ენასა ზედა შესწორებასა გვეკმარებოდენ. და დებეჭდეთ ბრძა-
ნებითა და წარსაგებლითა საფასეთათა ქრისტეს მოყვარისა საქარ-
თველოს კეთილად გამგებელისა ბატონის შვილის სვიმონისათა, მრ-
ავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი. უკეთუ ვინმე თქვას
რაად გვიმდა ახალი გარდმოთარგმნილი, ჭეშმარიტად მათ წმიდათა
მამათა ყოველივე წიგნი უნაკლულად გადმოეთარგმნეს. არამედ მწე-
რალთა მიერ განრყენილ იყო ვითა თვთ იგინივე წმიდანი მამანი წა-
მებენ დავითის ბოლოშია. და მეფეთაცა შემოწმება და გასწორება
გვიბრძანეს და ვერ ურჩ ვექმენით. და აღვასრულეთ, შეწვენითა
ღმრთისაათა ბრძანება მეფეთა. აწ გვედრებთ ყოველთა კეთილად
მკითხველთა და გულის ხუმის მყოფელთა, ვინც კვლად მიიღებდეთ,
ზემო თქმულთა ამათ მეფეთათვის ლოცვაასა აღასრულებდეთ; და
ამისა შემდგომად ნაღვაწისა ამისთვის ჩემ ცოდვილისა თვისცა შენ-
დობას ბრძანებდეთ, რათა ლოცვათ თქვენი შემწე მეყს და თქვენ
უზრუნველ იქმნეთ.

ქვემოთ:

„დავითის ნათესაობით სუმონ არს განმგებელია.
დავითის ებრივ უფლებად ღმერთმან სცხოს საცხე-
ბელია.“



ვეფხისტყაოსანი. ტფილისი. 1712. ვახტანგის პორტრეტი. ნ. გვ. 20 (№ 15)

დავითის გამო მფარველ არს ქალწული ღმრთის
მშობელია.
და ვით გოლიათსა, მათს მტერთა ნუ მისცეს სა-
შუტებელია.

მე-[4] ე გვერდზე ვახტანგის პორტრეტი, ორნამენტების ჩარ-
ჩოში.
ტექსტის ბოლოში:

ნავთსაყუდელსა მენავე რაჲ მოვლენ განისუტნებენ:
მოყვასთა თჳსთა სამყოფთა ნახვა სწადს, მით ისუტნებენ.
ქირთ მყოფნი, ლხინსა შესრულნი, მას აღარ მოიჩუტნებენ.
და რაჲ ბექდვა მბექდავს უსრულდეს, თავსა არ შეიჩუტ-
ნებენ.

(გვ. ქვბ 622)

ქვემოთ:

„საძიებელი წიგნისა ამის“ (ქვბ-ქვზ = 623—627 გვ.)

მდიდრულად შემკულია ორნამენტებით.
შრიფტი ნ. ხუცურთი.
სკვანო, უნ. ლიტ. მუს.

17. დავითი. ტვილისი. 1716. [4], უიე [415] გვ.
(15×10).

თავფურცელი:

„დავითი. აწ მეოთხედ დაბეჭდილი ქართულს ენასა
ზედა, ჟამსა ამალღებულის მეფისა უფლისაჲ უფლისაჲ
იესესი. გაიმართა ჯელითა გარსევან ყოფილი მღდლის
გაბრიელისათა. ქალაქსა ტფილისისასა: დასაბამითგან
ვიდრე აქამომდე ესკდ ქრისტეს აქეთ ჩლივ. განსრულდა
დავითი ესე თავსა იენისსა, ქქსა უღ სტამბის მეურნეო-
ბასა¹⁾ გიორგი მხატვარისასა“.

თავფურცელს შემოვლებული აქვს ვახტანგის სტამბის წიგნისათ-
ვის ჩვეულებრივი ორმაგი ორნამენტი. შემდეგი ფურცლის I გვერდზე:
ბაგრატიონთა ღერბის გავრცელებული სახე, წარწერით: „ეფუცა
უფალი....“ ღერბის ზემოთ და ქვემოთ: შემკულობა ყვავილოვანი,
ორმაგი. შემდეგ გვერდზე:

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებლად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით,
ძირმოდგმით დავითიანმან, ძის ძემან სახელ განთქმულის
მეფის ვახტანგისამან; ძმის წულმან ქებულის მეფის არჩი-
ლისამან და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფის გიორ-
გისამან. და ძემან დიდად პატროსნის ლევანისამან, გამგე-
ბელმან ქართლისამან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლა-
ხეთით და გავაკეთე სტამბა, სახსრად სულთა წინა თქმულთა
ამათ მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა და სალხინე-
ბელად სულისა. ჩემისა“.

ამ გვერდს ზემოთ ვიწრო ზოლი შემკულობისა, ქვემოთ—სამი
ოთხკუთხედი სახე:

შემდეგი ფურცლის I გვერდი უჭირავს ქართულ ნ. ხ. ანბანს,
სამ ჯგუფად წარმოდგენილს: I ასომთავრულს. II ნუსხა ზუცურს;
III—იმავე ნ. ხ. ბირუკმო წესით—ბოლოდან ჩამოწერილს. II ამ

1) ტექსტში „მეურნეობასა“

ფურცლის მეორე გვერდზე: დავით წინასწარმეტყველის პორტრეტი,
გარშემო წარწერით [მრგვლოვანით]:

„ქ. წო ღთ. მეოხ. გვყავ. ვახტანგს. კელთა. ჩემთა
ქმნეს. საგალობელი და თითთა ჩემთა საქებელი.“

ზემოთ: ყვავილ. ორნ. ზოლი. ფიცრული, შავ ტყავ გადაკრული
ყდა დაძველებულია და ნატეფიარები წაშლილი აქვს. ყდის შიგნითა
არგებზე მიკრულია ვახტანგის სტამბის წიგნის [სახარების] მსხვილი
შრიფტით ნაბეჭდი ფურცლები. ყდის ყუხაზე მიწებებულ თეთრ ქა-
ლალზე ორი ჯვარედინი ხაზით წაშლილია 14 და ზემოთ ბეჭდუ-
რათ—A-უხის; ყდაზევე, ზემოდან დაკრულია თეთრი ქალაღი წარ-
წერით:

Псалтырь на грузинскомъ языкѣ, напечатана при
царѣ Иракліѣ въ 1716 году. წარწერა გასწორებულია
ლურჯი ფანქრით.. Иессѣ в Тифлисѣ.

შრიფტი: ნ. ხუცური.
ჟაღკმ.

18. ლოცვანი. ტვილისი. 1717. [4]. სე [290], [1] გვ.
(14×9)

თავფურცელი:

„ლოცვანი. აწ მეორედ დაბეჭდილი ქართულს ენასა
ზედა. ჟამსა ამალღებულის დიდისა მეფისა უფლისა უფ-
ლისა ვახტანგისა. გამგებლობასა ძისა მათისა კეთილ-
მორწმუნის ბატონიშვილის უფლისა ბაქარისა. გაიმართა
ჯელითა მესტამბე გარსევან ყოფილი მღდლის გაბრიე-
ლისათა. ქალაქსა ტფილისისასა. დასაბამითგან ვიდრე
აქამომდე ესკე [7225]; ქრისტეს აქეთ: ჩლივ: განსრულდა
ჟამნი [?] ესე: თვესა ფებერვალსა კმ [28]-ქქსა უე: [405]“.

თავფურცელის მეორე გვ. ბაგრატიონთა ღერბი. ღერბის ზემოთ:

წყალობითა ღმრთისათა იესიან დავითიან სოლომო-
ნიან მეფე ვახტანგ ყოვლის საქართველოსა.“

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებლად წმიდისა სამებისა მე, გვარ ტომობით
ძირ მოდგმით დავითიანმან. ძის ძემან სახელგანთქმულის
მეფის ვახტანგისამან. ძმისწულმან ქებულის არჩილისამან
და დიდად სახელოვანის ქართველთ მეფისა გიორგისამან
და ძემან დიდად პატროსნისა ლევანისამან, განმგებლმან
ქართლისამან, ბატონიშვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მეს-
ტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საწსრად სულთა
წინა თქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გუ-
რიელის ასულის თუთასათვის, სალხინებლად სულისა
ჩემისა: და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის
რუსუდანისა. ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.


შემდეგ გვერდზე: იესო ქრისტეს ხატი, ორნამენტების ჩარჩოში.

ნიკოლოზ ორბელიანის წინასიტყვაობა:

„ოდეს განაგებდა საქართველოსა ღმრთის მოყვარე
და ყოვლითა კეთილითა სრული ძმისწული კეთილ მორწ-
მუნისა მეფისა პატრონის არჩილისა და დიდად სახელო-

ვანის შეფის გიორგისა და ძე პატრონის ლევანისა და ძმა ყოვლისა წესიერებით შექურვილისა მეფის ქაიხოსროსი, განათლებული ვახტანგ, ფრიადისა ქირითა და მრავალთა საფასეთა წარგებითა მოიღო სტამბა, რომელ არაოდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა და მე, ღედის

ღის ქირით განწყობასა და სიმათლესა ვცდილობდი. ეამნობა და თვენი ბერძულის რიგით დავეწერეთ. და კვირაძალბების ზადიკისა და სამგზეფსოს ოხითა იბაკო ისევ ჩვენი ძველი გაურითეთ. ღეთის სიყვარულისაჲვის, თუ რამ ჩემს ნაკეთებს წიგნებში მრული და ცთომილი ნახოთ, ნუ




დავითნი. ტფილისი. 1716. თავფურცელი. 5. გვ. 24. (№ 17). ორიგინალი 15x10 (აკად.)

ძმისწულსა ამა ჯელმწიფეთასა და მონასა მათსა, ფრიად ცოდვილსა მღდელ მონაზონს, საქართველოს მსაჯულთ უხუცესის ორბელის ძეს ნიკოლოზს, მიბრძანა წიგნების გამართვა და ვერ ურჩ ვექმენ. და მე წიგნი და ენა ქართულის მეტი სხვა არა ვისი ვიცოდი. რომელსაც ბერძულის მცოდნე მეტყოდა, ღმერთმან უწყის, მე ღი-

დამწყევლით. თუ შემეტყო არ ვიქმოდი. არამედ შენდობით მომიხსენებდით“.

იესო ქრისტეს ხატი და ერთი პატარა გრავიურა. ვახტანგის სტამბის ჩვეულებრივი შემკულობანი. ტყავის შავ ყდაზე ვახტანგის წიგნების (კონდაკი 1710) ჩვეულებრივი არაბესკა და სხვა ორნამენტები. შრიფტი: 5. ხუცური. უნ.



19. **ქამნი**, ტფილისი. 1717. [4], უმდ [444] გვ. (14×9).
თავფურცელი:

„ქამნი. აწ მეორედ დაბეჭდილი ქართულს ენასა ზედა. ქამსა ამალღებულის დიდისა მეფისა უფლისა უფლისა ვახტანგისა. გამგებლობასა ძისა მათისა კეთილ მოარწმუნის ბატონიშვილის უფლისა ბაქარისა. გაიმართა ჯელითა მესტამბე გარსევენ ყოფილი მღვდლის გაბრიელისათა. ქალაქსა ტფილისისასა. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე **ვსკე**. ქრისტეს აქეთ: **ჩლიჭ**. განსრულდა ქამნი ესე ოვესა ფებერვალსა იქ“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღებრი. დართული აქვს ვახტანგის პორტრეტი. შემკულია მინიატურული გრავეურებით და ორნამენტებით.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, მე, გვარტომობით, ძირ მოღვმით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმის წულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთა მეფისა გიორგისამან, განმგებელმან ქართლისამან ბატონის შვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საჯსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედის ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის, სალ ხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანიასა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

ამ გამოცემაში ცოტაოდენი ცვლილებით განმეორებულია 1710 წლის ნ. ხუცუბრი ქამნის მესტამბის წინასიტყვაობა, რომელსაც აქ მიზილი უნგრეოვლახელის ნაცვლად ხელს აწერს გიორგი მხატვარი. შრიფტი: ნ. ხუცუბრი. საჯსრა: უნ.

20. **კურთხევა ეკლესიისა**. ტფილისი. 1719—1720. **ოთ** [79] გვ. (19×15)

უთავფურცელია. პირველს—აგვერდზე:

„დომენტი სანატრელი და ყოვლად წმიდაა. წყალობითა ღმრთისათა კათალიკოზი მცხეთისა, ქართლისა, რანისა, კახეთისა, სრულიად ოსეთისა, სამცხე საათაბაგოსა მაკურთხეველი, გასწავებ ყოველთა შვილთა ეკლესიისა ჩემისათა თუ რა არს ეკლესია, ანუ ტრაპეზი, საკურთხეველი, გინა სალხინებელი და კანკელი“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ორნამენტების ჩარჩოში, სამების ხატი.

დომენტის წინასიტყვაობა:

„ჩვენ, სურვილითა საღრმითთა აღძრულმან, სანატრელმან და ყოვლად წმიდამან კათალიკოზ პატრიარქმან ყოვლისა საქართველოსამან, უფალმან უფალმან დომენტიმ გამოვიწვილე ეკლესიისა კურთხევა, რომელიცა წმიდაათა მამათა ჩვენთა მთარგმანებელთაგან ქეშმარიტად და სწორად გარდმოეღოთ, და ქამთა ვითარებისაგან მწერალთაგან განრყვნილ იყო, და ეს კურთხევა და

შემდგომნი ამისნი განწესებანი ახლად ვიძიეთ და ვპოვეთ და აწ ქართულად გარდმოვათარგმნინეთ უნაკლულად სამთავენელ ეპისკოპოზს უფალსა კვიპრიანეს. რამეთუ კეთილად სწავლულ იყო ბერძულთა ენისაგან. და იმას უბრძანეთ და გარდმოვაწერინეთ. და დავაბეჭდვინეთ საფასითა ჩვენითა. ვინც ველად მიიღოთ, შენდობას ჰყოფდეთ ჩვენთვის. ქამსა ამალღებულისა დიდისა მეფისა უფლისა უფლისა ვახტანგისა და ძისა მისისა უფლისა მეფისა ბაქარისა, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩლით. ქართულსა ქორონიკონისა უზ“.

ტექსტის ბოლოში:

„დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისისასა: ~ || ველითა გარსევენ ყოფილის მღვდლის გაბრიელისათა. თვესა იანვარსა იბ; ქორონიკონსა უწ [1720].

შრიფტი: ნ. ხუცუბრი უნ.

21. **პარაკლიტონი**. ტფილისი. 1720. [4], უნგ [453] გვ (31×21).

თავფურცელი:

„პარაკლიტონი. აწ ახალი დაბეჭდული¹⁾ ქართულს ენასა ზედა. ქამსა ამალღებულის და სახელოვანისა საქართველოსა მეფისა უფლისაა უფლისაა ვახტანგისასა. და ძისა მისისა საქართველოს მპყრობელისა მეფისა უფლისაა უფლისაა ბაქარისასა, იესიან დავითიან სოლომონიანისსა. შრომითა ფრიადითა და წარგებითა საფასეთათა საქართველოსა მპყრობელისა მეფისა უფლისაა ვახტანგ ლევანის ძისათა. გაიმართა წმიდა ესე პარაკლიტონი ველითა მროელ ეპისკოპოზის ნიკოლოზ ორბელის შვილისათა. ბრძანებითა საქართველოს მპყრობელისა მეფის უფლისაა უფლისაა ბაქარისათა. მბეჭდავი წმიდისა ამის პარაკლიტონისა მდაბალი მონა და მოსამსახურე თქვენი ტფილისის სიონის მხატვარი გიორგი. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიდათას ას ოცდა რვა. ქრისტეს აქათ. ათას შვიდას ოცსა“.


თავფურცელი: მდიდრული ორნამენტების ჩარჩოში. თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღებრის იშვიათი ვარიანტი და ორნამენტები. მეოთხე აუნუსხავ გვერდზე: სამების ხატი, ორნამენტების აქურულ ჩარჩოში. გვერდი ა [1]-ს კამარა შემკულია ხატებით და ხალიჩისებურად თხზული ორნამენტებით. უკანასკნელ გვერდზე: ვახტანგის პორტრეტი.

შავი და წითელი საღებავები.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა მე, გვარტომობით დავითიანმან; ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან; ძმის წულმან ქებულის მეფის არჩილისამან და დიდად სახელოვანის ქართველთა მეფის გიორგისამან; და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან, საქართველოს მპყრობელმან მეფემან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საჯსრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასუ-

1) შეცთომით: „დაიბეჭდული“.





კურთხევა ეკლესიისა. ტფილისი. 1719. 6 გვ. ნ. გვ. 26 (№ 20). ორიგინალი 17×12,2 (უწ.)



შესახებ რომელი უნდა იყოს : ~ ღირსეულები რომელს უნდა : ~
 შვეიცარიის უნდა იყოს : ~ უნდა იყოს : ~

პარაკლიტი. ტფილისი. 1720. გვ. 453. ვანტანგის პორტრეტი. ნ. გვ 26 (№ 21) ორიგინალი 17,5×15. (საქ. მუხ.) ?



ქმნულების ცოდნის წიგნი, ტფილისი. 1721. ვახტანგის წინასიტყვაობა. (№ 22). ორიგინალი 17,5x24. (საჯ.)

ლის თუთასათვის, სალხინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსულდანისა და ძისა ჩემისა საქართველოს მპყრობელისა მეფისა ბაქარისა; ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად“.

შრიფტი: ნ. ხუცური.
საჯარო; უნ; სქ; მუ; ლიტ. მუ; ქუთ. მუ.

22. ქმნულების ცოდნის წიგნი. ტფილისი 1721, [4], რმშ [148] გვ. (21x15).

თავფურცელი:

„სპარსულისაგან ქართულად თარგმნილი მეფეთ მეფის ვახტანგისაგან. ჟამსა ამალღებულისა და სახელოვანის საქართველოს მეფეთ მეფის და სრულიად ერანის სპასალარისა უფლისაა უფლისაა მისვე ვახტანგისა, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვანისა. გაიმართა ჯელითა მროველ ეპისკოპოზის ნიკოლოზ ორბელის ძისათა. ქალაქსა ტფილისისასა. ქრისტეს აქეთ. ჩღკა: აგვისტოსა ი“.


თავფურცელი: ორნამენტის ჩარჩოში. სათაური: „ქმნულების ცოდნის წიგნი“—ვახტანგის წინასიტყვაობიდან.

ტექსტი: წითელი საღებავით [ხელით?] შესრულებული 29 ნახაზი. 1 ჩართული ფურც. 3 ნახაზით.

მეთოთხე აუნუსხავ გვერდზე: ბაგრატიონთა ლერბი, მის ქვეშ: ყვავილანი ვახ.

ვახტანგის წინასიტყვაობა:

„ზე აღიდნეს ლმერთან მეფე ვახტანგ“: „იტყვის წინასწარმეტყველი დავით: მე ვთქვი განკვირებასა ჩემსა რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს. და თვით უფალი ბრძანებს: არავინ არს სახიერ, ვარნა მხოლოდ ლმერთი. არა თუ ამისთვის არს ბრძანება ესე, ვითარმედ ყოველი კაცი ცრუ არს. ნუ იყოფინ! არამედ ვერვის ძალუცს, თვინიერ მის მიერ მოვლინებულთა, სწორებით ცნობად საქმეთა უფლისათა; და არცა ვინ არს ჭეშმარიტებით მცნობელ ამისა, რომელ არა იპოვა ამა შინა სიცრუე; არამედ რავდენთა მიეცა სიბრძნე და გულისხმის ყოფა და მათ წყალობა იგი პატიოსანი უპატიოთა ზედა საქმეთა არა იშრომეს; და რაოდენთა ძალუძლეს, მისვე ქმნულთა მიწოდამდ და მურეს და განმარტნეს ფილოსოფოსთა მრავალ მეცნიერებანი და მათნი სწავლანი. და ესეცა ვარსკულავეთ რაცეა ერთი მათგანივე არს. და



საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოკვრებულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოდეთა; და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეკიცხოდენ. და აწ მე მეფემან მეფეთამან ვახტანგ ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, ზიჯი თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნები, ვთარგმნე მირზა აბდურჩიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა; და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე. ნუ უკუე ისწავონ და წაღიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად; და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილაფოსობა და გამოიღონ და ჩემთვისაც შენდობის მოქენე ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს, ვითარმედ მრავალნი ქირნი მინახვან ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურება დამიკლიეს“.

ტექსტის ბოლოში:

„განსრულდა სეკტემბერს იმ. ქრისტეს აქეთ ჩღკა“. „მენავე ლელვა გვემული განეროს ზღვისა წყრომასა. გალატოზნი და ხურონი რა მორჩენ თუსსა შრომასა, მათს სინარულსა ვინ დასთვლის, ანუ შევებისა ზომასა. და მესტამბე მათგან უაღრეს იქს სინარულის ნდომასა“.

შრიფტი: ტექსტისა—მხედრული, თავფურცელი და სათაურები—ნ. ხუცურით.

ზეჯარა; უნ; სპლავიკოკ-შეღარისის; აკადემ.

23. **ქამნი.** ტფილისი. 1722. [336] გვ. (15×10).

თავფურცელი:

„ქამსა ამალღებულისა და სახელოვანისა მეფეთ მეფისა უფლისა უფლისა ვახტანგისა. გაიმართა ქამნი ესე მროველ ეპისკოპოსი ნიკოლოზ ორბელის ძისათა. ველითა მესტამბე გარსევან ყოფილის მღდლის გაბრიელისათა. ქალაქსა ტფილისისასა. ქრისტეს აქეთ ჩ: ლ: კ: ბ: ლეკნბერსა; იე: ქკსა: უი“.

სათაური ტექსტის წინ: ქამნი.

ანუსხულია რვეულობით, ქართ. ასოებით. შრიფტი მხედრული (წვრილი და მსხვილი). თავფურცელს შემოვლებული აქვს ვახტანგის სტამბის ერთ-ერთი გაგრელებული ორნამენტის ჩარჩო;

თავფურცელზედვე, ორგან ჰორიზონტალური, წვრილი, ყვავილოვანი ორნამენტი.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღერბის თავისებური ვარიანტი. ცენტრში—მედალიონში, კვართი; კვართის მარჯვნივ: ქისა, მარცხნივ—ქნარი; ზემოთ, მედალიონს გარეთ, გვირგვინი. მედალიონი ოთხს ანგელოზს უჭირავს, საგანგებოდ გაკეთებულ ყურებზე ხელმოკიდებით; მედალიონის ზევითა ნაწილზე: ხმალი და კვერთხი. მედალიონი დამყარებულია ლომის ზურგზე. მთლად ღერბი

მოთავსებულია მცენარეულს ჩარჩოში. ღერბის ქვემოთ: ღვთის მშობლის საგალობელი, რომელსაც წვრილი შრიფტით მიწერილი აქვს:

„ეს მუხლები ყოველს კვირადალს შუაღამისას თქვით“:

ტექსტის 1-გვერდი შემკულია ყვავილოვანი თალით. ტექსტს წინ უძღვის ღვთისმშობლის ლოცვა:

„სასოო და შესავედრებელი ქრისტიანეთანო, ურცხუნენლო შუამდგომელო დამბადებელისა მიმართ, მი[თვ] ალულო და შეწყნარებულო! ნუ უგულვებელს ჰყოფ ჯმასა ცოდვილთა ვედრებისასა. არამედ ისწრაფე შეწევნად ჩვენდა, ვითარცა სახიერ ხარ, რომელნი ესე სარწმუნოებით გილაღადებთ. და მოსწრაფე იქმენ ვედრებად და განმზადებულ მეოხებად და ღმობიერ კელის ამპყრობელ. რომელი ეგე მარადის ილუწი პატივისცემელთა შენთა, ღვთის მშობელო! მეოხო მკურვალეო და ზღუდეო უბრძოლველო, და წყაროო მოწყალებისაო, და შესავედრებელიო ყოველისა სოფლისაო. ვედრებით ვკმობი შენდა მომართ, მსწრაფლ გუეწიენ ჩვენ, ღვთის მშობელო, დედოფალო; დაგვიკსნენ ჩვენ

ქირთაგან, მხოლოო კურთხეულო და მოსწრაფე. ვინმე აღრაცხნეს ცვარნი წკმისანი, ანუ ვან უძლოს სიმრავლესა ვარსკულავთასა მითხრობად, გინათუ სიღრმესა ზღვათასა გამოკულებად; უფროს ამათსა ვინ კადნიერ იქმნეს ღირსად გამოთქმად ურიცხვთა ცოდვათაგან დამძიმებულთა თუს სიტკბოებისა შენისა, ნათესავისა ჩვენისა, ბქეო ცხოვრებისაო, რომელი ყოველთა უწოდ შესვლად ნავთსაყუდელსა მყუდროსა; არამედ შენ მომბადლე მე, დედოფალო, გულის სიტყვა კეთილი და გო-

ქამსა ამალღებულისა ღსა
ხელოვანისა მეფეთ მეფისა
უფლისა : უფლისა
ვახტანგისა :

ღმრთა ღმრთა ღმრთა ღმრთა
გაიმართა ქამნი ესე : მრო
ველ ეპისკოპოსი ნიკოლო
ზოზ ორბელის ძისათა :

ქელითა მესტამბე გარსევან ყოფილის
მღდლის გაბრიელისათა :~

ქალაქსა ტფილისისასა ;~

ქრისტეს აქეთ : ჩ : ლ : კ : ბ :
ლეკნბერსა : იე : ქკსა : უი :

ქამნი. ტფილისი. 1722. თავფურცელი (№ 23). ორიგინალი 15×10. (აკად.)

ნება უბიწო, რათა მარადის გადიდებდეთ შენ, მხოლოო კურთხეულო. და მოსწრაფე იქმენ: აჰა, ესე რა გვეწია ჩვენ სიმრავლისაგან ცოდვათა ჩვენთასა მოულოდნელი მწუხარება განსაცდელთა და გულის სიტყვათა და ბქეთა ჯოჯოხეთისათა შთამჯდის ჩვენ. ვინაცა უღონო კმნილნი ყოვლისავე სასოებისაგან წადიერებითა სულისათა შეწვენისა შენისა, უსაზღროსა და ცხოველს მყოფელისა, მჭურვალედ მოვივლეთ, ღვთის მშობელო, და მუჟღ დადგომით გვედრებით: ნუმცა გვებულ ვიქმნებით წყალობისა შენისაგან, არამედ გვკენ მოწვეულისა ამის იწროებისაგან, შენდა მინდობილნი ესე მონანი შენნი, მხოლოო კურთხეულო და მოსწრაფე. მოყავ ყური შენი, კურთხეულო, და ისმინე ჩვენ, ყოველთა, რომელნი დაუცხრომელად ვმოხენ შენდა მომართ და მიმადლე მათ მშუღობა და მყუდროება და უძლოდი და სცვედ და განაგებდ და ნუ შეუნდობ მძვინვარედ წარწყმედად ქრისტიანეთა, უბიწოო, რომელთა უპყრიეს მტკიცედ სარწმუნოება და ბეჭედი წმიდისა ნათლისღებისა; დაღაცა თუ ვითარცა კაცთა ცოდეს, არამედ შენდა მომართ დაუც სასოება მათი, მხოლოო კურთხეულო, და მოსწრაფე იქმენ! ღვთის მშობელსა ლმობიერად შეურდეთ ჩვენ ცოდვილნი ესე და გლახაკნი; მჭურვალთა ცრემლითა დაღადეყოთ სიღრმით გულისათ:

ზ, დედოფალო! წყალობით შემიწე მეყავ ჩვენ, სიმრავლისაგან ცოდვათა ჩვენთასა და ნუ გარემომაქცევ მონათა შენთა ცუად, რამეთუ შენ მხოლო ხარ სასო და მეოხი ჩვენი წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩვენისა“.

შრიფტი: მხედრული.
ქო. შუწ; აკაღუ.

24. ბიბლია. წიგნი წინასწარმეტყველთა და სახარება. ტფილისი. 1709—1722. 407 გვ. (30×22). უთავფურცლოა.



ეს მუჯღუბი უოფის გვირაქაჲს შუაღამისის თქვით!
სასოთაღ შესავედრებელო ქრისტე
იანეთაო ურცესუწნელო შუამდგ
ომელო ღმბადებელისა მიმართ მი
თვარულთაღ შეწყნარებელო ნუ
უგუ

ქამნი. ტფილისი. 1722. ნ. გვ. 30. (№ 23). ორიგინალი 15×10. (აკად.)

პირველი გვერდის თავი შემკულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით. მთლად წიგნის ყოველი ახალი თავი, განსაკუთრებით სახარებისა, მდიდრულად არის შემკული ხატებით, ნაირ-ნაირი ორნამენტებით. თავი ასოებიც მხატვრულად გაფორმებულია.

დაბეჭდილია ორ ორ სვეტად. პაგინაცია: ქართული—ნ. ხუცური ასოებით, და არაბული ციფრებით, პარალელურად.

ტექსტი იწყება 1 გვერდიდან: 1—63 გვ.—წინასწარმეტყველება ესაიასი; 63—135—იერემიასი 135—142—გოდებანი იერემია წინასწარმეტყველისანი; 143—151 წინასწარმეტყველება ბაროქისი; 152—217 ეზეკიელისი. 217—244—დანიელისი; 244—252—ოსესი; 252—256—იოველისა; 256—263—ამოსისი; 263—264—აბდიასი; 264—266—იონასი; 267—272—მიქაისი; 272—277—ნათლისი; 274—277—ამბაკომისი; 277—280 სალომონისი; 280—282—ანგისი, 282—293—ხაქარაისი; 293—296—მალაქისი.

296 გვერდის ქვემო ნახევარზე: „განკარგვით რაცხვა ახლისა აღქმისა თაოვანად“.


297—339—„სახარება მათესი“; 339—366—სახარება მარკოზისი“; 366—407: „სახარება ლუკასი“.

ლუკას სახარების ტექსტი არ არის ქ; დამთავრებული. ბოლო სტრიქონები იკითხება:

„შეუდგეს მას დედანიცა, რომელნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილეათ. და იხილეს საფლავი და ვითარ დასდებდეს გუამსა მისსა. და წარვიდეს და მოამზადეს საკუმეველი სურნელი და ნელსაცხებელი“.

ტექსტი დაყოფილია თავებად და მუხლებად, არაბული ციფრებით. ვახტანგის სტამბის ბიბლია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში, A № 51 ხელნაწერში, ხელნაწერი ბიბლიის ტექსტთან ერთად. ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტშიაც დატოვებულია სუფთა ადგილები.

შრიფტი: ნ. ხუცური.
საქ. შუწ. (პალეოგრ. განვა); ურაგუნტყვი: ხავარო; უნ.



Բ Ի Կ Ը Ն Բ Ը Ժ Կ Գ Բ Կ Գ Կ Ե Կ Ը
Գ Ը Ը Ի Ը Ն Ի
 Գ Ը Գ Ի Ը Ի Ժ Գ Կ Ե Կ Ը

<p>Լ արարել մահի դրամը 1 մեղքի քմակն ըն մի դրամը Ը մահի՞ն Կաճարեալ . Եւ մահի ո՞՛հ Կրնի՞մալ . Ժողասքեալ յի՞ օմիտօսեալ Եւ Կառուց յալ , Եւ Կի՛նի , Եւ Կի՛ղբօսեալ . մա ծարահ Ժողասքի՛ն Կաճարի * Կե՛ծ 2</p>	<p> Կի՛մնի՛ն Կապարս Եւսիսեալ Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն . Եւ Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն . Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն * ॥ Եւ Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն . Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն . Եւ Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն </p>
---	--

ձեռագիր, Երևան, 1709—1722. Մանկագրերի քառյակի 1-րդ հատվածի 31-րդ (№ 24) օրիգինալ 10,5×16. (ս. 29.)



Ս Ս

<p>Բ արարել մահի դրամը 1 մեղքի քմակն ըն մի դրամը Ը մահի՞ն Կաճարեալ . Եւ մահի ո՞՛հ Կրնի՞մալ . Ժողասքեալ յի՞ օմիտօսեալ Եւ Կառուց յալ , Եւ Կի՛նի , Եւ Կի՛ղբօսեալ . մա ծարահ Ժողասքի՛ն Կաճարի * Կե՛ծ 2</p>	<p> Կի՛մնի՛ն Կապարս Եւսիսեալ Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն . Եւ Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն . Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն . Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն . Եւ Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն Կի՛ն </p>
---	--

ձեռագիր, Երևան 1709—1722, Գ. 297, սա. 297. Գ. 31. (№ 24). օրիգինալ 10,5×16. (ս. 29.)



მოსკოვსა და პეტერბურგში

გამოცემული

:: ქართული ::

:: წიგნები ::

:: 1737 - 1744 ::





ავითნი, მოსკოვი. 1737. [12], ლბ [32], [4], უად [464] გვ. (16×10).

თავფურცელი:

„დავითი. აწ ახალი დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა ჟამსა დიდად ამაღლებულისა და თვთ მპყრობე-

ლისა უფლისაჲ იმპერატრიცა ანნა იოვანესსა. ბრძანებითა ღვთივ განათლებულის საქართველოს მეფის უფლისა ბაქარ ვახტანგის ძისათა: შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მმართველთა სინოდთა. შრომითა ფრიადითა და წარსაგებელითა საფასეთათა არქიეპისკოპოზის იოსებისათა. დაიბეჭდა დიდსა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე. ხსმე. ქრისტეს აქათ. ჩღლზ. ქორონიკონსა უქე. თვესა დენკებერსა კბ“.

თავფურცელს სამი მხრით შემოვლებული აქვს არშია: ზემოთ განიერი, მარჯვნივ და მარცხნივ: მარტივი და წვრილი. II მეორე გვერდზე მოთავსებულია ბაგრატიონთა ღერბი, ჩვეულებრივი გარე-შემოწერილობით: „მფუტუ უფალი“... შემდეგი ფურცელის ორივე აუნუსხავი გვერდი უჭირავს იოსებ სამეხელის წინასიტყვაობას. 1-ლი გვ. ზემოთა ნაწილი შემკულია ქრისტეს ზატით, სღაფური წარწერებით, ზატი მოთავსებულია ყვავილევან გაშლილ ჩარჩოში.

ტექსტის ბოლოში: ყვავილებიანი ვახა. წინასიტყვაობის:—[12], ლბ, [2] გვ.—შემდეგი ფურცლის 1-ლ გვერდზე—ქართული ასოებ, სამ ჯგუფად—I—მრგვლოვანი; II—ნუსხური; III—იგივე ნუსხური [პირუქმო წესით]. ამ ფურცლის მეორე გვერდზე: დავით წინასწარმეტყველის პორტრეტი, ორმაგი ორნამენტის ჩარჩოში; წარწერით [ზემოდან]: მეფე დავით.

ყდა ყვისფერი, ტყავის, მოოქროვილი ნატვიფრით, ყვავილევანი ორნამენტებით. წიგნის კიდევები მოოქროვილი და ნატვიფრია. 1-ლი სუფთა ფურცელის პირველ გვერდზე, ხელით: Псалтирь [გაბუნებული მელნით]; ქვემოთ, შავი მელნით, ახალი ხელით: „ГРУЗИНСКАЯ“.

იოსებ სამეხელის წინასიტყვაობა:

„სადიდებელად ღმრთისა და ერთარსისა სამებისა, ჟამსა დიდად ამაღლებულის სრულიად რუსეთისა თვით მპყრობელისა და კეთილ მორწმუნის იმპერატრიცა ანნა იოვანესსა, ბრძანებითა საქართველოს მეფის ბაქარისათა. მე, არქი ეპისკოპოზმან და კახეთის მწიგნობართ უხუცესის ქვაბულის ძის თამაზის ძემან იოსებ. ვიღვაწე და მოვიციდე საფასითა ჩემითა სტანბა ესე. ფრიადითა შრომითა და თანა შემწეობითა გურამის შვილის ქრისტეფორესითა; გავაკეთე განსაძლიერებლად თვით მპყრობელის იმპერატრიცა ანნა იოვანესსა და კეთილად დაცვისათვის საქართველოს მეფის ბაქარისა და ძმისა მისისა ბატონის შვილის გიორგისათვის. და საოხად სულისა ჩემისა. დაი-

ბეჭდა წიგნი ესე სამეფოს ქალაქს მოსკოვს: გელითა საქართველოს სამღვდელთა კაცთათა, რომელნიც მოსკოს იყოფებოდენ“.

შრიფტი: ნ. ხუცური.
სალტაოვ-შეღინის.
შნ. (აჟაფქ-).

26. ზატიკი. მოსკოვი. 1738. 875, [1] გვ. (19×15).

თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, ჟამსა დიდად ამაღლებულის სრულიად რუსეთის და თვითმპყრობელისა კეთილმორწმუნის იმპერატრიცა ანნა იოვანესსა, ბრძანებითა მეფის ბაქარ ვახტანგის ძისათა. შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მმართველთა სინოდთა. საფასეთა და წარსაგებელითა არქიეპისკოპოზის იოსებისათა, გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა საღმრთო წმიდაჲ ესე ზატიკი დიდსა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამითგან წელთა ვიდრე აქამომდე ესმე. ქრისტეს აქეთ ჩღმს. ქორონიკონსა უქე. თვესა დეკენბერსა კგ“.

ქრისტეფორე გურამიშვილის ბოლოსიტყვაობა:

„ოდეს იპყრობდა და განაგებდა კეთილად განმგებელი, კეთილმორწმუნე და თვთ მპყრობელი დიდი გელმწიფე იმპერატრიცა ანნა იოვანესი, მას ჟამსა იგულსმოდგინა ყოვლად სანატრელმან არქი ეპისკოპოზმან სრულიად ვლადუქისამან და არქიმანდრიტმან იურიევისამან, კახთ მდივან მწიგნობართ უხუცესის ქობულის თამაზის ძემან, სამეხელმან იოსებ. და მიბრძანა მე, ყოვლად უღირსსა ბერს, გურამის შვილს ხუცეს მონაზონს ქრისტეფორეს, სტანბის გაკეთება. და გავაკეთებინე სტანბა დიდითა გულსმოდგინებითა და წარგებითა საფასითა მისითა. მაშინ გელ-ყავა ძალითა ღმრთისაჲთა წმიდისა ამის ზატიკისა ბეჭდულად რუსულს ზატიკზედ უნაკლულოდ: რომელ ფრიად მეკეთა, ვინათგან ბრწყინვალედ განშუქნებულ იყო ყოვლითურთ საეკლესიოს რიგითა და წესითა, ვითა ბერძნისა და რუსის საეკლესიო წიგნები, უცდომელად და უნაკლულოდ ეთარგმნათ. არამედ ჟამთა ვითარებისაგან მცირედი რაჲმე დაკლებულ იყო. და არა ესრედ ვრცელად იპოვებოდა. და მე მცირედი რაჲმე რუსის წიგნის გამოცნობა და ტიბიკონის მიხდომა ვიცოდი. ამისთჳს სურვიელ ვიქმენ ამისა. და მოვიღე ქართული ზატიკები და რუსის ზატიკსა და ტიბიკონს ვამოწმე. და რომელი მუჯლი სამწუხრო და საცისკრო რუსის ზატიკსა და ტიბიკონს ემოწმა, იქიდამ შეგკრიბე და ისე აღწერეთ და

რომელიც ჩვენი დაკლებულ იყო, ის რუსულის ზატიკი-
დამ გადმოვათარგმნინე ბატონის შვილის დარეჯანის კა-
რის მლუდელს გიორგის: და მისგან ნათარგმნს ხუცეს
მონაზონი ხოსაშვილი დავით დიდის გულს მოდგინებით და
გამოძიებით ჩვენს ენაზედ ასწორებდა და სიმართლეს

ცდილობდა. და საგა-
ლობელის საძილისპი-
როს წინწილს არქი-
მანდრიტი გერბანე
სჩხრეკდა და ასწორებ-
და. და დაიბეჭდა სრუ-
ლიად უნაკლულად
რუსულს ზატიკზედ თა-
ვისის ტიბიკონით.
რამც რომ აღდგომი-
დამ ყოველთა წმიდათ
კვირიაკემდი ეკლესიის
განწესება არის, თვი-
ნიერ სამის დღის სვი-
ნაქსრისა და ორის
საგალობელის შუა ზა-
ტიკისა და მუხლის კვი-
რისა საცისკრო: ამის
თვის რომე ეს ორი სა-
გალობელი ჩვენს ძი-
ლისპირზე ზოგი მეტი
და ზოგი ნაკლები მო-
ვიდა; და ჩვენ ვერ მო-
უმატეთ და ვერც დავა-
კლებით. სხვა სრულიად
უნაკლულად რუსულზე
აღიწერა: აწ ვინც ჯე-
ლად მიიღოთ წიგნი ესე,
ლოცვასა ჰყოფდეთ
დღეთა სიგრძისა-თვის
დიდის ჯელმწიფის ანა
იოანესა და არქი ეპის-
კოპოზის იოსებისა-
თვის. ეგრეთვე ღვთის

სიყვარულისა თვის რამე ამ ჩვენს ნაკეთებს წიგნში
მრუდი და ცთომილი ნახოთ, ნუ გუწყევთ; თუ შეგვეტყო,
არ ვიქმოდით, არამედ შენდობით მოგვკესენებდეთ“.

თაფფურცლის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღერბი.
პაგინაცია მოცემულია არაბული ციფრებით.
შრიფტი: ნ. ხუცურაი.
სავაზრო: უნ; სპ. შუზ; ქუთ. შუზ; ხალტიკოვ-შეიღბინის.

27. **ბასილიოს მაკედონელი.** ტესტამენტი. მოსკოვი.
1739. [6], მშ[48 ფურც=106], [13] გვ. (15×11).

თაფფურცელი:

„სადიდებელად წმინდისა სამებისა, ჟამსა დიდად ამაღ-
ლებულისა სრულიად რუსეთის და თვთ მპყრობელისა,

კეთილ მორწმუნისა იმპერატრიცა ანა იოანესსა, ბრძა-
ნებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა, შენდობითა და
კურთხევითა წმინდათა მართებელთა სინოდთა. საფასეთა
და წარსაგებელითა არქი ეპისკოპოზის იოსებისათა, გა-
კეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ტესტამენტი

რუსულისაგან ქართუ-
ლად თარგმნილი მის
სიმაღლის კეთილ მორ-
წმუნის მეფის ძის ალექ-
სანდრესაგან, კურთხე-
ულცა არს ხსენება მისი
უკუნისამდე: ~ დასაბა-
მიდგან ვიდრე აქამომ-
დე: ჟსმზ; ქრისტეს
აქეთ. ჩლოთ; ქორონი-
კონსა უკვ: თვესა ღე-
კენბერსა იჴ“.

მ თ ა რ გ მ ე ლ ი ს
ბ თ ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა :

„კეთილშესწრებულ
არს სამეფო იგი, რო-
მელსაცა შინა ანუ სიბ-
რძნის მოყვარენი მე-
ფობენ, ანუ მეფენი სიბ-
რძნის მოყვარეობენ.
ესე ყოვლად ბრძენი
მეფე ბასილიოს მაკე-
დონელი მეფობდა სა-
მეუფოსა ქალაქსა, წელ-
სა დასაბამითგან ხტოვ
[6376]. მიიღო რამე მე-
ფობა, გამოიძია სახლ-
ნი ოქროსა საცავნი,
და იხილა ყოველივე
ცალიერქმნილნი პირვე-
ლისა მის მეფისა მიქაე-
ლის მიერ, უმსგავსოთა
ზედა წარმოცალიერე-

ბული, რომლისა თჳს მოიკლაცა, მწუხარე იქმნა და არა
უწყოდა რამცა ექმნა. ხედვიდა პატივსა მას ბერძენთასა
იწროებით და დაცემად წვეწულსა; ისწრაფა უკუწ სამეუ-
ფოსა მის სიბრძნისა მიერ განახლებად და მოქცევად,
რაოდენიცა წინააღმდეგომთა მათ წარულეს სამეუფოსა ქა-
ლაქისაგან. ვარნა არა თჳნიერ მრავლისა შრომისა, რომ-
ლისა თჳს ხრონოღროფი მაუწყებელ არს. ხოლო მე შე-
მოკლებით მომთხრობელ ვარ ამისა: ვითარმედ იყო
ფრიად ღმრთისა მოშიშ და კეთილად მმართველ
სკიპტრისა სამეუფოსა თჳსისა; ეგრეთვე იყო ბრძენცა,
ვითა გამოაცხადებს წერილი ძისა თჳსისა ლეონის მი-
მართ. ხოლო აწ ძალისა ებრ ჩემ მიერ რუსულისაგან
ქართულად თარგმნილსა ამას, წინა მიმღებელ ვიქმენ



ბატკი. მოსკოვი. 1738. ბაგრატიონთა ღერბი. 5. გვ. 35. (№ 26).
ორიგინალი 12,5×10. (საქ. მუზ.)



მკითხველთა, ვითარცა ღირსისა რასამე კემზარტად ყოველთავე: გინა მეფისა, ანუ მთავრისა, ანუთუ სახლისა უფლისა წარსამართებელად ცხოვრებისა თვისისა და შვილთა თვისთა თვს, და უმეტესად ვნებათა თვისთა თვს, ვითა მასწავლებელ არს თავნი ესენი: ა: ი: ი: ი: ლ: მ: ზ: ნ: ბ: ნ: ლ: ნ: ზ: ნ: ლ: ნ: თ: ნ: ი: ნ: აბ: ნ: ად: ნ: ავ: მეფობდა უკუშ მიქაელის თანა წელსა ერთსა და თვესა ოთხსა. ხოლო შემდგომად მიქაელისა მეცხრამეტესა წელსა ამის ზე ძემან მისმან ლეონ ბრძენმან, მოიღო სკოპტრა ბერძენთა მეფობისა, და მრავალნი სასარგებლონი საქმენიცა ქმნა. ესე მეფობდა წელსა ოცდახუთსა და თვესა და შემდგომად მისა, ვითარ წოდებულ იქმნა ნათესავი მისი პორფიროდენად, ამას ღრონოლოგი გაუწყებს. ხოლო აწ მე მედრებელ ვარ, რათა, რომელნიცა მიემთხვივნეთ წიგნსა ამას, ლოცვა ჰყოთ ჩემ ცოდვილისა ამის, საქართველოს მეფის ძის ალექსანდრესა თვს, წარსამართებელად შემდგომთაცა შრომათა ჩემთა. და უკეთუ სამ გამართვა აკლდეს, ვისცა გამართვა ენებოს და უწყოდეს, არა მიაყენებელ ვარ.

„სტამბისა და ბეჭდის ზედა მეურნე“) მდებალი თქუწნი მოსამსახურე ხუცეს მონაზონი ქრისტეფორე ყოველთა გვედრები, კეთილად მკითხველნი და მხრეკელნი, თუ რამე შეცოდება რამე იხილოთ ამ წიგნში, შეცოდების თვს შენდობას ვითხოვ. რომელიც ძალმედვა, დედანზე სიმართლეს ვცდილობდი და სიყვარულისათვს ღმრთისა შრომისა თვს სასყიდელად ზემოხსენებულსა წიგნისა ამის მთარგმნელს მეფის ძეს ალექსანდრეს კურთხევით მოიხსენებდეთ და შემდგომად ჩვენცა, სტამბისა და ბეჭდვის მიზეზთა, შენდობას გვბრძანებდეთ“.

თარგმნილია ალექსანდრე არჩილის ძის (1675—1711) მიერ.
 შრიფტი: ნ. ხუცური.
 სავაძო; სალტიკოვ-შენდრინი.

28. პროკოპოვიჩი, თეოფანე. პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არს ანბანი და წყობა ასოთა... მოსკოვი. 1739. 3 დ [84] ფურც. [168 გვ.] (15×10).

1) ტექსტში „მეურნე“

თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, ეამსა დიდად ამაღლებულისა სრულიად რუსეთის და თვთ მპყრობელისა კეთილ მორწმუნისა იმპერატრიცა ანნა იოანესსა, ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა. შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მართებელთა სინოდთა, საფაღეთა და წარსაგებელითა არქი ეპისკოპოზის იოსებისათა:

გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არს ანბანი და დაწყობა ასოთა, ეგრეთვე მოკლედ თარგმანი შჯულისა, ათთა მცნებათა, ვედრება უფლისა, აღსაპრება სარწმუნოებისა და ცხრანი ნეტარებანი დიდსა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამიდგან ვიდრე აქამომდე. ვსმზ. ქრისტეს აქეთ ჩლთ, ქორონიკონსა უკვ. თვესა ოკტომბერსა. იზ“:


თავფურცელის ზემოთ: ორნამენტი და ანგლოზების თავები ვარსკვლავებ-შუა.—ბლოში (მეორე გვ.); ყვავილებიანი ვახა. ტექსტის თავში, გვ. 1 ქრისტე, სლავური წარწერით, ყვავილოვან ჩარჩოში. წიგნში ჩვეულებრივი (მოსკ. სტ.) შემკულობანი.

პირველი თქმული ყრმათათვს.


კეთილ არს აღზრდა, მშობელთაგან შვილთა თვისთა, გინა ობოლთა მზრდელთაგან, და სხვათა ყოველთა, რომელთაცა მამობა სახელ ედების ყრმათ ზედა:~

ყოველი ცხოვრება კაცობრივი აღზრდასა და აღორძინებასა ზედა ჰივებს, ჰოი, ქრისტეს მოყვარენო: ვითა იყოს სიყრმესა შინა, ეგრეთვე იყოს ასაკსა შინა კაცობისასა. და უკეთუ სიყრმითგან კეთილსა სწავლასა და შიშსა ღვთისასა აღიზარდოს, რომელ არს პირველი მცნება, ჯერ არს მის ზედა სასოებისა ქონება, ვითარმედ სისრულესა შინა კაცობისასა კეთილად იყოფებოდეს იგი. და უკეთუ სიყრმესა შინა უსწავლელოდ და უშიშრად აღიზარდა, არა არს მის ზედა სასოებისა ქონება, რათამცა უმჯობეს რამე იყო ცხოვრება მისი:~

ვითარ უკუშ ესრეთ კემზარტებამა გამოცდილებისა დაგვამტკიცებს ამას ზედა, რამეთუ არა მხოლო სახიდ გვიჩვენებს, არამედ მაგალითად დაგვისახავს, თუ ვითარ კეთილად შესაწყნარებლ არს სწავლა და აღზრდა ყრმათა.~ და რომელი უკეთურებასა შინა აღიზრდებიან, მრავალი ანგაპრებანი, შურნი, ბილწებანი, პარვანი, ავაზაკობანი,



პირველი სასწავლო ყრმათათვის. მოსკოვი. 1739. (№ 28).
 წიგნის ზომა 15×10. (სალტიკოვ-შენდრინი).




და სხვანიცა მრავალნი ბოროტნი საქმენი შეუღებებიან აგებულებასა. ხოლო შენ ამას ზედა ნუ განკრთები და ნუცა დაბრკოლდები, რამეთუ სიყრმითგან არა არს კეთილთა ზედა დადგინება ყრმისა, რამეთუ სიყრმითგან აღორძინებითა, ვითა ძირთაგან ყოვლისა ცხოვრებისა კეთილისა და ბოროტისა გამოვლდებიან: ~ და მიზეზი ამისი ესე არს: ვინადგან ცოდვანი პირველისა მამისა სძლევეს და აგენებს მათ, და პირველიდგანვე მიდრეკილ არს კაცობრივისა ცხოვრებისა საცთურთა ეშმაკისათა. რამეთუ ესრეთ იტყვს წერილი: უკეთუ არა მიიღოს კაცმან სიყრმიდგან აღზრდა კეთილი, შეუძლებელ არს, რათამცა არა ქმნა მან ბოროტი, რომელი შობილ არს ცოდვასა შინა: ~ არამედ უფროს კვალად სიბოროტე აგებულებიან და ღლითი-დღე ჩვეულებითა უფროსად აღორძინდების და ყოველსა ეამსა ძალსა მიიღებს: ~ ხოლო მათ თვის რაღა ვთქუა, რომელნი ბოროტთა ზედა დაადგრებიან და შეეყოფიან სიბოროტესა და თანა მზრახველ ექმნებიან უკეთურებათა და თვისსა სიბოროტესა სხვათა დაუმტკიცებენ და არწმუნებენ. და ვერ გულის ხმაჲ ყოფენ თავისა თვისისა სიბოროტესა, და ესრეთ უგრძობებლობითა მათითა საწყალობელნი ყრმანი იწურთებიან: კორინთელთა თავი თხუთმეტი. მტკიცე არს სიტყვა მოციქულისა: ვითარმედ განზრწნიან წესთა კეთილთა ზრახვანი ბოროტნი: ~ და ეგრევე ისო ზირაქი იტყვს მეთერთმეტეს თავში: რომელი შეეხოს მურსა, იგიცა შავ იქმნების, და რომელი შეეყოს ამპარტავანსა, მსგავს მისსა იქმნების. ვითარი კეთილი იქმნების მუნ, სადაცა არა არს აღზრდა ყრმათა კეთილად. ესე ვითარი არა მცირედ იპოვებიან ჩვენ შორის და ვერვინ ხედავს ვითარი საენებელი არს. რამეთუ მრავალნი არიან ჩვენ შორის კეთილის მოქმედნი, და მოშიშნი ღმრთისანი, რომელთა არა კეთილად უწყიან ძალი მცნებისა ღმრთისა და სიმრავლე ცოდვათა: ~ ესრეთ აღმოიკითხვენ მცნებასა ღმრთისასა: პატივეც მამასა შენსა და დედასა შენსა. და ვგოჰნებ რომელ არა მრავალთა იციან ძალი სიტყვსა ამის, ვითარმედ ვინ არს მამად წოდებული და არცა უცნობიეს რომელ სახელისა ებრ პატივ ცემა ჯერარს. ეგრეთვე უწყიან სხვანიცა მცნებანი: ნუ იპარავ. მრავალთა უწყიან სიტყვსა ამის ძალი, ვითარმედ ვაჭრობასა შინა მოტყუება ცოდვა არს. გინა ნაპოვნისა დაფარვა და მსაჯულისაგან

ქრთამის მიღება და სხვანი ესე ვითარნი ყოველნივე პარვა არს. ეგრეთვე სხვათაცა მცნებათა ზედა ესრეთ არს: ~ ხოლო ვითინმე გონებენ უმჯობესსა ყრმათა თვს, რათა მხოლოდ ასწავონ წერილთა კითხვა და წერა. და ძალნი, რომელ არიან წერილისა, ესე არა აუწყონ: ~ ესე ვითარი განზრახვა ამო არს და ურგებ. რამეთუ რაჲ სარგებელ არს, რათა—უწყოდენ წიგნთა აღმოკითხვა, და რომელნიცა მას შინა წერილ არიან, ვერ გულის ხმაჲ ჰყოფდენ კეთილად სიტყვათა მათ, რომელსა აღმოიკითხვენ. გინა სხვასა რასამე განზრახავს გულსა შინა თვისსა და ისწრაფის გარდაბრუნებად ფურცლისა. რაჲ სარგებელ არს წარსამართებელად მისსა? ანუ იკითხვედეს წერილსა, რომელი არა შესაწყნარებელ არს: ~ მრავალნი არიან წერილთა მკითხველნი, რომელთა მცნება ღმრთისა, და სარწმუნოება და ძალი ლოცვისა არა უწყიან და დიდად უგუნურ არიან: ~ ხოლო ესე ვითარნი წერილთა მკითხველნი უღარეს ყოველთასა არიან, რომელთა არა უცნობიეს ძალი სიტყვსა, რომელსა არა აქვენდეს შიში ღმრთისა, და განზორებულ იყოს კეთილთა ზრდილობისაგან, და არცაღა ეამი კითხვისა და წერისა უწყოდენ, რომელნი ესწავლნეს. ესე ვითარნი ყრუ და ძნიად მეცნიერ არიან და მახვილსა სიბოროტისასა შეიკრებენ თავისა



პირველი სასწავლო ყრმათათვის. მოსკოვი. 1739. (№ 28).
ბ. გვ. 37. წიგნის ზომა 15x10. (სალტიკოვ-შეგდრინი).

თვისასა: ~ ამის თვის არს ყრმათა-თვის კეთილად სწავლა და აღზრდა, რომელსა იტყვს წინასწარმეტყველი დავით ფსალმუნსა ასთვრამეტსა შინა, რათამე წარიმართოს ქაბუკმან გზა თვისი, არამედ იმარხნეს სიტყვანი შენნი: ~ და ესრეთ ჯერ არს გამოძიება საღმრთოთა წერილთა და სიტყვათა ღმრთისათა, რომელნი არიან მცნებანი ღმრთისანი. ანუ რაჲ ჯერ არს ჩვენდა ქმნად, გინა თუ ვითარ გვიბრძანებს ღმერთი დაცვად ბოროტისაგან. ამისთვის ესრეთ ჯერ არს, რათა ასწავოთ ყრმათა, გონიერება და გულს მოდგინედ დანერგოთ გულთა შინა მათთა, უკეთუ კეთილად გნებავსთ აღზრდა მათი, ესე არს კეთილი იგი და ამათ მიერ ჯერ არს აღკუთრვა, რომელნი ჩვენ მიერ ითქმის ქვემოთ. მართ მადიდებელნი მშობელნი, და აღმზრდელნი, და შუამდგომელნი, და უფალნი, ყოველნი მართლ მადიდებელნი ერნი, და კეთილად გამგენო, მამობრივისა სახიერებითა წყალობისა მქონებელნი: ~ ისინით მცნება ღმრთისა, თქვენდა მოცემული. მეორე სჯული. თავი ექვსი. რომელსა იტყვის: ~ || და იყოს სიტყვა ესე შენდა,



რომელსა დღესა გამცენ შენ სულსა შინა შენსა, და პირსა შინა შენსა, და ამცენ მათ, და ძესა შენსა, ეტყოდე მათ თვისგან, ჯდომასა შენ სახლსა შინა შენსა, და ვიდოდე გზათა სიმართლისათა. გეძინოს ანუ თუ გელვიძოს: ~ უწყებულ იქმენით ყოველნი, რომელნი თანამედებ ხართ კეთილად აღზრდისათვის ყრმათასა, რათა არა სიტყვა მიგეჭადლოსთ დღესა მას საშინელსა წინაშე ღმრთისა. და უკეთუ შეილთა თქვენთა არა ასწავებთ, და ვალი, რომელიცა თანა ვაცთ, არა გარდაივდით და განაშორებთ კეთილად სწავლასა და აღზრდასა, თქვენ თვთ იხილოთ მისაგებელი მათ წილ. ჯერ არს, რათა კეთილად ასწაოთ მათ და ზრუნვა გაქუნდესთ მათთვის. რათა ისწავლონ ძალი წიგნისა ამის, და მარადის ჰკითხედინ მათ: უწყიანა და ავსოვთ სწავლანი იგი ანუ არა, რომელნი მცნებანი ამას შინა წერილ არს, ანუ თუ სხვანი მცნებანი, რომელნი ბრძანებულ არს ღმრთისა მიერ; ანუ ვითარ ჰრწამთ აღსაპრება სარწმუნოებისა, რომელ არს მრწამსი. გინა რასამე ვითხოვთ უფლისაგან, რომელი განგვიწყესა: ~ და ესრეთ მარადის გამოეძიებდეთ შეილთა თქვენთაგან, საქმისა მისთჳს, რომელ არს სწავლა გონიერი და ერთობა სულიერისა საქმისა, და საღმრთოთა საქმისა თანა ზრახვა. და მარადის ხედვიდეთ ქცევასა მათსა, თუ ვითარ უსწავიეს მცნება იგი ღმრთისა. ხოლო უკეთუ სკოდევდეს რასა მე, აუწყეთ მათ და ასწავეთ, რომელსა მცნებასა შინა უკოდავს. და ესრეთ ამხილეთ მარადის, მამობრივისა სწავლითა. უკეთუ ესრეთ გულს მოდგინე იქმნეთ, და იგინიცა ესრეთ გულს მოდგინებთა კეთილსა ჰყოფენ, გაქუნდეს თქვენცა სასოება შეილთა თქვენთა, რომელ სიბრძნისა მიერ ღმრთისა აღივსნეთ სიხარულითა და განცხრომითა, და მოვიხსენოს თქვენ ზნა და შეილთა თქვენთა ზედა, ამინ; ~

ბოლო სიტყვაობა:

„პირველი ესე სასწავლო ყრმათათვის, რუსულისაგან ქართულად გადმოითარგმნა ბატონი შულის დარეჯანას მოლარეთ ხუცის ჩხეიძის გაბრიელისაგან, და ქართულის ენაზე გასწორდა არქიმანდრიტის გერმანესაგან, და დაიბეჭდა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს მის დიდებულის ბატონის შულის დარეჯანას სასახლეში მის და მის პალატის ყრმათა შეწვევითა და ჯელის მომართვითა: ~ || სტანბისა და ბეჭდვის ზედა მდგომი მდაბალი თქვენი მოსამსახურე მღვდელ მონაზონი ქრისტეფორე, ყოველთა გვედრები კეთილად მკითხველნო და მიხრეკელნო, თუ რაამე ჩემი დაშავებული რაამე ჰპოოთ ამ წიგნში: შეცოდებისათჳს შენდობას ვითხოვ. რომელი ძალ მედვა, სიმართლეს ვცდილობდი და თუ რაათამე ირგებდეს ვინმე რაასამე ამით, შრომისათჳს სასყიდლად თქუწნ მიერ ლოცვით მოვსენებასა ვითხოვ:“ ~

ყოველი თავის და ნაწილის დასაწყისი და ბოლო შემკულია ორნამენტებით და ყვავილოვანი ვაზებით; ყავისფერი ტყავის ყდა-მოაქროვილი ნატიფფრებით: შუა ადგილას: ორთავიანი არწივი, გვირგვინით. ყუ. ზე № 5551. შიგნიდან, სუფთა ფურც. მეორე გვ: $\frac{142}{2}$,

შინაარსი:

„I დასაწყისი სასწავლებლისა კაცთასა, რომელსა ენებოს სწავლა საღმრთოსა წერილისა (გვ. ზ-I-7)—მრგვლოვანი და ნუსხა ხუცური ანბანი, მარცვლები და სხვა საკითხავი სავარჯიშოები. II არაბული ციფრები 1-1000. III „შჯული ღმრთისა, რომელ არს ათი სიტყვა“ — ათი მცნების განმარტებით. IV თარგმანი საუფლოსა ლოცვისა „მამაო ჩვენო“-სი. V მთავარ ანგელოზისა და ღვთის მშობლის ლოცვა. VI აღსაპრება. VII „მოკლედ თარგმნილნი ნეტარებანი სახარებისანი“.

შრიფტი ნ. ხუცური: სალტიკოვ-შეღინის (8 ცქლ.).

29. სახარება. მოსკოვი. 1739. [20], ქმვ [646], [3] გვ. 4 ჩ.ფ (19×15).

თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა სამებისა, ჟამსა დიდად ამაღლებულისა სრულიად რუსეთის და თვთ მპყრობელისა¹⁾ კეთილ მორწმუნისა იმპერატრიცა ანნა იოანესსა, ბრძანებითა მეფის ბაქარის, ვახტანგის ძისათა. შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მართლ მადიდებელთა სინოდთა. საფასეთა და წარსაგებელითა არქიებისკოპოზის იოსებისათა—გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წმიდაჲ ესე სახარება დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამითგან ვიდრე აქამომდე ჰსმელ ქ-ს აქეთ ჩლოთ, ქ-ქსა უკვ, თვესა ივნისსა იე“.

იოსებ სამეგბელის წინასიტყვაობა:

„ჟამსა დიდად ამაღლებულის, თვთ სრულიად რუსეთის მპყრობელის და კეთილ მორწმუნის იმპერატრიცა ანნა იოანესსა, მე, მდაბალმან არქიებისკოპოზმან და კახეთის მწიგნობართ უხუცესის ქვაბულის ძის თამაზის ძემან იოსებ, ვიღვაწე და გავაკეთებინე საფასითა ჩემითა სტამბა ესე, ფრიადითა შრომითა და თანაშემწეობითა გურამის შულის მღვდელ მონაზონის ქრისტეფორესითა. თუმცა სარგებელ რამე გექმნასთ ესე ყოველთა მოქმენთა საღმრთოჲსა წერილისათა, თქვენ მიერცა ვითხოვთ ლოცვით მოხსენებასა.

დაიბეჭდა წმიდაჲ ესე სახარება ჩვენს პირველს სტამბის სახარებაზე, თვნიერ მისის საძიებლისა. ხოლო საძიებელი რუსული ვამჯობინეთ, ადვილად პოვნისა და მიხდომის თჳს. ამ სახარების საძიებელის სწავლა სულ ბოლოს სწერიდა; უკეთუ გულის ხმას ჰყოფთ, დიად ადვილად მიგასწავებსთ და იქ იძიეთ. || მდაბალი ამით მბეჭდავთა ზედა მდგომელი უღირსი მღვდელ მონაზონი ქრისტეფორე.

აწ გვედრები, ძმანო ჩემნო, და გამცნებ წიგნისა ამის შესვლასა და გამოსვლასა ეკკლესიისასა, დასაწყისსა და დასასრულსა, ვითამც საქართველოში ვშირად არ იყო ამ გვარი სახარება, და რაიც იყო, ისიც გაგვიშინჯავს

1) შეცდომით: „მპყრობელისა“

და ამისი რიგი და წესი გვჯობნებია. ვინც გულისხმავს ჰყოფს და ან მართლა შეიტყოფს [!], დიდი უნაკლული არის, დასაწყისითა და დასასრულითა. გაიმართა კელითა ტფილისის ქალაქის სიონელის გერმანეს ძმისწულის ცოდვილის მღვდელის მოსესითა“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღვრბი. შემკულობანი, გრაფიურები სლავური წარწერებით. მახარობლების 4 პორტრეტი.

იშვიათი ხელთნებით ნაკეთები ტყავის ყდა. (არქივ. „ძველი სტამბის წიგნები“ № 4).

შრიფტი: ნ. ხუცური. სჯარო; უნ. არქივ; სქ. შუხ.; ქუო. შუხ.; სლტაკოვ-შეგარინს.

30. მარხვანი. მოსკოვი. 1741. [2], [776 გვ.] (30×18).

თავფურცელი:


„სადიდებელად წმიდისა სამებისა, ეამსა დიდად ამალღებულისა სრულიად რუსეთის და თვთ მპყრობელისა კეთილ მსახურის იმპერატორის იოანე. ანტონის შვლისა, ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა, შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მართებელთა სინოდთა, საფასეთა და წარსაგებელითა არქი ეპისკოპოზის იოსებისათა, გაკეთდა სტამბა ესე და დაიბეჭდა საღმრთო ესე მარხვანი დიდსა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს. დასაბამითგან წელთა ვიდრე აქამომდე ვსმს, ქრისტეს აქეთ ჩღმა, ქორონიკონსა უკმ: თუშსა თებერვალსა გ“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღვრბი, ორნამენტ შემოვლებული. ტექსტის პირველ გვერდზე სათაური: ტრიოდონი.

ბოლო სიტყვაობა:


„ოდეს იპყრობდა და განაგებდა კეთილად გამგებელი, კეთილმორწმუნე და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა დიდა კელმწიფე იმპერატრიცა ანნა იოანესი, მას

ეამსა იგულსმოდგინა ყოვლად სანატრელმან არქი ეპისკოპოზმან სრულიად ვლადუქისამან და არქიმანდრიტმან იურ[ი]ვისამან, კახთ მდივან მწიგნობართ უხუცესის ქობულის თამაზის ძემან სამებელმან იოსებ და მიბრძანა მე, ყოვლად უღირსსა გურამის შვლსა მღვდელ მონაზონს ქრისტეფორეს, სტამბის გაკეთება და გავაკეთებინე დიდის გულსმოდგინებითა და წარგებითა საფასითა მისითა. და დაიბეჭდა დავითნი, ზატიკი და სახარება. და მერმე შემოხსენებული იგი დიდი კელმწიფე გარდაიცვალა და იპყრობდა დისწული მისი იმპერატორი იოანე, ანტონის შვლი. მაშინ კელეკავით, ნებითა და ძალითა ღმრთისაათა, ვიშრომეთ და ვიღვაწეთ წმიდისა ამის მარხვისსა, მე, უღირსმან ზემო ვსენებულმან ქრისტეფორემ და კახეთის მეფის არჩილის ასულის დარეჯანის კარის დეკანოზმან გიორგი დამბარა შვლმან; და სხვაათა ვიეთთა მოწმობითა და შეწევნითა, მოვიღეთ რუსული მარხვანი და, ოთხი ჩვენის ენისა. და როგორც რუსული ტიბიკონი და რიგი უჩენდა, ისე იმ რუსულს მარხვანზე ვასწორეთ და ისე შევკრიბეთ ნუსხითა. ამ ჩვენს მარხვანებში სამწუხრო და აცისკრო მუხლნი ზოგი მთლად ეწერა და ზოგს სძლის პირის მუხლს აკლდა და ეგრეთვე სამწუხროსი და წარდგომის მუხლს ვეძებდით და თუ რომე ამ ოთხს მარხვანში ვერ ვიპოვნიდით, გიორგი მღვდელი



მარხვანი. მოსკოვი. 1741. თავფურცელი. (№ 30). ორიგინალი 16×9. (საჯარო).

ლი გარდმოსთარგმნიდა და გავასწორებდით და თავის ალაგს დავწერ[დ]ით და ჩაურევდით. თუმცა სძლის პირზე წინწილის მიცემა არ შეგვეძლო, ზოგს ერთს ნიშანიც უზის შესატყობლად, რომე ახალი მუხლია. ამგვარი ყვავილი უზის || ⊙ || და ზოგს კი ვერ დაუხვით და დაგვჩა. და საწინასწარმეტყულოს ვინემდი ვიშოვნიდით, იმავე ჩვენის



ქართული
წიგნების

მარხვნიდამ ვსწერდით და თავს და რიცხვს რუსულიდამ ვამოწმებდით. და როცა ჩვენი საწინასწარმეტყველო ვი-
შოვნეთ, ტფილისის ქალაქს დაბეჭდილი, მერმე სრულ იმაზე
ვაწერინეთ: გასწორებული იყო და იმას მივყევით.
უკეთუ ნაკლები რაამე იხილოთ, ან მთარგმნელისაგან,

ველი ცთომილება ამ წიგნისა: ან სიტყვაა, ან წიგნი, ან სხვა რაამე ¹⁾—გამართოთ:

შრიფტი: ნ. ხუტური.
საჯარო; უნ; სპ. მუს.



მარხვანი. მოსკოვი. 1741. ნ. გვ. 40. (№ 30).
ორიგინალი 16,5x9. (ს.ჯარო).



მარხვანი. მოსკოვი. 1741. ნ. გვ. 40. (№ 30). ორიგინალი 18x8,5
(ერეკლე მეფის წიგნებიდან. მინაწერი 1). (უნ.)


ან მასწორებელისა ცთომილება და მიუხდომლობა რაამე
შეგვმთხვეოდეს, [ღმრთის] სიყვარულისათვის, ნუ საწყევარ
და საგოებელ ვიქმნებით. თქვენ, კეთილად მცნობელნი და
მიმდომნი, ღმერთთან უწყის, რომლისა შემძლებელ ვიყ-
ვენით, სიმათლესა და სიკეთეს ვსცდილობდით; რომე-
ლიც შევიტყვევით, გასწორებას ვეცადენით, და რომელიც
ვერ შევიტყვევით და დაგვრჩა გასამართავი, ბრა თუ უს-
წავლელთა, არამედ სწავლულთა და მეცნიერთა ვევედ-
რებით, რათა სიმშვიდითა და ჩვენზედ უღრტუნველად ყო-

31. საქრისტიანო მოძღუარება. რომი. 1741 366 გვ.
(16x10).

თავფურცელი:

„საქრისტიანო მოძღუარება, გინა წურთნა შეიღთა
საიდუმლოთა ზედა. გარდმოთარგმანებული იტალიანის
ენისაგან ქართველს მკედრულს ენასა ზედა. საქართვე-
ლოს გორელი ტლუჟანთ დავითისაგან. მთავრობასა კლე-

¹⁾ ტექსტი „რაატე“




მენტოზ მეთორმეტე ჰრომის პაპისასა. სასწავლოსა შინა-
უცხოთასა, რომელსა ეწოდების ფროფაგანდა ჯიდე. სა-
დიდებელად დედა ღვთისის მარიამ ქალწულის უმანკო
ჩასახვისათვის და სასარგებლოდ ძმათა, და დათა სული-
ერთა სულთათჳს. ქრონიკონი ქრისტესი ჩღღგ. ესე
იგი არს, ათას შვიდას ოცდაცამეტი: ბრძანებითა
უფროსთა“.

წიგნს აქვს აგრეთვე იტალიური თავფურცელი, რომელსაც პირ-
ველი ადგილი უჭირავს. აქ დაბეჭდვის თარიღად ნაჩვენებია 1741
წელი. იტალიური თავფურცელი შემკულია ანგელოზებით გარშემორ-
ტყმული ღვთისმშობლის სურათით. ამავე თავფურცელის მეორე
გვერდზე: ქრისტე და მოციქულები და სხვა შემკულობანი. იტალი-
ურ თავფურცელს მისდევს აუნუსხაეი ფურცელი, რომელზედაც და-
ბეჭდილია საცენხურთა დასტური გორელი ქართველის ტლუჟაანთ
დავითისაგან ნათარგმნი საქრისტიანო მოძღვრებისათვის.

ტექსტს წინ უძღვის მთარგმნელის—ტლუჟაანთ დავითის—ორი
მიმართვა:

1. შეწირვა უმანკო ქალწული დედა ღვთისა მარიამისა მიმართ:
2. წუროთნა წამკითხავთათვის.

ეს უკანასკნელი შეიცავს მთარგმნელის თხოვნას, რათა წამკითხ-
ველთა ზეპირად დაისწავლონ საქრისტიანო მოძღვრება. მიმარ-
თვის ბოლოს:




მარხვანი. მოსკოვი. 1741. ერეკლე მეფის წიგნებიდან.
მინაწერი—2—, ნ. გვ. 40. (№ 30). (უნ.)

„აწე ესრედ უწყოდეთ, რომე ეს საქრისტიანო მოძ-
ლუარება ფრიად მსოფლიერს ენასა ზედა აღეწერე; ანის-
თჳს, რამეთუ ენა ქართველის ხუცური თვად არ ვიცო-
დი და თუ რამე ცოტა ვიცოდი, ისიცა და მვედრული
ენაც დამავიწყდა. ჭეშმარიტად ასერ თითქმის ათი წე-
ლიწადი არის, რომე ქართველის ენისა და წიგნის მონატ-
რე შევიქენ. ხოლო მისთვის ურიცხვთა ადგილთა სიტ-
ყუანი უშუენიერნი ჩაურთევ, და ჯარის წილად ხანი და
სხუაცა ამისაებრ მრავალნი ლულარქნილნი...“ რისთვი-
საც შენდობას თხოულობს.

ტექსტი იწყება 13 გვერდზე:
„ერცელი საქრისტიანო მოძლუარება, რომელსა შინა
ქრისტიანი კეთილად გაწრთენილი უნდა იყოს. საკითხავი
პირველი“.

321—359 გვ: ლოცვები.
360—366—„ხანდუკი ანბანგანური“, ანუ ანბანურად დაწყო-
ბილი საძიებელი.
შრიფტო: მხედრული.
სავარა: უნ; საქ. მუზ; ქუო. მუზ; საღტკოკო-შეღრინის; აკაღმ.




საქრისტიანო მოძლუარება მარტულთათვის. რომი. 1741.
თავფურცელი. (№ 32). ორიგინალი 13,8×9. (უნ.)

გვ. საქრისტიანო მოძლუარება, მოკლედ დარიგებუ-
ლი მარტულთათჳს. რომი. 1741. [2], 92 [1] გვ. (15×10).
თავფურცელი:

„საქრისტიანო მოძლუარება, მოკლედ დარიგებული
მარტულთათჳს ზეპირად დასასწავლებლათ. დაისტამბა
წმიდა ჰრომის ქალაქს, სასწავლოსა შინა, რომელსა ფრან-
გულად ჰქვიან ფროფაგანდა ჯიდე. მთავრობასა ბენედიკტე
მეთოთხმეტე ჰრომის პაპისასა. ქრონიკონი ქრისტესი
1741. ესე იგი არს: ჩ. ლ. მ. ა. ბრძანებითა უფროსთა“.

ავტორი: გორელი ტლუჟაანთ დავითი უნდა იყოს (ნ. კარიბ.
გვ. 42).



ზრიფტი: მხედრული.

უკანასკნელი ფურცლის მეორე, სუფთა გვერდზე ხელით მიწერილია: „გადავეცი წერა-კითხვის საზოგად. ბიბლიოთეკას 1888 წ. არსენ კალანდაძე“.

საკაბო; სალტიკოე-შკადრინს.

მ. მ. ბიბლია. მოსკოვი. 1743. [16], [1038].

თავფურცელი:

„ბ ი ბ ლ ი ა. აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენას აზედა. ჟამსა დიდად ამალღებულისა და სრულიად რუსეთისა თუთ მპყრობელისა და კეთილ მორწმუნისა იმპერატორიცა ელისაბედ პეტრე დიდის ასულისა და მემკვდრისა მისისა დიდის პეტრეს შვილის შვილისა და დიდის თავადის. პეტრე თეოდორის ძისასა. ბრძანებითა და წარსაგებელითა საფასეთათა საქართველოს მეფის ბაქარ ვახტანგის ძისათა.“

შენდობითა და კურთხევითა: წმიდათა მმართველთა სინოდთათა.

გაიმართა წმიდა ესე დაბადება კელითა გურამიშვილის მღვდელ მონოზონის წინამძღვრის ქრისტეფორესითა და თანა შემწეობითა. ჩვენის კარის მღდლის ფილიპესი და ჩვენის კარის მღდლის დავითისათა. სამეუფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს. დაბასა სესვენწკისასა. ზედა მხედველობითა და მეურნეობითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის კავკასიძის მელქისედეკისათა. დასაბამითგან წელთა: ვსნა, თვესა მაისსა. ა. ქრისტეს აქეთ: ჩღმგ, თვესა მაისსა ა. ქართულს ქორონიკონსა: ულა [431]. თვესა მაისსა. ა“.

თ ა ვ ფ უ რ ც ე ლ ზ ე დ ვ ე :

„გლოცავთ და გვედრებით წმიდისა ამის დაბადებისა გონიერად აღმომკითხველთა, უკეთუ შეცდომილნი რაამე იხილნეთ: ანუ ასონი შეცვილ და მეტნაკლებ. ნუ გვწყევთ. ამისთვის, ვითარცა ცაჲ არა ოდეს ვერ იხილნეთ ესრეთ მოწმენდილ, უკეთუცა არა ეკრამცა მცირედნი ღრუბელნი, ეგრეთვე სტამბანი ასო უტომელ. რამეთუ იყუნეს დედანი შებღალულ, მუშაკნი უჩვეველ და მმართვენი დამაშვრალ. გარნა ამის შეცთომილთა თვისევე განრკვევით ქვემორვე აღგვიწერა და შთაგვიტანებია. უკეთუ ინებებთ, მსწრაფლ სრულიად განმართავთ, მცირედისა სარჯლითა“.

ბ ა ქ ა რ ი ს წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა :

„სადიდებლად წმიდისა და ერთარსისა და ცხოველს მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა. ჟამსა ზეშთა ამალღებულისა და ზეშთა განბრწყინებულისა იმპერატორცას და თვით მპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა, ელისაბედ პეტრეს ასულისასა. და მემკვიდრისა მისისა. დიდის მთავრისა პეტრეს თეოდორის ძისასა. ვიგულეთ და ვიგულს-მოდგინეთ ჩვენ. დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვიან, ძმის წულის წულმან და [?] სახელოვანის მეფის არჩილისამან და მეფის გიორგისამან და ძემან სახელგან-

თქმულის ლევანის ძის მეფის ვახტანგისამან. მეფემან ქართველთამან ბაქარ, ამის, სულთა და გონებათა განმანათლებელისა, წმიდისა დაბადებისა დაბეჭდვად, რომელ პირველ ფრიადითა სასოებითა ნებებოდა ნეტარხსენებულსა მეფეს არჩილს, რათამცა შეეკრიბა და შეესრულებინა დაბადება. რამე თუ ქვეყანათა ჩვენთა არღარა იპოვებოდა ერთად შეკრებულნი, არამედ წიგნად წიგნად იყო და რომელნიმე დაკარგულ და დაკლებულ. ვითა წიგნი ისო ზირაქი, და მაკაბელნი¹⁾. ხოლო რომელნიცა დაშთომილ იყუნეს და იპოვებოდეს, ივინიცა უთავოდ და უმუჭლოდ და მწერალთა მიერ განრყენილნი. არამედ შეეკრიბა და შეეწყო ერთად და ნაკულეგანიცა იგი ეთარგმნა, ძალისაებრ თვისისა, რომელიცა შემძლებელ ყოფილიყო. ეგრეთვე ნეტარ ქსენებულმან მამამან ჩემმან, მეფემან ვახტანგ, ინება სამეფოსა თაჟსა ქალაქსა ტფილისასა [?] წიგნისა ამის აღბეჭდვად. და მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტამბა, იმუშაკა და დაშვრა და განაწყო ყოველივე ნივთნი და მცირე რაამე საწინასწარმეტყველონი აღბეჭდა. და არცალა მას სცა ჟამმან და ღრომან ამომან და ქცევადმან და დაუშთა მასცა ეგრეთვე შეუსრულებელად. და ჟამსა ამას ქვეყანით ჩვენით მოვიწინით დიდსა ამას საკლმწიფოსა რუსეთს, ჩღკდ. კლმწიფობასა პირველისა იმპერატორისა დიდის კლმწიფისა პეტრე ალექსის ძისასა, სამეუფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს. შემდგომად ხანთა რაოდენთამე, განვიხილე და ვინებე ორთა ამათ მეფეთა ნამუშაკვენი ცუდად მდებარე, რომელთა სურვილნი ფრიად ყოფილ იყვნენ და ვერ შიშთხვევოდენ საწადელთა მათთა. ვითა მოსე და არონ ქვეყანასა აღთქმისასა. და მეტძანა მე ვითა ისოს, ვინებე და ვისურვე ვითა ირემმან წყაროთა მიმართ, ნამუშაკევისა ამის კეთილად წარმართებად. ხოლო სასოებითა და შეწვევითა საბაოთისა ღმრთისათა კელეყავ და აღვასრულე წადილი მათი. რამეთუ საქმენი კელთა ჩემთანი წარმართა ჩემ ზედა და ქმნულნი კელთა ჩვენთანი წარგვიმართნა, და აღვბეჭდეთ სამეუფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს. შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მმართველთა სინოდთათა, და აწ ნებითა ჩვენითა მიზეზ ექმნა სტამბისა ამის განმართვასა და გაკეთებასა არქიფისკოპოზი იოსებ სამებელი, და ფრიად დაშვრა, განზრახვითა და ნებითა ყოველთავე ჩვენთა საზღდელთა; და აწ მოვიღვეით მეფის არჩილის ნამუშაკევი დაბადება, კელით წერილი, და შევამოწმეთ დედანსა ფრიად კეთილსა და სარწმუნოსა მრავალთა წმიდათა და ფილოსოფოსთა და ღვთის მეტყველთა მიერ გამოძიებით თარგმნილსა და გამართულსა ბერძენთა სარწმუნოებასა ზედა. და განვმართეთ ახლად ყოველნივე სიტყვა მეტ-ნაკლებნი თავად თავად და რიცხ რიცხვად სამოწმითა, ესრეთ უნაკლულოდ, რომელ არღარა უღარეს საგონებელ არს სხვათა ბიბლიათა: ანუ ებრაელთა, ანუ ელენთა, ანუ ასურთა, ანუ ბულღართა, ანუ სომეხთა და სხვათა ყოველთა. საოხად და

1) ტექსტი: „მაკებელნი“.

საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო

საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო

საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო

საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო

საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო


საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო

საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო

საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო

საქართველო
საქართველო
საქართველო
საქართველო





სასკრად სულთა წინა თქმულთა მათ მეფეთა: მეფის არჩილისა და ასულისა მისისა დარეჯანისათს. მამისა ჩემისა მეფის ვახტანგისა და დედისა ჩემისა დედოფლის რუსუდანის სულის საოხად. და სულისა ჩვენისა და მეუღლისა ჩვენისა არაგვის ერისთვის ასულის ანნასათვის. ძისა ჩემისა ლევანისა და ალექსანდრესა. და ასულისა ჩემისა ელისაბედისათვის კეთილად აღზრდისა და დაცვისათს. და ძმისა ჩვენისა მეფის ძისა გიორგის მშვიდობით ცხოვრებისათს. რათა უფალმან ღმერთმან ჩვენმან ყოვლისა კეთილისა მიზეზმან, ნამიზეხევი ესე ჩვენი შეიწიროს და ღირს გვეყოს მარჯვენით თუსსა დგომასა. რომელსა შეგნის ყოველი დიდება და თავყვანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ: დასაბამითგან წელთა ვიდრე აქამომდე, ესნა ქრისტეს აქეთ ჩღმგ. ქორონიკონსა ულა—431, თვესა მისისა, ა.“

ვახუშტის ბოლო სიტყვაობა:

„უწყებისათვის საყვარელთა მკითხველთა ამის სულთა აღმადრენელისა, ვიდრე ზეცადმდე და ჯორცთა მაცხოვრებლობისა საწუთოსა ამის მიმწვენელისა, ძველისა და ახლისა აღთქმის წიგნისა, შეკრება და გარდმოთარგმანება ქმნულ იყო ძულთა ჩვენთა მთარგმნელთაგან და ჟამთა ვითარებისაგან, ვითა წესი არს ქვეყნისა ჩვენისა ცვალებანი, ესეცა განრყვილ იყო. რამეთუ დაბადება მეფედმდე ზოგად იყვნეს. და სხვანი წიგნნი წიგნად წიგნად. ხოლო ზირაქი და მკაბელი დაკარგულ იყვნეს. ეგრეთვე ახლანი აღთქმანი არა ამათთან კრებით. ხოლო ოდეს უფლისაჲ ჩვენისა იესუს ქრისტეს სარწმუნოებისათს დაუტევა ქვეყანა და მეფობა თუნი ძემან მეფის ვახტანგისამან მეფემან პირველ კახთა და შემდგომად იმერისამან, არჩილ, და მოიწია რუსეთს, სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, მეფობასა და ხელმწიფობასა თვითმპყრობელის იმპერატორისა დიდის პეტრეს ალექსის ძისა. და შეწყნარებულ იქმნა მის მიერ დიდითა დიდებითა და ურიცხვითა ნიჭითა, ვითა უშნოდათ მრჩობლეთად; ხოლო სცხოვრებდა მუნ ჟამად მყუდროდ, უშფოთველობით. მაშინ იგულა, ვითა შეჰკვანდა სიბრძნე—მეცნიერებასა მისსა, [რომელი იყო ზედმიწევნელი სწავლითა სულიერითა და სიბრძნისა ცნობითა და სამწებროთა და სამამაცოთა სიმწნეთა და ახოვნებათა სრულ, ვითა პირველნი ვინამე თქმულნი:]¹⁾ შეკრებად წიგნისა ამის. და ითხოვა ძმისწულისა თუსისა ძისა ლევანისა ვახტანგისაგან. [რომელი იყო მას ჟამსა შინა მოადგილე, ბიძისა თუსისა მეფის გიორგისა ქართლის გამგელ]²⁾ წიგნი დაბადებისა. და რომელიცა მუნ იპოებოდენ მოუგზანა. ხოლო ზოგნი თუთ აქვნიდეს. მაშინ მოენება რუსულსა დაბადებასა ზედა განმართვად და განსწორებად. ხოლო, ვითა შევნოდა სიბრძნე მეცნიერებას ამისსა, განემართა და შეეწყო, თუნიერ მუჯლთა, თავ თავად. ხოლო მკაბელი თუთ ეთარგმნეს, და ზირაქი ეგრეთვე... [მე ვგონებ ზირაქისაცა განმართვასა, რამეთუ ეგრეთ ჩნდეს]. და დიდ-

ნი შრომანი დაედუნეს, და დიდნი ქირნი მოეთმინეს მუშაკობასა ამას შინა.—ჟი, რაბამ საქებელ და სასურველ არს შრომანი შენნი. რამეთუ დაუტევენ თუსნი და ზეცისა მემუშაკისათვის დაუშურ და მოხუცებული არა მცონარე იქმნენ. არამედ, ვითა ფუტკარმან, იმუშაკე წარუპარველსა საუნჯესა შინა. აწ გამაღობთ და გლოცავთ. მოგაგოს სასყიდელი ზეცისა სასძლოსა სიძემან მცხენლმან ჩვენმან, რომლისა გსუროდა დიდებაჲსა მისსა.

ხოლო უკანასკნელ, რაჲ შეიბრძოლნენ მეფენი, და ქვეყანანი აღშფოთნენ და შეუღდა წინ ვსენებული ვახტანგ, და აწ მეფე ქართლისა, კვალსა ბიძისა თუსისასა, და ბრძანებითა დიდისა მისვე მეფისა და ჯელმწიფის თუთ მპყრობელის დიდის პეტრეს ალექსის ძისათი, მოიწია რუსეთს ქალაქსა მოსკოვს. ხოლო შემდგომად მისსა, პირმშომან ძემან მეფის ვახტანგისამან, მეფემან ბაქარ, ინება დაბადებისა ამის მეფის ნამუშაკევისა ბექდვად,—ვინათგან იგივე იქმნა მემკვიდრე მეფის არჩილისა,—რათა არა უდებ იყოს შრომა მისი. რომელ ერთ ოდენ იყო წიგნი ესე მხოლოდ. ხოლო ვინათგან თავი აქუნდა და მუჯლნი არა წიგნსა ამას, ჯერ იყო ქმნაცა მისი. ამისთვის მებრძანა მე, ძმასა მისსა ვახუშტის, რათა ვიშრომო ქმნად ამისა. და ვითა ჩემ მიერ არა შესაძლებელ იყო ჯელყოფად ესე ამით მიზეზთათვის, რამეთუ, პირველად, საეროთაგან არა ჯერ არს დიდისა ამისებრთა შემართვად, თუნიერ ზედ მიწვენილთაგან კიდე. მეორედ, რომელ შეუძლებლობისათვის, რათა ჯელმეყო და შეუსრული მეტევა. მესამედ, რათა არა შრომის სასყიდელისა წილ წყევა და შეურაცხება მომელო და არა მიზლი. გარნა ვინათგან ბრძანებს მქონებელსა სიყვარულისასა მოწაფედ თუსად და პავლე და იოვანე სიყვარულისა მალლობასა თუთ ღმერთ ყოფასა ძმათათა, ეგრეთ სძლია სიყვარულმან და არღარა მიხედა ზემორ თქმულთა და არცა დაშრომისა ზრუნვასა. მცა კადნიერება და შეემართე. ხოლო რაჲ ვიხილე, რომელ მრავალნი შეცვალებულნი და ნაკლულევანნი მთელნი მუჯლნი, ლექსნი სიტყუანი და მრავალნი ასონი, და არა ერთ ორ, არამედ მეტ ნაკლებ მრავალნი იყვნენ. მაშინ წინა დაუსხნენ ესევითარნი: სთნავს ესრეთ ყოფად, უკეთუ არა? [ხოლო ესე მეტ ნაკლები არა იყო მის მეფის არჩილის წინააღმდეგ. რამეთუ მას ქეშმარიტი შრომა დაედუნეს. ამისთვის, რომელ ჩვენი, ვით ზემორ ვთქვით, ჟამთა ვითარებისა ცვლისაგან და მწერალთა მიერ, განრყვილ იყვნეს, [ვითა ჩნდეს ამავესა წიგნსა შინა]¹⁾. მეორედ, რამეთუ რუსული თუნიერ ბერძენთაგან თარგმნილი იყო არა სწორ, რამეთუ მას ჟამსა არა ზედ მიწვენილთაგან ქმნულ იყო. და ვითა ეხილვით ესე თუსისა წიგნისა რუსთა, ბრძანებითა მეფისა და ჯელმწიფისა და თუთ მპყრობელის დიდის პეტრე ალექსის ძისათა, მრავალთა ენათა მცოდნეთა და ღვთის მეტყველთა მოედოთ დაბადებაჲ რუსული, რამეთუ არა შეთქმულ იყო სხვათა. ჯელეყოთ განმართვად, და განემართათ ბერძენთა, ებრაელთა, ასურთა, ლათინთა და ულღართაგან.

1) სწორი ფრჩხილები ტექსტში არის.
2) სწორი ფრჩხილები: ვახუშტისა.

1) სწორი ფრჩხილები ვახუშტისა არის.

და მას მეფესა არჩილს პირველს დაბადებასა ზედა გაემართნეს უმუჯლოდ, რამეთუ არცა მას აქვდნენ. და ამის მიზეზისათვის არა სრულ ყოფილიყო: 1) ხოლო მე რაჲ ესე წინა დავსხენ, იგულა თუთ მეფემან ბაქარ და ყოველმან სამღვდელმან, ეპისკოპოზმან, არქიმანდრიტმან, წინამძღვარმან და მღვდელმან, რომელნი იმყოფებოდნენ მოსკოვს ქართველნი, ყოფად ამისა ეგრეთ. მიზეზითა ამით ვერღარა ურჩვიქმენ, რამეთუ მორჩილება არს სათნო პირველი. და თანა შეწვენიითა განმმართველისა საბეჭდველის სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის ზეჩინებულის ანდრია იოვანის ძისათი, ხელ-გყავით შრომად. და შევასრულეთ შესაქმე, გამოსლვა, ლევიტელთა, რიცხუთა, მეორე რჯული, ისო ნავე, მსაჯული, რუთ, ოთხი მეფე, ორი ნეშტი, სამი ეზდრა, ნემი, ტობია, ივდიო, ესთერ, იობ, იგავი, ეკლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე ისო ზირაქ, და სამი მაკაბელი. წელსა ერთსა მეტ, არა უშრომლად. ხოლო ფსალმუნი, და წინასწარმეტყველებანი და ახალნი აღთქმანი მის მეფის ვახტანგის ბრძანებით განმართული და დაბეჭდილნი იყენნეს მისსავე მოღებულს საბეჭდავსა შინა ტფილისისასა. ხოლო ჩვენ ესე ვქმენით. და რომელნიცა აკლდნეს, მოუმატეთ, ვითა განმართულ იყო რუსთავან. თავ-თავად და მუჯლ მუჯლად. და სიტყვანი შეცვლილნი, რომელიც ქართულსა ენასა ზედა უმჯობე იყო, ეგრეთ დაუტევთ. და ნადირთა, მცეტა, თევზთა, ხეთა სახელნი, რომელიცა ვერ ვსცანით, ანუ საკუთარნი, ეგრეთვე დავსხენით. სხვაანი [?] ყოველნივე განემართეთ და შევასრულეთ, ვითა ძალ გჳსდვა. არა უდებ ვყვენით შრომანი ჩვენნი. და მივეცით საბეჭდავსა შინა, დაბასა სვესენწყას, წინამძღვარს და მღვდელ მონაზონს გურამიშვილს ქრისტეფორეს და მდივანს კავკასიძეს მელქისადექს, რომელი ზედმდე იყო და მუშაკობდა ამას შინა ბეჭდვად სიმართლით შესრულებად, ვითა არს განმართული ყოვლადვე.

ხოლო აწ გვსურს მშრომელთა ამისთა შრომისათვის ლოცვისა მოღებად, ყოველთა მიმღებელთა ამის საღმთო წერილისათა. პირველად მემიზეხესა ამის, რომელმან ჰყო კეთილნი შრომანი წარსაგებელითა ნიქთათა, ძემან მეფის ვახტანგისამან მეფემან ბაქარ. კვალად ნამუშაკევი ჩემნი, არა მცირე. რათა არა მოვილოთ მადლობისა წილ-უმადლობა, ლოცვისა წილ-გმობა, შენდობისა წილ-წყვეა, ქებისა წილ-ყვედრება, სასყიდლისა წილ-შეურაცხება, სიტკბოებისა წილ-ლალვა. რამეთუ წიგნიცა ესე არს პირველ, შრომა ღვთისა მიერ და ყოველთა წმიდათა სწავლა, რათა შევიწყნაროთ კეთილნი და განვაგდოთ ბოროტნი. რამეთუ თუთ უფალიცა ჩვენი ქრისტე იესო იშვა, ივნო, მოკვდა, დაეფლა, აღდგა, ამაღლდა ამისვე წილ ჩვენთვის. რათა განვაგდოთ ბოროტი და გჳყოთ კეთილი. რამეთუ ბოროტი არს არა არსი, და არსებასა ზედა კეთილსა შევიმთხუტვთ. და არს წინააღმდეგ ღმრთისა ცოდვა, რომლისა კეთილითა მიწევნად ვართ აღთქმულსა სუფევასა მისსა. რამეთუ კეთილ არს კეთილი უბოროტო და უკეთუ

წინათქმული შერთო, არღარა არს კეთილი, ვითა ძმარი არა იგივე. რამეთუ გინება, გმობა, სიძულვილი, უმადლობა, შური—შემოიყვანს წინააღმდეგსა ღვთისასა, რომელ არს სიბოროტე. და ბოროტის მოქმედი მიიღებს თუთვე ბოროტსა. [ვითა მოწმობს ესევე წიგნი:] რამეთუ რომელმან დაიმკვიდროს გონება ჩვენი, მეორე განეცლტოს. ამისთვის ნუ შევთხზავთ, რამეთუ შეუთხზველ არიან, ვითა ანაგები და მოკლება, და არავის კელეწიფების შეთხზვა მათი. და ვინათგან ბრძანებულ არს მტერთა და მოძულეთაცა ლოცვად და შენდობად, და არა გმობად და წყევად, რავდენ უკჳტ მშრომელთა ჯერ არს კეთილის ყოფად, ლოცვად და მიტევებად! საყვარელნო, ყუწნიო კეთილნი ჩუწნდა მომართ ლოცვითა და შენდობითა, რათა მოიგოთ თქვენცა მბრძანებელისაგან და კეთილ ვიქმნეთ კეთილსა მას წარულსა. და ვადიდებდეთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა დაუსრულებელსა. საუკუნითაგან უკუწნიოთი უკუწნისამდე ამინ: ქრისტეს აქეთ ჩღმბ (1742), სეკდემბერსა, ზ [7] დასრულდა“.

შრიფტი ნ. ხუცური.
საკაბო; უნ; არქივ; საქ. მუზ. პალატ; ქუთ. მუზ; სალტაიკო-შეგდრინს; აკაღუ.

34. ჟამნი. მოსკოვი. 1743. [1], ულვ, [435] [1] გვ. (16×9).

თავფურცელი:
„სადიდებელად წმიდისა სამებისა, ჟამსა დიდად ამაღლებულის სრულიად რუსეთისა და თუთ მჰყრობელისა კეთილმორწმუნისა იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასული-სათა. ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა. შენდობითა და კურთხევითა წმინდათა მართებელთა სინოდთა. საფასითა და წარსაგებელითა არქიეფისკოპოზისა სამებელისათა. გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ჟამნი დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, დაბასა სვესენწყასა, მეფის ბაქარის სასახლეშია. სტამბისა და ბეჭდავასა ზედა მეურნე მდაბალი თქვენი მოსამსახურე მღვდელ მონაზონი ქრისტეფორე, ყოველთა გვედრებ: თუ დანაშაული რამე იხილოთ ამ წიგნში, შენდობას ვითხოვ; რომელიც ძალგვედვა, სიმართლეს ვცდილობდით. გარნა მოიქსენეთ, რომელ არა ვინ არს უცთომელ სოფელსა შინა.“


35. ტფ: „უწყოდეთ რ ეს ქორონიკონი რომ დაიბეჭდა, მაშინ იყო... ქს აქეთ ჩღმგ:“

თავფურცლისა და ტექსტის თავში: ქრისტეს ხატი, ყვავილოვან ჩარჩოში, სლაფური წარწერებით.
შრიფტი: ნ. ხუცური.
სალტაიკო-შეგდრინს; უნ (აკაღუ).

35. იოანე დამასკელი. გარდამოცემა უცილობელი მართლ მადიდებელისა სარწმუნოებისა. არსენი იყალთოელის თარგმანი. მოსკოვი. 1744. [8], უკა [421] გვ. (19×16).

თავფურცელი:
„სადიდებელად წმიდისა სამებისა, ჟამსა დიდად ამაღლებულისა და თუთ მჰყრობელისა სრულიად რუსეთისა კე-

1) სწორი ფრჩხილები ვახუშტის არის.



თილ მორწმუნის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულისასა. და შემკვიდრისა მისისა შვილის შვილი პირველის პეტრესი კეთილ მსახური დიდი მთავარი პეტრე თეოდორეს ძისასა. ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა. შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მართებელთა სინოდთა. საფასეთა და წარსაგებელითა არქი ეპისკოპოზის იოსებისათა, გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წმიდაჲ ესე იოვანე დამასკელი დიდსა სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე **პსნბ**: ქრისტეს აქეთ **ჩღმდ**: ქორონიკონსა ულა [431], თვესა მისისა, კჳ. მდაბალი ამათ მბეჭდავთა ზედა მდგომელი უღირსი მღვდელ მონაზონი ქრისტეფორე“.

სათაური პირველი გვერდიდან:

„გარდამოცემა უცილობელი მართლ მადიდებელისა სარწმუნოებისა“.

შრიფტი: ნ. ხუცური, ხაჯარა; უნ; ხაქ. შუხ; ქუთ. შუხ; ხალტაიკა-შეღარინის.

36. იავორსკი, სტეფანე. კლჯე სარწმუნოებისა. [მოსკოვი]. [1737—1744]. [160] გვ. (33×21).

უთავფურცლოა.

პირველი გვერდის თავი შემკულია იესო ქრისტეს ხატით, ყვავილოვან არეში, სლავური წარწერებით.

სათაური და ტექსტის დასაწყისი:

„წილი პირველი კლდე წმინდისა მართმადიდებლობის. აქოსთ დასაწყისი აღმოსავლეთის კათოლიკურის სარწმუნოების ხატთა წმიდათა, მართმადიდებლობის წმიდასა კათოლიკურსა ეკლესიასა შინა ყოფილთა და საფუძველი წერილთა სამღვდელთა შინა. თავი პირველი. სიმტკიცე კლდისა სარწმუნოებისა სამღვდელთა წერილისაგან. წიგნთა შინა რიცხვთა, თავსა კა: ევედროდა მოსე ერისათვს და ჰრქვაჲ მას უფალმან: ჰყავ ხატად თავისად გველ სპილენძისა და დასდევ იგი სასწაულოსა შინა“.

შრიფტი და შემკულობანი იოსებ სამეხელისა და ბაქარის სტამბისა.

დაბეჭდილია ბიბლიის მზავსად, ორ-ორ სვეტად. ანუსხულია ფურცლობით—80 ფ.

ბოლო გვერდზე, ქვევითა მარჯვენა კუთხეში გადასატანი სიტყვა „ანუ“ მოწმობს, რომ ბეჭდვა უნდა გაგრძელებულიყო.

Стефан Яворский-ს Камень веры-ს 1705 წლის გამოცემასთან შედარებამ გვიჩვენა, რომ წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს იავორსკის კაპიტალური ნაშრომის თარგმანის ნაწილს.

თარგმანი ალ. ცაგარლის „Сведения“-ს ცნობით, ვახუშტის ეკუთვნის.

შრიფტი: ნ. ხუცური. ქუთ. შუხ; ხალტაიკა-შეღარინის.

37. ლოცვა ახლად თარგმნილი რუსულისაგან. [მოსკოვი]. [1737—1744] ლბ [32] გვ. (9,5×7).

უთავფურცლოა.

პირველი—ა—გვერდის თავი შემკულია სადა არშით.

ტექსტის ხეშოთ, სათაური:

„ლოცვა ახლად თარგმნილი“ ტექსტის წინ:

„რუს[ულისაგან ქართულად თარგმნილი ბატონის შვილის ალექსანდრესაგან] წირვაზედ სათქმელი. და მარილზავებული ყაფლანის შვილის ტფილელ მიტრაპოლიტის ნიკოლაოზისაგან: ამას ყოველნი იტყვიან, რომელთაცა ენებოს, ერის კაცნიცა. 1)“

ტექსტის დასაწყისი:

„პირველ ეკლესიად რუსეთად თქუ ლოცვა ესე: „ვიხარე, რომელთა მრქჳს: სახლსა უფლისსა შევიდით“.

შრიფტი: წვრილი ნ. ხუცური. ხალტაიკა-შეღარინის.

1) ფრჩხილებში. მოთავსებული ნაწილი დაზიანებული, აღდგენილია ხელით.



⚡ ⚡
:: ქართული ::
:: წიგნები ::
გამოცემული
1749-1800 წლებში





ავითნი. ტფილისი 1749. ტმე [345], [17] გვ. (15×9,4).

თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა, ერთ არსისა, ცხოველს მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა,

და ძისა, და წმიდისა სულისა, ბრძანებითა ამაღლებულისა მეფისა ჩვენისა თეიმურაზ ერეკლეს ძისათა, სრულიად ქართლისა მპყრობელისათა და ძისა მისისა მეფე ერეკლე თეიმურაზის ძისათა, კახთა მპყრობელისათა. კურთხევი-თა სრულიად საქართველო-ისა პატრიარქის მეფის ძის ანტონი ნეტარისათა. დაიბე-ქდა წიგნი ესე ფსალმუნთა წარსაგებელითა საფასეთათა ბექდისა ამის განმაახლებე-ლისა კახთა მეფისა ერეკლე თეიმურაზის ძისასა. სამეფო-სა ქალაქსა ტფილისს. პალატ-სა საპატრიარქოსა. დასაბა-მითვან 7147. განჯორციელე-ბითვან ღმრთის სიტყუსა 1749. სრულ იქმნა თვესა ოკტომბერსა. მესტამბე ამისი სიონის დეკანოზი [ნიკო-ლაოზ]. დაზგის მმართველი ჯრს საყდრის დეკანოზი იოანე“.

თავფურცელს შემოვლებული აქვს ვარსკვლავებიანი ჩარჩო; ზე-მთა ყვავილოვანი ორნამენტის ზოლი და ქვეშ ანგელოზების თა-ვები. თავფურცლის მეორე გვერ-დზე: ბაგრატიონთა ღვრბის ერეკ-ლეს სტამბისათვის ჩვეულებრივი სახე. თავფურცელზე ასოები ალაგ მკრთალი და ძნელად ამოსაკითხ-ვია. კზ გვერდიდან ლზ გვერდამდე: სავარჯიშოები მოწაფეთათვის:

„დასაწყისი სასწავლებელისა კაცთასა, რომელსა ენე-ბოს სწავლა საღმრთოსა წერილისა. სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა ამინ. ღმერთო, შე-

წვენასა ჩემსა მოხედენ. და გულის ვმა მიყავ ვისწაო სას-წავლებელი ესე“.

ქვემოთ: მრგვლოვანი და ნ. ხუცური ასოები 4 ჯგუფად. შემდეგ— მარცვალთა 12 ჯგუფი; ქვემოთ ქარაგმების ნიმუშები (გვ. თა); არაბული ციფრები 1—1000 (გვ. თბ); ამ გვერდს ზემოთ ყვავილო-ვანი თაღი აქვს, რომლის ქვემოთაც—სათაური:

„ციფრი, რომელ არს რიცხვი ელენთა და ლათინთა, ხოლო ჩვენ უწოდთ ნულა“.

ციფრები საკმარისად ლამაზი და სწორია, ზოგიერთი ოდნავ პატარა. შემდეგი აუნუსხავი გვერ-დი უჭირავს კვარცხლბეკიანი ჯვა-რის სახით აგებულს და სხვადასხვა შემკულობით მორთულს ტექსტს ასეთი შინაარსით:


„უნდოთა და გამოუცდელ-უჩუშველთა ახლად მოსწავ-ლეთა მუშაკთა ამისთა, ყოვე-ლად ბრძენო, ცთომილებისა რადასამე მხილველნო, გვედ-რებით, შეგვინდევით, ღვთი-სათვის. შემდგომთათვის უეჭუტლ იყვენით უმჯობესო-ბასა. წყალობითა ღმრთისა-თა და ლოცვითა თქვენითა, მცირე ამათ მუშაკთაგანი მოსამსახურე სტანბისა ამის, მეცა უღირსი შენდობას ვით-ხოვ მხატვარი იოანე:“

ასეთივე ჯვარი მოთავსებუ-ლია წიგნის უკანასკნელ, აუნუსხავ გვერდზე. შემდეგს აუნუსხავ გვერ-დზე: დავითის პორტრეტი, რუ-სული სახით და ქართული წარწე-რით „წა დთ.“ შემდეგი გვერდი-დან იწყება დავითის ტექსტი. ამ გვერდის ხევითა ნახევარი შემკუ-ლია სადა, ყვავილოვანი სახეებით და ქრისტეს ხატით, მედალიონში და ყვავილოვან ჩარჩოში, რომელ-საც შემოვლებული აქვს კვადრ-ტული სადა მოხაზულობა; წარწე-რა ქართული. ამავე გვერდზე [3] ხელით, შავი მელნით:



დავითნი. ტფილისი. 1749. თავფურცელი. (№ 38). ორიგინალი 15×9,4. (აკადემ.)

სტრიქონსა და სტრიქონს შუა, ხელით, შავი მელნით: „მეფის ძის თეიმურაზისა არის“.



ტექსტი დაყოფილია თავებად და მუხლებად. მუხლების დაყოფა აღნუსხულია არაბული ციფრებით. წიგნში მრავალ ადგილას გამოყენებული უნდა იყოს ვახტანგისეული სტამბის ყველაზე სადა ორნამენტი. ხის ყდაზე გადაკრული შავი ტყავი შემკულია ნატვიფრებით, ყდის ორივე მხარეს, შუა გულზე, არაბესკებში ამოტვიფრულია ასომთავრული წარწერა: „ჩაჩიკას ძე ნიკოლოზ“. წიგნის ბოლოში ყდის შიგნითა მხარეზე, გაკრულია ლამაზი მხედრული ხელნაწერის—სამძიმრის წერილის—ნაწილი, რომელიც იკითხება:

„სალმობა-მწუხარებათაგან გარე-მოცულ-დაპატიმრებულსა, სახელ-დაკარგულსა ანახანუმს. ვაი, ვაი, დამკარგავი სამოთხისა! ვისა ვიგლოვ და ვისა სიკვდილსა ვალალებში ვაი, დამკნობი ედემისა ყვავილისა და ვარდისა სიტყვისა, ჩემთვის ნათელ-ღირსისა! დღისა ღამედ ბნელად შეცვალე მასა დაკდემულსა უამბო ცხოვრებისა, ვახსენებ თქვენ, ჩვენ მიერ ნიადაგ ქამ ქებით, მაგათის ყოვლის სიკეთით შემკობით მოსაგონ-მოსახსენო, ტომ-გვარ მალალო მძახალო...“

შრიფტი: წერტილი ნ. ხუცური; ნაპირზე. იმავე ხელით: „მრავალი მადლობა“. აკადემ.

39. ანტონ I. ქადაგება. ტფილისი 1751. ლბ [32] გვ. (15×10).

უთავფურცლოა. პირველ გვერდზე სათაური:

„ქადაგება: ღვთის მეტყუებლება ანტონი, სრულიად საქართველოსა კათოლიკოსისა. დღესასწაულსა მიგებებისა უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესსა. ეკლესიასა შინა თვისისა პალატისასა“.

ტექსტის ბოლოში:

„მპყრობელობასა ქართველთა ზედა ამალეებულისა მეფისა თეიმურაზ ერეკლეს ძისა, პორფიროვან ქალაქსა ტფილისს. თვესა ფებერვალსა იმ. წელსა ჩინა“.

შრიფტი: ნ. ხუცური. უნ.

40. კონდაკი. ტფილისი. 1751. სივ. [216] გვ. (20×16). თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა, ერთარისისა, ცხოველს მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა: მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ბრძანებითა კეთილ მსახურისა ცხებულის ქართველთა მეფის თეიმურაზისათა და ძისა მათისა კეთილმსახურისა კახთა მეფისა ირაკლისათა. კურთხევითა სრულიად საქართველოსა წმიდისა პატრიარხისა ანტონისათა. დაიბეჭდა წიგნი ესე საღმრთოსა მსახურებისა საფასეთა წარგებითა ბექდისა ამის მახლისა ირაკლი, კახთა მეფისათა. სამეუფოსა ქალაქსა ტფილისისასა. პალატსა შინა საპატრიარხოსა. დასაბამითან წელთა სოფლისათა ჯ.ს.ნ.თ. ხოლო სიტყვსა ღმრთისა განკორციელებითან ჩ.ღ.ნ.ა. ინდიქტიონსა იდ, თვესა სექტემბერსა ი“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღვრბი.

წიგნი შემკულია ორნამენტებით და გრავიურებით. უკანასკნელ გვერდზე:

„იუწყეთ, შვილნო ეკლესიისანო, რომელ ესე წიგნი საღმრთოსა მსახურებისა, გინა განგება მწუხრისა და ღამისთევისა, უამთა ვითარებისაგან საქართველოსა ქვეყანასა შინა მწერალთა მიერ განრყენილ იყო და წინა უკმო მეტნაკლული განწესება კანონისა და გალობისა ეწერათ და ამით ვიეთთამე უმეცრებითა დაეკნინებინათ. ხოლო აწ ძალითა ღმრთისათა სრულსა და ქეშმარიტსა რუსულსა საღმრთოსა მსახურებისა წიგნსა ზედა შევა-მოწმეთ, და ჩვენი პირველი, რომელი მას ეწაშა, იგი დაგსწერეთ, ხოლო რომელი მწერალთა შეეძინათ, იგი ყოველივე დაუტევეთ. და ესე არს ქეშმარიტი და სრული, ვითა რუსთა ეკლესიასა უპყრია. ხოლო ესეცა უწყება მღვდელთა და დიაკონთა მასვე რუსულსა საღმრთოსა მსახურებისა წიგნსა შინა ეწერა. და რომელნიცა საჭმარნი იყვნენ, დალათუ ქეშმარიტად ყოველივე საჭმარნი, გარნა სივრცისათვის არა ყოველივე აღვწერეთ, არამედ რომელნიცა მარადის და უფროსად საჭმარნი იყვნენ, იგი ყოველი გარდამოვიღეთ და შეწყობისთვის სიტყვათასა, ლექსისა და მარცვლისა წინაუკმო დასხმითა ენასა ჩვენსა ზედა განვაწყეთ, და რომელნიმე უმწველილენი დაუტევეთ, ხოლო ვრცელად და სრულად მას შინა იპოების: რუსულისაგან ქართულად გარდმოცემასა შინა ღვაწლითა და შრომითა ხუცეს მონაზონისა ეფრემისათა. ზედა მხედველობითა და ქართულსა ენასა ზედა შეწყობითა, მოძღვრისა და უღირსის მღდლის ზაქარიასითა: თანა შეწვევითა ისაკ მცირისათა. მომუშავებელი და წარმომადგინებელი ასოსა ამის სიონის დეკანოზი ნიკოლოზ; მცირე ამითგანი მხატვარი იოანე“.

შრიფტი: ნ. ხუცური. საჯარო; უნ. სქ. მუს; ქუთ. მუს; აკადემ.

41. თენი. [მოსკოვი. 1756—1762] [428] გვ. (29×20)

უთავფურცლოა:

დაბეჭდილია ორ-ორ სვეტად, ნ. ხუცური შრიფტით, წითელი და შავი საღებავით. ყოველ გვერდს შემოვლებული აქვს სადა ორნამენტის არშია. თავი ასოები მხატვრულად გაფორმებულია. იწყება ა [1] გვერდით. შეიცავს სამს თვეს: სექტემბერს, ოქტომბერსა და ნოემბერს. სექტემბრისა და ოქტომბრის პაგინაცია აღნუსხავს გვერდებს და ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს. ნოემბრის პაგინაცია (სპ—ტნვ) წარმოადგენს წინა თვეების პაგინაციის გაგრძელებას, მაგრამ აღნუსხავს ფურცლებს და არა გვერდებს.

შრიფტი, შემკულობა, თავი ასოები: საეყბით ემსგავსება იოსებ სამებელისა და ბაქრის მიერ მოსკოვში მოწყობილი სტამბისას (1737—1744).

ტფილისში 1772 წელს დაბეჭდილი „პარაკლიტიკოსის“ წინასიტყვაობის მიხედვით, „თენი“ ანტონ I უთარგმნია რუსეთში (1756—1762). პროფესორი კ. კეკელიძის აზრით „თენის“ ეს ნაწილი დაბეჭდილია „მეთვარამეტე საუკუნეში—რუსეთში გადახვეწილი ქართველების მიერ“.

(ნ. კ. კეკელიძე; ანტონ კათალიკოზის სალიტურდიკო მოღვაწეობიდან. ტფილისი, 1914. გვ. 4).

შრიფტი: ნ. ხუცური. საჯარო; უნ; სქ. მუს; ქუთ. მუს; სალტოკ-შეკარანს.

42. მისალმება თეიმურაზ II-სადმი. ს.-პეტერბურგი. 1761. 1 გვ. (28×20,2).

„თეიმურაზს ნიკოლაოზის ძეს, მემკვდრეს მეფეს || საქართველოსას, კახეთისა და ქართლის || ქვეყნების მპყრობელს, მოსულს ჩღაა წელსა სანკთ || პეტერბუხს თაყვანის საცემლათ მათის ყოვლად განა || თლებულობის იმპერატორობის დიდებულობის უხემწიფისის || სრულიად რუსეთისას. იმპერატორის აკადემიის სწავლის || სტამბის მსახურნი, ამ საბეჭდავით პატივცემულაო—|| ბასა თვსთა მოწმობენ“.


„Теймуразу Николаевичу, наслѣдному царю || Грузинскому, Кахетинской и Карталинской земель || обладателю, прибывшему 1761 года въ Санкт-|| птербургъ на поклоненіе Ея всепресвѣтлѣйшему || Императорскому Величеству Монархинѣ || Всероссийской. Императорекой Академіи Наукъ || Типографскіе служители симъ тисненіемъ почте || ніе свое засвидѣ-|| тельствуютъ“.

Июня 21 дня 1761 года.
ტექსტის სიფართე (12,5×16).
შემოვლებული აქვს მეტად გავრცელებული ორნამენტის ჩარჩო.
შრიფტი: ნ. ხუტური; რუსული — სამოქალაქო (гражданский).
საღტეკო-შენიშნის; აკადემ.

43. დაუჯდომელი. მოსკოვი. 1762. რკდ [124] გვ. (17×11).

თავფურცელი:
„სადიდებელად ერთარსისა და ცხოველს მყოფელისა სამეგბისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა. ჟამსა ყოვლად უბრწყინვალესისა, უმპყრობელესისა, დიდისა ჯელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა აღექსევენასა, სრულიად რუსეთის თვით მპყრობელისა. და უსაყვარლესისა ძისა მისისა მართლ მორწმუნისა ჯელმწიფისა ცეცარევიჩისა და დიდისა თავადისა პავლე პეტრეს ძისათა; ბრძანებითა და ნება რთვითა უწმინდესისა მმართველის სრულიად რუსეთის სინოდისათა, წარსაგებელითა და მოღვაწებითა მიტროპოლიტი ტფილისისა ათანასე ამილახვაროვისათა. ზედა მხედველობითა თავადის დიმიტრი ციციანოვისათა. დაიბეჭდა ყოვლად სახმარი სამადლობელი დაუჯდო-“

მელი გინა აკაფისტი ესე ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისა, რათა გამოუცდელთა ჯერედ სტამბისა მუშაკთა შრომისა ნაყოფი შეწირულ იყოს ყოველთა ქრისტიანეთა ძლიერისა მეობისა ღვთისა დედისა და დედოფლისა მარიამისა. მკითხველო სახიერო! სულიერად სახმარ ყავ



მისალმება თეიმურაზისადმი. ს.-პეტერბურგი. 1761. (№ 42). ორ-გინალი 16×12,5. (აკად.)

შენდა წიგნი ესე და უკეთურამე ნაკულღევან სისრულისა არს, სულ გრძელობით იტვირთე; ვინათგან ყოველი დაწყება ძნიადი არს და სამადლობელად კეთილ მიტვალვისა ამის წიგნისა, უკეთუ ნებაგს უფალსა, უჩჯობესი იხილო. სამეფოს ქალაქს მოსკოვს. წელსა ჩღაბ. თვესა; სკეღენბერსა: ა“.

თავფურცელი მოთავსებულია სამ გვერდზე. შემოვლებული აქვს სადა ორნამენტი: კუთხეებში ანგელოზის თავები უხის, ტექსტის 1-ლი გვერდის თავი შემკულია ქრისტეს ხატით, ყვავილოვან ჩარჩოში, სლავური წარწერით. ტექსტში სხვა შემკულობა არ არის. ყდა—ჩვეულებრივი; ყდის ყუა და კუთხეები ყავისფერტყავგადაკრული. ყუა მოთქრავილი, ყვავილოვანი შემკულობით. დაბეჭდილი აქვს ყუაზე ვარაყით: МОЛІТВЕННІ; ყუაზე, ზემოთ მიწებულ ქალაღღზე: 37-ხაზგადასმული და ზემოდან —А.—ყუაზედ 33, ქვემოთ—ყვითელ ეტიკეთზე დაბეჭდილია: „Theologia“, № 126. შიგნით—წარწერები მელნით, ფრანგულად —წიგნის აღწერილობა (მარი ბროსესი?)
შრიფტი: ნ. ხუტური.
აკადემ. (2 ცალა).

44. დავითნი. ტფილისი. უთარილო [1763], დეფექტლე—ულ [35—430] გვ. (16×10).

უთავფურცლოა:
აკლია აგრეთვე პირველი 34 გვერდი და ბოლო—430 გვერდს იკით.
აუნუსხავ ბოლოფურკელზე დ. კარიჭაშვილს ამოუკითხავს დაბეჭდვის თარიღი: 1763 წელი. (კარიჭ. 88 გვ.) ამჟამად წელიწადი აღარ იკითხება. მთელი ეს გვერდი ჩასმულია მარტივი ორნამენტის ჩარჩოში.
ტექსტის ბოლოს:
„განსრულდა. სადიდებელად ღმრთისა. ამინ. ბრძანებითა და საფასეთა წარგებითა კეთილმსახურისა მეფისა უფლისა ირაკლისათა. დაიბეჭდა ქალაქსა ტფილისს, მესტანბეთა უხუცესობითა სიონის დეკანოზის ნიკოლაოზისათა და უღირსის ხუცის იოანე მხატვარისათა. ზედა მდგომობითა ზაქარია [მარკ]ოზის ძისათა. [გვედრებით].“

. . . . ცთომილებისა [აღმომკითხველნი
შეგვინდევით. მაისსა ეი?] . . .

შრიფტი: ნ. ხუცური.

უნ.

45. ლოცვანი. ტფილისი. 1763. მგ [46] გვ. (15,5×9)

თავფურცელი:

„სადიდებლად ყოვლად წმიდისა სამებისა, ჟამსა ამაღ-
ლებულისა სრულიად საქართველოსა მპყრობელისა კეთილ

ხედ“, „პარაკლისი“ და, ბოლოს, „მშვიდობიანი(?) მიცვა-
ლებულთა.“


შრიფტი: ნ. ხუცური.

უნ.; საქ.მ.წ.

46. დავითნი. მოსკოვი. 1764. [10], მგ. [46], [3], უმშ
[448] გვ. (18×11). 720 ცალი.

თავფურცელი:

„ღვთივ სულიერი წიგნი ფსალმუნთა მეფე წინასწარ-



დაუჯღაღმეღი. მოსკოვი. 1762. თავფურცელი. ნ. გვ 53. (№ 43). ორიგინალი 17×11. (აკადემ.)

მსახურისა მეფისა უფლისა უფლისა ირაკლისა, ბრძანებო-
თა და საფასეთა წარგებითა ამა მეფისათა, დაიბეჭდა სა-
მეუფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა სამეფოსა, თვესა
მარტსა, ქრისტეს აქეთ ჩღაგ“.


წიგნი არ გააჩნია სათაური.

ტიქსტის დასაწყისი 3 [3] გვერდზე:

„კვირიაკესა შუალამისასა. გალობა სამებისა....

„ყოვლისა შემძლებელი და ცხოველს მყოფელი, სა-
მებაო წმიდაო, ნათელი დასაბამო, როელმან ყოველივე
სული, და პირველ სოფლისა შექმნულნი, მხოლოთა სახი-
ერებითა არარაასაგან არსებად მოიყვანენ“ და სხვ. ქვე-
მოლ: „ლოცვა ზიარებისა“.... ძღვევისათვის და შეწვენი-
სა მვედრობათა“ „დიდი შეგვიწყალებ“ სამლოთსა წირვასა

მეტყველის დავითისა. სადიდებლად ღმრთისა, ერთარსი-
სა. სამგვამოვანისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა,
ბრძანებითა უმართ მაღიდებლესისა და უმპყრობელესისა
დიდისა ხელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსე-
ვნა სრულიად რუსეთის თვით მპყრობელისათა. ჟამსა
მემკვიდრისა მისისა მართლ მორწმუნისა ხელმწიფისა ცე-
ცარევიჩისა და დიდისა თავადისა პავლე პეტრეს ძისა.
ნება რთვითა მმართველის სრულიად რუსეთის სინო-
დისათა, ღვაწლითა და წარსაგებელითა ტფილისის ზიტ-
რაპოლიტის ათანასი ამილახვაროვისათა, ზედა ხედვითა
თავადის დიმიტრი ციციანოვისათა. დაიბეჭდა სამეუფოსა
ქალაქს მოსკოვს. წელსა ჩღად. თვესა ფებერვალსა იე.
ხელითა მესტანბე აბრამ ურიაყოფილისათა“.



თავფურცელზე:

ქრისტეს ხატი სლავური წარწერით, ყვავილოვან ჩარჩოში. თავფურცელს უჭირავს ორი გვერდი. მესამე აუნუსხავ გვერდზე ეტყობა უნდა ყოფილიყო დავით წინასწარმეტყველის პორტრეტი. ამ ადგილას დაბეჭდილია ლექსი:

„დავითის ხატი წმინდისა, აქა, ჰე, წინა დებული.
შეამკობს თქმულთა ფსალმუნთა, არის რა ღირსად
ქებული.
მიტროპოლიტი მოგიძღვნის ტფილისის სახელდებული.
და ათანასისა სტამბა აწ მოსკოვს განახლებული“.

ამავე ფურცლის მეორე გვერდზე:

ქართული ანბანი. მრგვლოვანი და ნ. ხუცური (უკანასკნელი მოცემულია პირუკმო წესითაც).

ტექსტის ბოლოში:

„ამ სტამბის გამოსაცდელად პირველ დაბეჭდილს ღმრთის მშობლის დაუჯდომელში, მეორმოცდა ექვს გვრდზე, ზეიდამ მეცამეტე და მეოთხმეტე სტრიქონში, მეცხრამეტე იკოსის მეხუთე გიხროდენში, მწერლის შეცთომით უსწორო სიტყვა მოვიდა; გინა უფროს ვიტყვი: სიტყვა მარჯუე, უმეცართაგან ავით კერძო მისაზიდი. ამისთვის გვედარები, მკითხველო, რათა წარკითხო ესრეთ: „გიხაროდენ. რამეთუ შენ განახლენ უმანკოებად ცოდვათა შინა შობილნი:“

შრიფტი: ნ. ხუცური.

საჯარო. ქუთ. მუზ. (დფუ); სალტაიკო-შენკარის; ყვავი.

47. კურთხევანი. ტფილისი. 1764. ფათ [569], [2] გვ. (21×15).

თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა თანა არსისა, ცხოველს მყოფელისა სამებისა, მამისა, და ძისა და სულისა წმიდისა. დროსა ყოვლად უბრწყინულესისა, უკეთილ მსახურისა და უმაღლესისა, ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა საქართულომასასა. და კეთილ მორწმუნისა დედოფლისა დარეჯან დადიანის ასულისასა. და კეთილ მორწმუნეთა მეფის ძეთა და მეფის ასულთასა. კურთხევითა უნეტარესისა და უწმიდესისა ანტონი პატრიარხისა ყოვლისა საქართულომასათა. დაიბეჭდა წიგნი ესე კურთხევანი სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, ეზოსა სამეფოსა. წელსა დასაბამითგან სოფლისა ვსობ. ხოლო განკორციელებითგან სიტყუსა ღმერთისა ჩლად. თთუშსა აპრილსა. კმ“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: ბაგრატიონთა ღერბი, ორნამენტის ჩარჩოში, ჩვეულებრივის წარწერით: „ეფუჟა უფალი“...

პირველ გვერდზე:

„აკროსტიხური დასდებელნი, ქმნილნი ანტონი საქართულოისა პატრიარხისა. რომლისა კიდურ წერილობა: ირაკლი მეფე საქართულოისა“.

„იზლაპარქება ელინთ
აღმოჩენანი,
რომელ ღამეთა ატტიკურ-
თათუს თხზვიდეს,
ანუ სამუსთა ორფეოსის
ქმათათუს,
კრატისტოსისთა ნივთთა-
თუსცა ღ სხუათა,
ლექს მკობილებით გან-
ვრცომილთა რიტორებრ.“

„ირაკლის მიმართ თქმანი
განსავრცომელნი
მოლებად უჯამს არს, გარ-
და მარტივთ არე.
ესრეთ პოვნილთა მათცა
ურჩეულესთა,
ფენა დართულთა მათცა
უსუფთაესთა,
ესგუარ შთაწერდა მცი-
რელთა შინა დიდთა.“

მეორე გვ:

სამების სურათი, წარწერით: „სამებაო წმიდაო. აღი-
დე მადიდებელი შენი ბეჭდისა ამის მეორედ განმანახლე-
ბელი მეფე სრულიად საქართულომასა ირაკლი.“

ტექსტის ბოლოში:


„ნავთსაყუდელსა მენავე, რა მივლენ განისუშნებენ.
მოყვასთა თუსთა სამყოფთა ნახვა სწადს, მით ისუშნებენ.
ჭირთ მყოფნი, ლხინსა შესრულნი, მას აღარ მოიჩუშნე-
ბენ.“

რაა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავსა არ შეიჩუშ-
ნებენ“.

(გვ. ფათ 569).

„მხილულთა დამი წიგნისა ამის კურთხევე-
ნისათა, ანდერძი მშრომელთა მიერი:

„ოდეს მეფობდა საქართულოსა შინა კურთხევით მოჯ-
სენებული მეფე ვახტანგ, დროსა მას გამართულ იყო
წიგნი ესე, რომელ არს კურთხევანი, ყოვლად სამღუდე-
ლოსა სამთავნელ ეპისკოპოსისა კიპრიანესაგან, ბერძულსა
კურთხევანსა ზედა, ვითა დედანი კურთხევნისა ამის მო-
უთხრობდა, და დაბეჭდილ იყოცა. და აწ, დროსა ამას,
ბრძანებითა მისისა მის კეთილმსახურებისა მეფისა ჩუშ-
ნისა ირაკლისათა, განახლდა რა და წარმოდგა ბეჭედი
სტამბისა ამის, და დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი, მე-
ორედ კონდაკი, მესამედ კვალად ფსალმუნი, და ეგრეთვე
მცირედნი წიგნნი რომელნიმე სახმარად ეკკლესიისა ჩვენ
ქართულოთასა. შემდგომად გუშობრძანა ბეჭდუთა კურთ-
ხევანისა, და ვიწყევით რა, ვითა დედანსა ეწერა, და
ორი და სამი ფუტრელი დაიბეჭდა, იხილა უწმიდესობა-



მან სანატრელისა მამათ მთავრისა ჩუშნისა ანტონისამან, რომელ გარეგან ღრამმატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩუშნი და დედანიცა, რომელსა ზედა ვჰსწერდით; და მოახსენა ძმასა თვისსა და მეფესა ირაკლის, და ამისთჳს ებრძანა მისის მეფობისა უმაღლესობისაგან და მისის უწმიდესობისაგან მათის უწმიდესობის გლახაკს ბერს ილუმენს მხატურის ძეს მიხაილს. და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამმატიკისასა, და დაბეჭდილ იქმნა, რაოდენ ახალ მესტამბეთაგან შეიძლებოდა. და აგრეთვე პრობისა მმართველიცა იგივე იყო. მესტამბეთა უხუცესობითა სიონის დეკანოზის ნიკოლოზისა, და უღირსის ხუცის მხატურის იოანესითა: ზედა მდებარეობითა მდივნის ელიშერ თუმანის შულისათა, და მასთანა სტამბისა სახმართა ზედა გარჯითა მარკოზის ძისა ზაქარიასითა. გვედრებით მხილულთა ყოველთა, შეცთობა თუ რაჲმე იხილოთ, შენდობა ჰყავთ, და ნუ გუწყევთ, არამედ ლოცვით მოგვკენებდეთ“.

შრიფტი: ნ. ხუცური.
სჯარო; უნ; სკლტიკო-შეღრინის.

48. სამოციქულო. მოსკოვი. 1765. [471¹] გვ. (32×20). 846 ცალი.

თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა, ერთარსისა, ცხოველს მყოფელისა და განუყოფელის სამებისა, მამისა, და ძისა და სულისა წმიდისა. ბრძანებითა უმართ მადიდებელისა და უმპყრობელისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსეევნასასა, სრულიად რუსეთის თუთ მპყრობელისათა. ჟამსა მემკვიდრისა მისისა მართლ მორწმუნისა ხელმწიფისა ცეცარევიჩისა და დიდისა თავადისა პავლე პეტრეს ძისასა. ნება რთვითა მმართველის სრულიად რუსეთის სინოდისათა. დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ესე სამოციქულო ღვაწლთა და წარსაგებელითა ტფილისის მიტროპოლიტის ათანასი ამილახვაროვისათა. შემოწმებული რუსულსა ეკლესიათა შინა ვმარებულისა სამოციქულოსა, თანა შეწვენითა სხვათა ენათაცა, კნიაზ დიმიტრი ციციანოვისაგან. დაიბეჭდა სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს. წელსა: ჩღაჲ, თვესა მარტისა ა“.

შრიფტი ნ. ხუცური.
სჯარო; უნ; სქ. შუზ; ქუო. შუზ (დგუ); სკლტიკო-შეღრინის; აკადემ.

49. სახარება გამოკრებული. მოსკოვი. 1766. მც [48] გვ. (21×18). 600 ცალი.

თავფურცელი:

„სახარება საკითხავად წმიდასა და დიდსა ხუთშაბათისა: წირავსა ზედა, ფერხთ ბანასა ზედა და შემდგომად ფერხთ ბანისა, და წმიდასა დიდსა პარასკევსა, ცისკრად, იბ წმიდისა ვნებისა უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა

1) შეცდომით: „უპა“, გვ. [481].

ჩვენისა იესო ქრისტესი და მწუხრზედ მასვე წმიდასა დიდსა პარასკევსა. საფასითა გაკეთდა სტანბა ესე ტფილისის მიტროპოლიტის ათანასი ამილახვაროვისათა. დაიბეჭდა სამლოთო სახარება გამოკრებული სამეფოსა ქალაქს მოსკოვს. წელსა ჩღაჲ. თვესა სექტენბერსა ა.

დაიბეჭდა¹) სამლოთო სახარება გამოკრებული რიცხვით ექვსასი. და პირველ ამისსა დაიბეჭდა დავითი შვიდას ოცი, და სამოციქულო რვაას ორმოცდა ექვსი. ზედა მხედველობითა და მოურნეობითა კნიაზ დიმიტრი ციციანოვისათა“.

შემკულობანი, გრავიურები: სლაფური წარწერებით.
შრიფტი ნ. ხუცური.
უნ; სქ. შუზ; ქუო. შუზ. აკადემ.

50. პარაკლისი. მოსკოვი. 1767. რთ [109] გვ. (15×9) 240 ცალი.

თავფურცელი:

„სადიდებელად წმიდისა ერთ არსისა, ცხოველს მყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. ბრძანებითა უმართლ მადიდებელისა და უმპყრობელისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსეევნასასა, სრულიად რუსეთის თუთ მპყრობელისათა. მემკვიდრისა მისისა მართლ მორწმუნისა ხელმწიფისა ცეცარევიჩისა და დიდისა თავადისა პავლე პეტრეს ძისა. ნებართვითა მმართველის სრულიად რუსეთის სინოდისათა. საფასითა და წარსაგებელითა ტფილისის მიტროპოლიტი, ათანასი თავადი ამილახვაროვისათა. გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე: პარაკლისი, დიდს სამეფოს ქალქს—მოსკოვს, ჩღაჲ. რიცხვით სმ [240]“.

შრიფტი ნ. ხუცური.
სჯარო; უნ; სქ. შუზ; სკლტიკო-შეღრინის.

51. დავითნი. მოსკოვი. 1768 ტაჲ [366] (18×11). 2010 ცალი.

თავფურცელი:

„სადიდებლად ღმრთისა ერთარსისა, სამგვაშოვანისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა. ბრძანებითა უმართლ-მადიდებელისა და უმპყრობელისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსეევნა, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელისათა. ჟამსა მემკვიდრისა მისისა მართლ მორწმუნისა ხელმწიფისა ცეცარევიჩისა და დიდისა თავადისა პავლე პეტრეს ძისასა. ნებართვითა მმართველის სრულად რუსეთის სინოდისათა, საფასითა და წარსაგებელითა ტფილისის მიტროპოლიტი ათანასი თავადი ამილახვაროვისათა. გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ფსალმუნთა მეფე წინასწარმეტყველის დავითისა, ზედა მხედველობითა თავადის დიმიტრი ციციანოვისათა“.

1) ტექსტში: „და იბეჭდა“.



დაიბეჭდა სამეფოს ქალაქს მოსკოვს. დასაბამითგან წელსა ვახვ. ქრისტეს აქეთ ჩლამ.

თავფურცელის ტექსტს უჭირავს 2 გვერდი. მეორე გვერდზევე: ქართული ანბანი (მზგლოვანი და ნ. ხუცური) და „რიცხვი რუსული [არაბული] და ქართული“. 1—10000-დგ—არაბული ციფრები, შესატყვისი ქართული ასოებითურთ.


ტექსტის ბოლოში:

„ჩლად. მსხვილის წერილით დავითნი დაიბეჭდა ღვ“.

„ჩლმ. ამ წერილით დავითნი დაიბეჭდა ცი“. „ყოველთა გვედრები, კეთილად მკითხველნო, თქვენ მიერ ლოცვით მოხსენებას ვითხოვ. მიტროპოლიტი მდაბალი ათანასი“.

შრიფტი ნ. ხუცური.

სკარო; უნ; სქ. მუზ. პლატა; ქუთ. მუზ.



ეპისკოპოსთა მიმართ. ტფილისი. 1768. 1 გვ. (№ 52).
ორიგინალი 15×10. (საქ. მუზ.)

52. ეპისკოპოსთა მიმართ. ტფილისი. 1768. [1], იბ, [12], [1] გვ. (21×16).

უთავფურცლოა.

პირველი გვერდის წინ: ერთი ფურცელი, რომლის აუნუსხავი პირველი გვერდი სუფთად არის დატოვებული; მეორე გვერდზე: სამების ხატი, თთხეცი ჩარჩოთი—უბრალო ხაზებითა და სადა ორნამენტებით შემოვლებული. წარწერები: ქართული.

ჩარჩოებს შუა:

„სამებაო წმიდაო, აღიდგე მადიდებელი შენი, ბეჭდისა ამის მეორედ განმანახლებელი მეფე სრულიად საქართველოასა ირაკლი“.

ქვემოთ:

„ეკლესიანო ჩვენ, ქართულსთანო! გიხაროდენ ესე ვითართა კეთილმსახურისა მეფისა და მღუდელთ-მთავრის ქონებისათჳს.“


სათაური, პირველი—ა—გვერდის თავში:

„ეპისკოპოსთა მიმართ.“

პირველი გვერდის თავი შემკულია სადა ორნამენტითვე და ანგლოზების თავებით.


უკანასკნელი, აუნუსხავი, ფურცლის ორივე გვერდის ტექსტი — ორნამენტების ჩარჩოში.

ტექსტი იწყება პირველ — ა — გვერდზე:



ეპისკოპოსთა მიმართ. ტფილისი. 1768. უკანასკნელი გვ. (№ 52). ორიგინალი 16,5×10,5. (საქ. მუზ.)

